მიღებული თანაპოლიესტერამიდების თერმული თვისებები შევისწავლეთ დიფერენციალური მასკანირებელი კალორიმეტრით (DSC). თერმოგრამებს ვიღებდით „NETZSCH DSC 200PC PHOX”-ზე. კალორიმეტრს ვაკალიბრებდით ინდიუმის (In) სტანდარტის გამოყენებით. ნიმუშებს ვამზადებდით ფირების სახით, რომლებსაც ვასხამდით ქლოროფენორმიდან გლუვ ჰიდროფობურ ზედაპირზე, გამხსნელს სრულად ვაორთქლებდით ოთახის ტემპერატურასა და ატმოსფერულ წნევაზე, შემდეგ ვაშრობდით ვაკუუმში 60°C -ზე ერთი კვირის განმავლობაში. პოლიმერის ნიმუშს (10მგ) ვტვირთავდით კომპანია NETZSCH-ის სტანდარტულ ალუმინის კაფსულაში. თერმოგრამებს ვიღებდით ტემპერატურულ ინტეგრალში -20°C÷200°C, გაცხელების სიჩქარე 10K/წთ.

გამოთვლების ჩატარებისა და თერმოგრამების დასამუშავებლად კალორიმეტრს „NETZSCH DSC 200PC PHOX” გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა

„Proteus Thermal Analysis“, , რომელიც მიღებული შედეგების დეტალური ანალიზისა და მოხერხებული აღრიცხვის საშუალებას იძლევა .

ნახ.1-ზე მოცემულია ერთერთი პოლიმერის - **8-(Phe6)0,8Lys(Oct)0,2-**-ის თერმოგრამა.



**ნახ.1. 8-(Phe6)0,8Lys(Oct)0,2-ის თერმოგრამა**

მონომერების და პოლიმერების ინფრაწითელი სპექტრები გადავიღეთ FTIR-ფურიე გარდაქმნის ინფრაწითელ სპექტროფოტომეტრზე THERMO-NICOLET, AVATAR 370. დიაპაზონი - 400-400 სმ<sup>-1</sup>, გაზომვის სიზუსტე - 0,5 სმ<sup>-1</sup>. ულტრაიისფერ სპექტრებს ვიღებდით UV-VIS სპექტროფოტომეტრზე VARIAN, CARRY 100. დიაპაზონი 900-190 ნმ.

ვიყენებდით ორგანულ ნივთიერებათა ლლობის ტემპერატურის განმსაზღვრელ აპარატს MEL TEMP 3.

გამოყენებული გამხსნელების სისუფთავეს ვამოწმებდით ციფრული რეფრაქტომეტრით SHMIDT+HAENSCH. დაყვანილ სიბლანტეს (ზდა) ვზომავდით ავტომატური ვისკოზიმეტრით LAUDA (c=0,5 dl/g; t=25°C, DMF-ში). პოლიმერების მოლეკულურ მასებს ვსაზღვრავდით GPS ქრომატოგრაფით დიფერენციალური რეფრაქტომეტრით “Waters-1525”, ელუენტი - DMF+1 M LiBr, სტანდარტი - PEA.

### შედეგების განსჯა

კვლევის ობიექტებად შევარჩიეთ თანაპოლიესტერამიდები L-ლიზინისა და ჰიდროფობური ამინომჟავების (L-ლეიცინი, L-ფენილალანინი) საფუძველზე, რადგან მათი თვისებების რეგულაცია შესაძლებელია ერთი მხრივ - დიკარბომჟავების, დიოლებისა და ჰიდროფობური ამინომჟავების (რომლისგანაც აგებულია მაკროჯაჭვის ბიოდეგრადირებადი ნაწილი) და მეორე მხრივ ლიზინის ალკოლის ესტერების (რომლებიც გამოყენებულია ჰიდროფობური ჯგუფების შესაყვანად) მოლური თანაფარდობის ვარირებით (იხ. სქემა 1). წამლების კონტროლირებად/უწყვეტი გამოყოფის სისტემებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიმერ-მატარებლები იყოს ბიოდეგრადირებადი, ამავე დროს საკმაოდ ჰიდროფობური, რათა არ მოხდეს წამლების სწრაფი გამორეცხვა მატრიქსიდან. ლეიცინის საფუძველზე მიღებული α,ω-ალკოლენდიესტერი მაკროჯაჭვს ანიჭებს

ელასტიკურობას, ხოლო ფენილალნინის α,ω-ალკილენდიესტერი სიხისტეს. ლიზინის ფრაგმენტების ჩართვა თანაპოლიესტერამიდის ძირითად ჯაჭვში იწვევს ამიდური ბმების მოლური კონცენტრაციისა და ამასთანავე, გვერდითი ჰიდროფობური ჯაჭვების მოლური კონცენტრაციის გაზრდას. ყოველივე აღნიშვნული გავითვალისწინეთ თანაპოლიესტერამიდების სინთეზისას, მონომერებისა და თანამონომერების თანაფარდობების შერჩევისას.

მიღებული თანაპოლიესტერამიდების თერმული თვისებები შევისწავლეთ დიფერენციალური მასკანირებელი კალორიმეტრით (DSC) ტემპერატურულ ინტერვალში -20°C÷200°C, გაცხელების სიჩქარე 10°K/წთ. დიფერენციალური მასკანირებელი კალორიმეტრია დღეისათვის ერთადერთი მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება განისაზღვროს პოლიმერების სტრუქტურული გარდაქმნები, გამოწვეული თერმული ზემოქმედებით, შეფასდეს პოლიმერების ფაზური მდგომარეობა და თერმოსტაბილურობა.

პოლიმერების თერმული თვისებების შეფასება შესაძლებელია გამინების ტემპერატურის ( $T_g$ ), კუთრი სითბოტევადობის ცვლილების ( $\Delta c_p$ ), ლლობის ტემპერატურის ( $T_m$ ), ენთალპიის ცვლილების ( $\Delta H$ ) საშუალებით [15-16]. პოლიმერული ჯაჭვების შიგა- და გარემოლევულური მოქნილობის შეზღუდვისას მათი  $T_g$  იზრდება.  $\Delta c_p$  კი გვიჩვენებს როგორი კონფორმაციული ცვლილება მოხდა ამორფულ ნაწილში და შესაძლებლობას იძლევა გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ პოლიმერებში მოლეკულური ურთიერთქმედების შესახებ.  $T_m$  არსებობა მიუთითებს პოლიმერში მოწესრიგებული (შესაძლოა კრისტალური) სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

ჩვენს მიერ მიღებული პოლიმერების სტრუქტურები და მათი თერმული თვისებების შეფასების შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა (ცხრილი 1), პოლიმერების 4-[Leu-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub>, 4-[Leu-6]<sub>0.6</sub>[Lys(Oct)]<sub>0.4</sub>, 4-[Leu-6]<sub>0.4</sub>[Lys(Oct)]<sub>0.6</sub>, 8-[Phe-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub> თერმოგრამებზე მიიღება გამინების ტემპერატურის ( $T_g$ ) ორი მნიშვნელობა (ცხრილი 1, განსაზღვრა I), რაც სავარაუდოდ მიუთითებს აღნიშნული პოლიმერების სინთეზისას ორი განსხვავებული ამორფული სტრუქტურის დომენის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული პოლიმერების დაყოვნების შემდეგ (2 თვე ოთახის ტემპერატურაზე), მიღებულ თერმოგრამებზე რჩება გამინების ტემპერატურის ერთი მნიშვნელობა (ცხრილი 1, განსაზღვრა II). სავარაუდოდ, დაყოვნების შედეგად მოხდა კონფორმაციული ცვლილება, ორი ჰიდროფობური დომენური სტრუქტურის რეორგანიზაცია საერთო ჰიდროფონბურ სტრუქტურაში.

დანარჩენი პოლიმერების თერმოგრამებზე თავიდანვე მიიღება გამინების ტემპერატურის ერთი მნიშვნელობა, ე.ი. სინთეზის პროცესში ყალიბდება ერთიანი ამორფული, არადომენური სტრუქტურის პოლიმერები. იყივე პროცესებზე მიუთითებს პოლიმერების კუთრი სითბოტევადობის ( $\Delta c_p$ ) ცვლილებაც. გამინების ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება პოლიმერების კუთრი სითბოტევადობა და მოწესრიგებულობის ხარისხი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლადა გამოხატული პოლიმერების დაყოვნების შემდეგ (ცხრილი 1, განსაზღვრა II). აღნიშნულ პოლიმერებს არ გაჩნიათ ლლობის ეგზოთერმა ( $T_m$ ), (მოწესრიგებული უბნები) და მთლიანად ამორფული სტრუქტურა ახასიათებთ, გამონაკლისს წარმოადგენს 8-[Phe-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub>, რომელიც შეიცავს მოწესრიგებულ უბანს - დომენს ( $T_m=55.90\text{ }^{\circ}\text{C}$ ) და ეს დომენი თითქმის უცვლელი რჩება პოლიმერების დაყოვნების შემდეგაც.

ასევე მოწესრიგებული სტრუქტურა აქვს 8-[Phe-6]<sub>0.4</sub>[Lys(Oct)]<sub>0.6</sub>, პოლიმერს და ამის მიზეზია სავარაუდოდ გვერდითი ჰიდროფონბური ჩამნაცვლებლების ურთიერთქმედება. ამ პოლიმერის სინთეზისას არ ყალიბდება განსხვავებული კონფორმაციის ამორფული დომენები, თერმოგრამაზე მიიღება გამინების ტემპერატურის ერთი მნიშვნელობა და ლლობის ენდოთერმა ( $T_m=56.20\text{ }^{\circ}\text{C}$ ).

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 8-[Leu-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub>, 8-[Leu-6]<sub>0.8</sub>[Lys(Dod)]<sub>0.2</sub> პოლიმერებს აქვთ ამორფული სტრუქტურა, რომელიც უფრო მეტად მოწესრიგებული, კომპაქტური ხდება დაყოვნების შემდეგ.

მოწესრიგებულ უბნებს შეიცავენ პოლიმერები: 8-[Phe-6]<sub>0.8</sub>[Lys(Dod)]<sub>0.2</sub>, 8-[Phe-6]<sub>0.8</sub>[Lys(Hex)]<sub>0.2</sub>, 8-[Leu-6]<sub>0.8</sub>[Lys(Hex)]<sub>0.2</sub>, 8-[Phe-6]<sub>0.6</sub>[Lys(Hex)]<sub>0.4</sub>, 8-[Phe-6]<sub>0.4</sub>[Lys(Hex)]<sub>0.6</sub>, 8-[Phe-6]<sub>0.4</sub>[Lys(Dod)]<sub>0.6</sub>, რომელთა როგორც ამორფული, ასევე მოწესრიგებული დომენების გარკვეული, კიდევ მეტი მოწესრიგება ხდება დაყოვნების შემდეგ, საინტერესო და რთული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მიუთითებს პოლიმერის 8-[Phe-6]<sub>0.4</sub>[Lys(Dod)]<sub>0.6</sub> თერმოგრამა, ერთი ამორფული და ორი სხვადსხვა ტიპის მოწესრიგებული დომენით, ამასთანავე ორივე მოწესრიგებული დომენი რჩება დაყოვნების შემდეგაც და გარკვეულწილად ხდება მათი მეტი კომპაქტიზაცია; რჩება აგრეთვე ამორფული დომენიც, რომლის ამორფული სტრუქტურა უფრო მეტად მოუწესრიგებელი ხდება დაყოვნების შემდეგ.

პოლიესტერამიდ 8-Phe-6-ს აქვს როგორც ამორფული, ასევე მოწესრიგებული უბნები, ხოლო 8-Leu-6 მთლიანად ამორფული სტრუქტურისაა. პოლიამიდს 8-Lys(Oct) გააჩნია როგორც ამორფული, ასევე მოწესრიგებული უბნები, ხოლო პოლიამიდ 8-Lys(Dod)-ის ამორფული და ორი მოწესრიგებული დომენი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თანაპოლიმერების ნაწილის გააჩნია ( $T_m$ ), მათ თერმოგრამებზე შეინიშნება რიგ შემთხვევაში მკვეთრად გამოხატული, მაგრამ საკმაოდ გაშლილი ლლობის ენდოთერმები (მაგ., ნახ.1), რომლებიც ჩვეულებრივ ახასიათებს კრისტალურ ფაზას. რენტგენოსტრუქტურული მონაცემებით, რომლებიც ჩატარებული იქნა ყველაზე ძლიერი ენდოთერმული პიკის მქონე პოლიმერებისათვის, მიღებული თანაპოლიმერები ამორფული ნივთიერებებია. ეს ფაქტი, პიკების საკმაოდ გაშლილი ფორმა და გვერდითი ჩამნაცვლებლების შემცველების ზრდასთან ერთად პროცესის ენთალპიის ზრდა (ცხრილი 1) უფლებას გვაძლევს დავაკვნათ, რომ ლლობის ენდოთერმები შესაბამება გვერდითი ჰიდროფონბური ჩამნაცვლებლების მიერ წარმოქმნილი დომენების ლლობას. ჰიდროფონბური


დომენების ჩამოყალიბების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ენთაღპის ზრდა გვერდითი ჩამნაცვლებლების სიგრძის ზრდასთან ერთად (ცხრილი 1).

ცხრილი 1. პოლიამიდებისა და პოლიეტერამიდების თერმული მახასიათებლები

პოლიმერი	I განსაზღვრა					II განსაზღვრა				
	Tg (°C)	ΔCp (J/g°K)	Tm (°C)	ΔH (J/g)	Tp (°C)	Tg (°C)	ΔCp (J/g°K)	Tm (°C)	ΔH (J/g)	Tp (°C)
4-[Leu-6]0,8[Lys (Oct)]0,2	11,5 / 26,2	0,57 / 0,14				24,70	3,30			
4-[Leu-6]0,6[Lys (Oct)]0,4	6,2 / 21,9	0,21 / 0,27				26,90	3,52			
4-[Leu-6]0,4[Lys (Oct)]0,6	9,3 / 22,1	0,38 / 0,19				16,10	0,88			
8-[Phe-6]0,8[Lys (Oct)]0,2	7,4 / 20,4	0,37 / 0,19	55,90	5,71	71,40	22,40	2,06	59,20	6,40	73,30
8-[Phe-6]0,4[Lys (Oct)]0,6	11,50	0,55	56,20	10,28	71,30	19,00	1,42	61,90	10,82	74,00
8-[Leu-6]0,8[Lys (Oct)]0,2	10,50	0,66				13,90	0,74			
8-[Leu-6]0,8[Lys (Dod)]0,2	13,30	0,19				18,80	1,35			
8-[Phe-6]0,8[Lys (Dod)]0,2	10,70	0,74	56,60	6,72	69,50	19,50	0,76	59,00	8,91	72,90
8-[Phe-6]0,8[Lys (Hex)]0,2	12,40	0,40	57,80	18,33	70,40	19,30	1,10	60,90	19,88	71,90
8-[Leu-6]0,8[Lys (Hex)]0,2	9,80	0,40	54,70	10,12	64,40	13,70	1,01	58,40	12,17	67,10
8-[Phe-6]0,6[Lys (Hex)]0,4	11,40	0,43	54,30	30,50	73,30	19,50	1,71	58,50	33,07	73,60
8-[Phe-6]0,4[Lys (Hex)]0,6	22,40	0,77	56,90	51,15	80,10	23,90	1,78	58,80	41,05	78,00
8-[Phe-6]0,4[Lys (Dod)]0,6	12,00	0,44	54,9 / 77,4	31,95	86,90	10,60	0,73	59,5 / 80,3	32,45	88,40
8-Lys(Oct)						24,30	3,47	73,10	21,84	93,90
8-Lys(Dod)						20,10	1,07	51,2 / 76,3	42,47	87,50
8-Leu-6	9,70	0,36								
8-Phe-6	21,00	1,04	54,50	15,48	88,90					


გვერდითი ჰიდროფონბური ჩამნაცვლებლების სიგრძის, რაოდენობის, ამინომჟავების ბუნებისა და რაოდენობის გავლენის დეტალური შესწავლის მიზნით, თანაპოლიესტერამიდების თერმულ თვისებებზე შევადარეთ სხვასხვა სტრუქტურის პოლიესტერამიდების თერმული თვისებები. შედეგები მოცემულია ნახაზებზე (2-7). შედარებისას გამოვიყენეთ პოლიმერების დაყოვნების შემდეგ მიღებული შედეგები.

პოლიმერების თერმული თვისებების შედარებიდან (ნახ. 2) ჩანს, რომ თანაპოლიესტერამიდში 4-[Leu-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub> Lys(Oct) ფრაგმენტების მოლური წილის ზრდა 20 მოლ%-დან 40 მოლ%-მდე მცირედ ზრდის თანაპოლიესტერამიდების გამინების ტემპერატურას ( $T_g$ ), ხოლო მისი შემდგომი ზრდით 40 მოლ% - 60 მოლ% პოლიმერის ( $T_g$ ) მკვეთრად მცირდება, რაც უდაოდ მიუთითებს ამორფული სტრუქტურის პოლიმერის ჩამოყალიბებაზე.




ნახ. 2.

მოწესრიგებული სტრუქტურის შემცველი თანაპოლიესტერამიდის 8-[Phe-6]<sub>0.8</sub>[Lys(Oct)]<sub>0.2</sub> შემადგენლობაში Lys(Oct) ფრაგმენტების მოლური წილის ზრდა 20 მოლ % - 60 მოლ % ზრდის პოლიმერის ამორფულობას (ნახ. 3ა), ამავე დროს ზრდის T<sub>m</sub> (ნახ. 3ბ).




ნახ. 3ა




ნახ. 3ბ

ჰიმოპოლიამიდში 8-Lys(Oct) Phe-6-ის ფრაგმენტების შეყვანა უმნიშვნელოდ ზრდის მის ამორფულობას (ცხ. 1, ნახ. 3ა), მაშინ როცა ამ პროცესზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით მეტ გავლენას ახდენს Leu-6-ის შეყვანა 20 მოლ % ოდენობით (ნახ. 4). ამორფული პოლიამიდის 8-Leu-6 სტრუქტურაში გვერდითი




ნახ. 4

ნ-ალკილური გრძელჯაჭვიანი ჩამნაცვლებლების შეფანით სტრუქტურა შედარებით მოწესრიგებული ხდება, ალკილური ჯაჭვის სიგრძის ზრდა (Oct–Dod) ამ პროცესს აძლიერებს, სავარაუდოდ ჰიდროფიბური ურთიერთქმედების გაზრდის შედეგად, მაშინ როცა ჯაჭვის შემდგომი დაგრძელება (Hex) საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს (ნახ.5).




ნახ. 5

თანაპოლიესტერამიდების  $8[\text{Phe-6}]-[\text{Lys(Dod)}]$  სტრუქტურაში Phe-6-სა და Lys(Dod) ფრაგმენტების მოლური თანაფარდობების ცვლილების გავლენის შესწავლისას პოლიმერების სტრუქტურაზე, აჩვენა, რომ Lys(Dod) მოლური შემცველობის გაზრდით 20 მოლ%-დან 60 მოლ%-მდე პოლიმერების გამინების ტემპერატურა მცირდება და ამორფულობა მატულობს, თუმცა კუთრი სითბოტევადობა ( $\Delta C_p$ ) ამ დროს უმნიშვნელოდ მცირდება (ნახ. 6), იგივე პროცესი იმავდროულად ზრდის პოლიმერის ჰიდროფიბური დომენების მოწესრიგებულობის ხარისხს (ნახ. 6 ბ).




ნახ. 6ა




ნახ. 6 ბ

რეგულარული სტრუქტურის 8-Phe-6 შემადგენლობაში Lys(Hex) ფრაგმენტების შეყვანით 0.2 მოლური წილით, როგორც სავარაუდო იყო, მიღებული თანაპოლიესტერამიდების გამინების ტემპერატურა მცირდება (ნახ. 7ა), ხოლო



ნახ. 7ა

მოწესრიგებული ჰიდროფობური დომენების შემცველობა იზრდება (ნახ. 7ბ); აღნიშნული ფრაგმენტების რაოდენობის შემდგომი ზრდით პოლიმერის T<sub>g</sub> იზრდება, მაგრამ T<sub>m</sub> და მოწესრიგებულობის ხარისხი მცირდება. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში პოლიმერის მოწესრიგების ზრდის ხარჯზე შედარებით ხისტი სტრუქტურის ჩამოყალიბება არ ხდება.



ნახ. 7ბ

ამრიგად, პოლიესტერამიდების თერმული თვისებების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ თანაპოლიესტერამიდების შედგენილობის ვარირებით მისი თერმული თვისებების რეგულაცია ფართო ზღვრებშია შესაძლებელი. პოლიმერების გამინების ტემპერატურა T<sub>g</sub> ნაკლებია ფიზიოლოგიურზე, რაც მათი ელასტიკური ფირების სახით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მიღებულ თანაპოლიმერებში მოწესრიგებული დომენების არსებობა, სავარაუდოდ, გვედითი ალკილური ჩამაცვლებლების შემცველობის გამო, პოლიმერებს პერსპექტიულს ხდის სამკურნალო პრეპარატებისა და ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიზანმიმართული, უწყვეტ/კონტროლირებადი მიწოდების სისტემების კონსტრუირებისათვის.

**ლიტერატურა – REFERENCES**

1. Liechty W.B., Kryscio D.R., Slaughter B.V., Peppas N.A. Polymers for Drug Delivery Systems. *Annu Rev Chem Biomol Eng.* 2010, 1, 149–173.
2. Peppas N.A., Hoffman A.S., Kanamori T., Tojo K., editors. *Advances in Medical Engineering, Drug Delivery Systems and Therapeutic Systems.* AIChE; New York: 2006. p. 342.
3. ქაცარავა რ., ხარაძე დ., ჯოხაძე გ., ნეფარიძე ნ. ფუნქციური პოლიმერები და მათი გამოყენება სამეცნიერო კვლევებში და ბიომედიცინაში. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009, გვ.167.
4. Torchilin V.P. Targeted Pharmaceutical Nanocarriers for Cancer Therapy and Imaging. *The AAPS Journal* 2007, 9 (2) Article 15
5. Torchilin V.P. Multifunctional nanocarriers. *Advanced Drug Delivery Reviews*, 2006, 58, 1532–1555
6. Zentner G.M., Rathi R., Shih C., McRea J.C., Seo M.H., Oh H, Rhee B.G., Mestecky J., Moldoveanu Z., Morgan M., et al. Biodegradable block copolymers for delivery of proteins and water-insoluble drugs. *J Control Release.* 2001, 72(1–3), 203–215.
7. Sahoo S.K., Dilnawaz F., Krishnakumar S. Nanotechnology in ocular drug delivery, *Drug Discovery Today*, 2008, 13(3/4), 144-151.
8. Кацарава Р.Д. Синтез гетероцепных полимеров (Метод „активированного эфира“), Высокомол. соед., 1989, сер. А31,1555-1571.
9. ხარაძე დ. ახალი ბიოანალოგიური მაკრომოლეკულური სისტემები ბუნებრივი ამინომჟავების საფუძველზე. დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1998 წ.
10. Lee S.H., Szinai I., Carpenter K., Katsarava R., Jokhadze G., Chu C.C., Huang Y., Verbeken E., Bramwell O., DeScheerder I., Hong M.K. In vivo biocompatibility evalution of stents coated with a new biodegradable elastomeric and functional polymers. *Coronary Artery Disease*, 2002, 13, #4, 237-241.
11. Arabuli N., Tsitlanadze G., Edilashvili L., Kharadze D., Goguadze Ts., Beridze V., Katsarava R. Heterochian polymers based on natural a-amino acids. Synthesis and enzymatic hydrolysis of regular poly(ester amide)s based on bis(L-phenylalanine) a,ω-alkyne diesters and adipic acid. *Makromol.Chem.Phys.*, 1994, 195, 2279-2284.
12. Katsarava R., Beridze V., Arabuli N., Kharadze D., Chu C.C., C.Won Y. Amino acid based bioanalogous polymers. Synthesis and study of regular poly(ester amide)s based on bis(α-amino acid) α,ω – alkylene diesters and aliphatic dicarboxylic acids. *J.Polym.Sci.: Part A:Polym.Chem.* 1999, 37, 391-411.
13. Непаридзе Н., Мачайдзе М., Заврадашвили Н., Табидзе В., Тугуши Д., Кацарава Р. Биодеградируемые сополиэфиримиды с гидрофобными боковыми заместителями. «Полимеры в медицине», Россия, г. Санкт-Петербург, 2006, 2, 27-33.
14. ჯოხაძე გ., ნეფარიძე ნ., მაჩაიძე მ., ხარაძე დ., ქაცარავა რ. L -ლიზინის ბენზილის ეთერისა და გრძელჯაჭვიანი ალკინის ეთერების შემცველი თანაბოლიეთერამიდების ბიოდეგრადაცია ცდებში *in vitro*. *Georgia Chemical Journal*, 2006, 2, 397-401.
15. Benzler B.: Dynamische Differenzkalorimetrie - Hohe Reproduzierbarkeit Plastverarbeiter 1996, 47, S. 66.
16. Chaires J. Calorimetry and thermodynamics in drug design. *Annu Rev Biophys.*, 2008, 37, 135-151.

## THE STUDY OF THERMAL PROPERTIES OF BIODEGRADABLE COPOLY(ESTER AMIDES) WITH LATERAL N-ALKYL SUBSTITUTES

Nino Nepharidze, Ekaterine Chkhaidze, Manana Siradze, Vasil Tabidze, Darejan Kharadze\*,  
Ramaz Katsarava

*Faculty of Chemical Technology and Metallurgy, Georgian Technical University  
\*I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine*

### SUMMARY

The copoly (ester amides) of AABB type with long lateral alkyl (**Oct**, **Dod**, **Hex**) chains have been synthesized on the base of natural amino acids (L-lysine, L-leucine, L-phenylalanine). Thermal properties of these polymers have been studied according to Differential Scanning Calorimetry (DSC). Thermal properties were estimated by glass transition temperature  $T_g(^{\circ}\text{C})$ , melting temperature  $T_m(^{\circ}\text{C})$ , by change in specific heat capacity  $\Delta C_p(\text{J/g}^{\circ}\text{K})$  and enthalpy  $\Delta H(\text{J/g})$ . The impact of quantity and length of lateral alkyl (**Oct**, **Dod**, **Hex**) chains in thermal properties of polymers have been studied. The DSC research of obtained polymers illustrated that all of them are amorphous,  $T_g$  of polymers are lower physiological, that creates the possibility of their application as elastic films. The presence of ordered domains in the structure of synthesized polymers (probably induced by lateral long alkyl groups) enables their application to achieve as selective and controlled carriers for drug delivery.

## ИЗУЧЕНИЕ ТЕРМИЧЕСКИХ СВОЙСТВ БИОДЕГРАДИРУЕМЫХ СОПОЛИЭСТЕРАМИДОВ С БОКОВЫМИ н-АЛКИЛЬНЫМИ ЗАМЕСТИТЕЛЯМИ

Н.С.Непаридзе, Е.Т.Чхайдзе, В.А.Табидзе, М.Г.Сирадзе, Д.П.Харадзе\*, Р.Д.Кацарава  
*Факультет химической технологии и металлургии, Грузинский технический университет  
Центр экспериментальной биомедицины И.Бериташвили*

### РЕЗЮМЕ

На основе природных аминокислот (L-лейцин, L-фенилаланин, L-лизин) синтезированы сополиэстерамиды AABB типа с боковыми н-алкильными (октильными (**Oct**), додецильными (**Dod**) и гексадецильными (**Hex**)) заместителями. Исследованы термические свойства этих полимеров методом дифференциальной сканирующей калориметрии (**DSC**). Термические свойства полимеров оценены определением их температуры стеклования  $T_g(^{\circ}\text{C})$ , изменением удельной теплоемкости  $\Delta C_p(\text{J/g}^{\circ}\text{K})$  и энталпии  $\Delta H(\text{J/g})$ , температурой плавления  $T_m(^{\circ}\text{C})$ . Изучено влияние количества и длины боковых гидрофобных заместителей на термические свойства сополиэстерамидов. Установлено, что полученные полимеры имеют аморфную структуру,  $T_g$  полимеров ниже физиологического, что открывает возможность их применения в качестве эластичных пленок. Наличие в структуре синтезированных полимеров упорядоченных доменов, вероятно из-за наличия в их структуре боковых гидрофобных заместителей, открывает перспективу для их применения в качестве носителей селективной, контролируемой доставки лекарственных средств.

**CHEMISTRY OF MACROMOLECULAR COMPOUNDS****A PROPOS OF INORGANIC POLYMERS-CONDENSED PHOSPHATES AND SPHERES OF THEIR APPLICATIONS**

Marina Avaliani, Boris Purtseladze, Marina Gvelesiani, Eteri Shoshiashvili, Nana Barnovi

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

The rare earth elements and condensed phosphates of rare earth and/or polyvalent metals are destined to play an even greater role in our "high-tech" society in the future than they have in the past. This judgement is based upon the trend of increasing applications resulting from the electronic structures of these materials that lead to their unusual optical, magnetic, electrical and chemical properties so adaptable to the demands now being placed on materials [ 1-4 ].

In fact many original researches in the field of phosphate's chemistry, notably in the field of chemistry of condensed phosphates of Rare Earths and/or tri and polyvalent metals has begun in the nineteenth century; The German school of chemistry has been very forceful and dynamic in the domain of phosphates. Starting from the pioneer works of Berzelius, Clark and Graham the German chemists elaborated, in the course of this century, a lot of number of condensed phosphates; a great number of pioneer investigations of this epoch are really valuable and – by opinion of well-known scientist - professor A. Durif - are in fact very useful documents [ 2 ].

In the XX century more serious attention of researchers was dedicated as well to the chemistry of phosphates. Subsequently, later on, during the past century chemistry of phosphates, particularly chemistry of condensed phosphates developed much rapidly, for the reasons of the progress of methods of analysis and of the importance and considerable application of phosphates materials in various domain.

The significant properties: elevated thermal stability, important content of phosphorus - these preconditions have caused their application as raw components for manufacture of phosphates glasses; the use of crystalline and non crystalline ultraphosphates in quantum electronics are predetermined by their specific properties.

Between a varieties of condensation schemes taking place in phosphoric anions one of them leads to the arrangement / configuration of cyclic substances, oligomeric or polymeric formation. The corresponding entities/salts, for a long time nominated metaphosphates are entitled and identified such as cyclophosphates.

Condensed phosphates (or that is to say inorganic polymers) of polyvalent metals, notably double condensed phosphates of polyvalent metals, for example – of rare earth metals with alkali or other monovalent metals possesses a number of rather interesting and valuable, appreciable properties, which explains prospects of their application.

Various cyclophosphates with different formula were synthesized and described in chemical literature for the period of last 30-40 years, but a number of the defined entities have not been investigated from a structural point of view to date and the character of the anion remains to be definitively confirmed [ 2, 4-6 ].


Built up by a ring of corner-sharing  $\text{PO}_4$  tetrahedra, the general formula of their anions is  $\text{P}_n\text{O}_{3n}^{\text{n}-}$ . Actually very interesting anions are known for  $n=3, 4, 5, 6, 8, 9, 10$  and  $12$  [ 2-6 ].

In compliance with the nomenclature published by Professor Durif (LEDSS, Université Joseph Fourier, Grenoble, France, 2005), prior groups are : cyclotriphosphates, cyclotetraphosphates, cyclopentaphosphates, cyclohexaphosphates, cyclooctaphosphates, cyclononaphosphates, cyclodecaphosphates, cyclododecaphosphates [ 2 ]. By various authors, the utmost interesting and particularly preferred mainly representatives of called classes are:

In references [ 2,4 ] the authors methodically and exhaustively reviews in details the present state of condensed phosphates, examine the recent developments in X-ray structural techniques, reporting on fundamental results obtained through their use.

Quoting M-T. Averbouch-Pouchot, "The suggested classification is not revolutionary, with respect to condensed phosphates for instance, but establishes clear boundaries between some categories of compounds such as adducts and heteropolyanion-compounds." [ 6 ].

In spite of the ability of condensation of phosphoric anions is recognized approximately two centuries, the chemistry of inorganic compounds of phosphorous has developed more intensively in the last few years for the reason that, first, the phosphate compounds are most suitable for further development of the chemistry of inorganic polymers, and, second, they are finding ever increasing practical application as fertilizers, detergents and as materials used in engineering and construction.” [ 3].



Application of phosphates is so large and cannot be covered in one paper. In the present discussion we speak shortly about the use of the mentioned phosphate's systems of hardening which are used in fine arts also. The procedure of thermophosphate painting is very simple. The base material (asbestos—cement sheeting, fibre, cardboard, glass, ceramics, metals) is first coated with phosphate which is fixed by heating, then with phosphate colours (by a brush or by spraying). Thereafter, the colour layer is treated (for example, pulverized) with a fixative containing phosphate adhesive. By academician I.V. Tananaev, - finally it is heated for 2-3 minutes at 200-400 °C using an electric shield -for large size paintings, or an ordinary gas burner or other modes of heating. The painting so obtained is moisture- and heat-proof and does not call for special conditions necessary for prolonged storage.

Certain details concerning thermographic painting-in fact a new trend in the art avowed as "Thermophosphate Pictorial Art", developed by O.Pavlov are available in the works of this author. Summarizing in brief, he has developed mineral as well as phosphate paints in three forms: thermo phosphate paints, powder colours, pastel and artistic colours.

The further investigations in this branch of inorganic chemistry must be interesting for researchers in this domain, especially in purpose to enlarge the sphere of utilization of condensed phosphates.

The development of phosphate's chemistry during the last years is due to the researches and progress in this domain and obtaining of a new compounds with the mixed anions, notably: phosphato-borates, phosphato-silicates etc., and phosphates, in which the part of oxygen atoms are replaced by nitrogen, fluorine or sulphur atoms.

The phosphate's binding agents, phosphato-binders and laser materials are supplanted/ replaced by biomaterials, on the base of polyphosphates and hydroxyl apatite. Academician Tananaev always underlined the vital role of hydroxyl apatite, such as main corposant of the bio organisms comparable by their great importance with the DNA [17].

The immense contribution of academician I.V. Tananaev, Dr. N. Chudinova, L.N. Komissarova, I.V. Tananaev, I. and X. Grunze, as well as Dr. A. Durif, M-T. Averbuch-Pouchot in the development of chemistry of phosphates is undoubted.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Karl A. Gschneidner, Jr. and LeRoy Eyring; Handbook on the Physics and Chemistry of Rare Earths, 1987, vol. 9, Elsevier Science Publisher B.V., p. 5-6
2. A.Durif, Solid State Sci. 2005, vol.7 ; p. 760-766.
3. I.V.Tananaev, Pure & Appl. Chem., 1980, vol.52, Pergamon Press Ltd. p.1099-1115.
4. A.Durif, Crystal Chemistry of Condensed Phosphates. Plenum Press, 1995, p.408
5. M.A.Avaliani, Doct. Thesis/dissertation, N. Kurnakof institute of General and Inorganic Chemistry, Moscow, (1982), p.182.
6. M.Th.Averbouch-Pouchot, A.Durif; Topics in phosphate chemistry, World Scientific, 1996, pp. 174-209
7. G.A.Bandurkin, N.N.Chudinova, K.K.Palkina, G.M.Balagina, M.G.Komova; RUSS.J.Inorg. Chem. 2008, vol. 53, N7, p. 1077-1087
8. A.Oudahmane, D.Avignant, D.Zambon, Structure reports online, 2010, vol.2, p.149-150
9. V.M.Skorikov, G.F.Gubskaya, Neorgan. Mater., 2004, vol. 40, N6, p. 765-766
10. K.Palkina, S.Maksimova, N.Chibiskova, Structure of LiGa(PO<sub>3</sub>)<sub>4</sub>, Neorgan. Materialy, 1981, vol. 12, N1, p. 95-100
11. M.A.Avaliani, I.V.Tananaev, M.K.Gvelesiani; Synthesis and Investigation of Double Condensed Phosphates of Scandium and Alkali Metals; Abstracts for Synthesis Chemists, FIZ CHEMIE Berlin, J. Phosphorus, Sulfur Silicon Relat. Elem. CODEN PSSLEC; ISSN 1042-6507, © 2003 - 2011 FIZ CHEMIE Berlin
12. M.Avaliani, M.Gvelesiani, "Areas of crystallization of condensed scandium and caesium phosphates and regularities of their formation", Proceeding of the Georgian Academy of sciences, 2006, vol. 32, N1-2, pp. 52-58
13. E.V.Murashova, N.N. Chudinova, Double condensed phosphates of caesium-indium, J. Neorgan. Materialy, 2001, vol. 37, N12, p. 1521-1524
14. I.V.Tananaev, X.Grunze, N.N.Chudinova, Prior directions and results in the domain of condensed phosphates' chemistry, J. Neorgan. Materialy, 1984, vol. 20, N6, p. 887-900

15. I.V.Tananaev, Some Aspects of the Chemistry of Phosphates and their Practical Application, Problems of Chemistry and Chem. Technoogy, Nauka, 1977, p.15-30
16. E.N.Beresnev, Study of the Pr(NO<sub>3</sub>)<sub>3</sub>-H<sub>8</sub>L-H<sub>2</sub>O System by Tananaev's method www.springerlink.com/index/A977R248420T060H.,2010.
18. N.T.Kusnetsov, N.N.Chudinova, I.A.Rozanov. Analysis and Synthesis, Harmony and Contrepoint; Vestnik Rosiiskoy Akademii Nauk, 2004, vol. 74, N5, p. 460-476

**პონდენსირებული ფოსფატები, როგორც არაორგანული პოლიმერები და მათი გამოყენების სფეროები**

მარინე ავალიანი, ბორის ფურცელაძე, მარინა გველესიანი, ეთერ შოშიაშვილი, ნანა ბარნოვი  
ივანე ჯავახიშვილის ხახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაფიქუ ავლაძის არაორგანული  
ქმისა და ქლუქტროქმის ინსტიტუტი

**რეზიუმე**

უკანასკნელი სამი-ოთხი ათწლეულის მანძილზე კონდენსირებული ფოსფატების ქმის სწრაფი განვითარება განპირობებულია ანალიზის და სინთეზის პროგრესული მეთოდების დაწერგვით, არაორგანული პოლიმერებისადმი მზარდი ინტერესით და მნიშვნელოვანი მიღწევებით კრისტალოქიმიის დაწვში. სწორედ ბოლო წლებში იქნა მიღებული და აღწერილი ახალი მრავალრიცხოვანი ოლიგოფოსფატი, პოლიფოსფატი, ორმაგი კონდენსირებული ფოსფატი და ციკლოფოსფატი, იქნება ეს ორმაგი ტეტრა-, ჰექსა-, ოქტა- თუ დოდეკაფოსფატი. ჩვენს მიერ პირველად იქნა სინთეზირებული და შესწავლილი პოლივალენტური მეტალების 60-ზე მეტი ორმაგი კონდენსირებული ფოსფატი, რომლებიც შეიცავნ აგრეთვე ერთვალენტიან კათიონს. ისინი ხასიათდებიან მთელი რიგი საინტერესო და მნიშვნელოვანი თვისებებით, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას ტექნიკის თუ მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, ასევე ყოფაცხოვრებაში.

**APROPOS OF INORGANIC POLYMERS - CONDENSED PHOSPHATES AND SPHERES OF THEIR APPLICATIONS**

Marina Avaliani, Boris Purtzeladze, Marina Gvelesiani, Eteri Shoshiashvili, Nana Barnovi  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and  
Electrochemistry*  
**SUMMARY**

During last 30-40 years the increase of condensed crystal chemistry was due to the very rapid development of progressive methods of analysis, as well as to the evolution and achievements in this domain of chemistry. Numerous oligophosphates, polyphosphates, double condensed phosphates and cyclophosphates with diverse formula, such as double tetra-, double hexa-,octa- and/or dodecaphosphates were obtained and described in chemical literature last years. We synthesised more than 60 new double condensed phosphates of polyvalent metals, containing monovalent metals. Those compounds possess a number of rather interesting and valuable, appreciable properties, which explains prospects of their application in various spheres of technique and industry, also in everyday life.

**О КОНДЕНСИРОВАННЫХ ФОСФАТАХ, КАК КЛАССЕ НЕОРГАНИЧЕСКИХ ПОЛИМЕРОВ, И О СФЕРАХ ИХ ПРИМЕНЕНИЯ**

Марина Авалиани, Борис Пурцеладзе, Марина Гвелесиани, Этери Шошиашвили, Нана Барнова  
*Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили, Институт Неорганической химии и электрохимии Р. Агладзе*

**РЕЗЮМЕ**

За последние три-четыре десятилетия химия конденсированных фосфатов развивается довольно стремительно, что обусловлено возрастающим интересом к классу неорганических полимеров и внедрением прогрессивных методов анализа и синтеза новых соединений, а также достижениями в области кристаллохимии. За последние годы были получены новые олигофосфаты, полифосфаты, двойные конденсированные фосфаты и циклофосфаты, такие, как двойные тетра-, гекса-, окта или додекафосфаты. Нами впервые было синтезировано и изучены более 60 двойных конденсированных соединений поливалентных металлов, содержащих одновалентный катион. Эти соединения характеризуются рядом интересных свойств, что обуславливает их применение в технике, в производстве и быту.

## ნავთობის ქიმია

## პლაზმის ნავთობის ნარჩენის უტილიზაციისათვის

გურამ ხიტირი, იოსებ ჩიკვაიძე, თინათინ გაბუნია  
იჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუტი მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმის ინსტიტუტი

ნაჩვენებია ნავთობის მიღსადენის დანალექი ნარჩენის გამოყენების პერსპექტივა დეფიციტური მცირებონაშიანი პროდუქტების მისაღებად და ნარჩენის უტილიზაციით ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის გზა.

დიდ მანძილებზე ნავთობის ტრანსპორტირებისათვის საუკეთესო საშუალებაა მიღსადენის გამოყენება. საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან არსებობდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური ნავთობსადენი ბაქო-ბათუმი. ამჟამად ექსპლოატაციაშია ბაქო-თბილის-ჯეიპანის გრანდიოზული ნავთობსადენი, რომლის გამტრუნარიანობა ბევრად აღმატება წინამორბედს.

ნავთობსადენის ექსპლოატაციისას მიღების კედლებზე საქმაო რაოდენობით იღებება ნავთობის მძიმე კონკრეტულები ეწ. ნავთობსადენის ნარჩენი – ნახევრადმყარი, ბლონტი მასის სახით, ეს ნარჩენი ამცირებს ნავთობსადენის გამტარუნარიანობას და იწვევს სხვადასხვა სახის შეფერხებებს, მაგ. ავარიებს და მათ თანმხლებ მძიმე ეკოლოგიურ შედეგებს. ამდენად, აუცილებელია ნავთობსადენის პროფილაქტიკა-გაწმენდა, რაც შესაბამისი სტანდარტით არის გათვალისწინებული და პერიოდულად ტარდება კიდევ.

ნავთობსადენის ექსპლოატაციისას ჩნდება პრობლემა – გროვდება დიდი რაოდენობით ნარჩენი მასა, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოში დღემდე არ არსებობს ნავთობსადენის ნარჩენის გამოყენების პრაქტიკა. ეს ფაქტურულ უსარგბლო ნარჩენი აღმოჩნდა ძალზე იაფი და მდიდარი ნედლეული. ბუნებრივი რესურსების სიმებისა და ბუნების დაცვის გამკაცრებული მოთხოვნების გამო აუცილებელია იაფი ნარჩენის უტილიზაციის ახალი ეფექტური მეთოდების შემუშავება.

ნავთობსადენის ნარჩენი ხასიათდება საინტერესო ქიმიური შედგენილობით და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით. ნაერთები ნარჩენში იმყოფება პირველყოფილი სახით. ამით ნავთობსადენის ნარჩენის შედგენილობა განსხვავდება ნავთობწარმოების ნარჩენებისაგან (მაგ. მაზუთი, გუდრონი), რომელთაც გავლილი აქვთ მაღალტემპერატურული თერმული დამუშავება. მათთან შედარებით ნავთობსადენის ნარჩენი გაცილებით პერსპექტიულია დეფიციტური მცირებონაშიანი პროდუქტების მისაღებად.

სამცნიერო ლიტერატურაში მიღსადენის ნარჩენების უტილიზაციისა და რაციონალური გადმოშავების შესახებ დღისათვის არსებული ინფორმაცია საქმაოდ მწირია. ეს გამოკვლევები ძირითადად მიმართულია ნავთობსადენში საცობების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. ბაქო-თბილის-ჯეიპანის მიღსადენის გამტარუნარიანობის დაგებმილი ზრდა საქმაოდ გაზრდის ნარჩენის რაოდენობასაც, რაც უფრო აქტუალურს გახდის ამ ნარჩენის უტილიზაციის პრობლემას, რასაც ეძღვნება ჩვენი კლევა.

ნავთობსადენის ნარჩენის ფიზიკურ-ქიმიური და ქრომატომასტექტრომეტრული პარამეტრების შესწავლის შედეგად დადგინდა ნარჩენის ნახშირწყალბალური შემადგენლობა. ის ძირითადად შედეგება ფისოვან-ასფალტენური და პარაფინული ნაერთებისაგან. ამ ნარჩენის მოდერნიზებულ სარექტიფიკაციო სვეტზე დაყოფით მიღებული ფრაქციების შესწავლით გამოიკვეთა მცირებონაშიანი დეფიციტური ძვირფასი პროდუქტების მიღების შესაძლებლობა. ასეთი პროდუქტებია კონსისტენციური საცხები, სანთლები, ვაზელინები, პეტროლატუმი, შესაფერი მასალის გამულების საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტარის დასაფარი კომპოზიციები, მასტიკა, პასტები და სხვ. [1, 2].

ნავთობსადენის ნარჩენის შესწავლისათვის გამომოყენებით მოდიფიცირებული სარექტიფიკაციო სვეტი VKL 70-4R. ნარჩენი წარმოადგენს ნახევრადმყარ ამორფულ მასას. გაუწყლოების შემდეგ ხდება მისი გაცხელება გალლობამდე. მიღებული შავი ფერის ბლონტი სითხე თავსდება დისტილატორის კუბში და ცხელდება 80-550°C ტემპერატურაზე და 1 ატმ. – 10<sup>-3</sup> მმ ვერცხლწყალს. წევის პირობებში [3].

საწარმოო ტიპის ლაბორატორიულ დანადგარზე APH-2 რექტიფიკაციის შედეგად შემდეგი ვიწრო ფრაქციები: 80-120°C, 120-150°C, 150-190°C, 190-250°C, 250-300°C, 300-350°C, 3400°C, 400-450°C. პრაქტიკული მოსაზრებით მოხდა ფრაქციების გაერთიანება, რის შედეგადაც მივიღეთ ოთხი ძირითადი საკვლევი ფრაქცია: I-80-190°C (გაერთიანდა სამი ფრაქცია), II-190-300°C (გაერთიანდა ორი ფრაქცია 190-250°C და 250-300°C), III- 300-350°C, IV-350-450°C (გაერთიანდა ორი ფრაქცია 350-400°C და 400-450°C) და ნარჩენი >450°C.

დადგენილია ამ ფრაქციების ძირითადი მახასიათებელი კონსტანტები: სიმკვრივე, გარდატეხის მაჩვენებელი, ფრაქციის გამოსავლიანობა, აალების და ფეთქვის ტემპერატურები, მუვური რიცხვი (ცხრილი 1).

**ცხრილი 1.** მიღსადენის ნარჩენიდან გამოყოფილი საკვლევი ფრაქციების დახსასათება

ფრაქც. №	ტემპერ. °C	გამოსავ ლიანობა, %	სიმკვრივე, ρ	პარაფინები, %	ფისები+ ასფალტ., %	არომატიკა, %	მევური რიცხვი
I	80-190	12	0,8158	—	—	—	—
II	190-300	14	0,8519	25	30	15	0,06
III	300-350	10	0,8830	55	10	35	0,09
IV	350-450	23,3	0,8890	75	15	10	0,10
ნარჩენი	>450	40,7	0,9600	30	25	45	0,15

მოცემულია რეკომენდაციები ამ ფრაქციების გამოყენების სფეროების შესახებ:

ფრაქცია I (80-190°C) – შეიძლება გამოყენებული იქნას: а) გამხსნელად ტექნიკური მიზნებისათვის; ბ) ბენზინის კომპონენტად;

ფრაქცია II (190-300°C) – შეიძლება გამოყენებული იქნას ზაფხულის დიზელის საწვავად;

ფრაქცია III (300-350°C) – შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც დიზელის საწვავის კომპონენტი;

ფრაქცია IV (350-450°C) – შეიძლება განვიხილოთ როგორც პარაფინების და ცერეზინების წყარო, აგრეთვე როგორც კომპონენტი მასტიკებისა და ტექნიკური გაზელინისათვის. ამ ფრაქციაში პარაფინების შემცველობა 70%-ია, რაც ძალიან იშვიათი და მაღალი მონაცემია.

ნარჩენიდან გამოყოფილ და გასუფთავებულ პარაფინებისა და ცერეზინების ნარევს საკმაოდ მაღალი ლილობის ტემპერატურა აქვს, შესაბამისად 64–67°C და 78–82°C, რაც იძლევა მათი საყოფაცხოვრებო, საეკლესიო ან დეკორატიული სანთლებისათვის გამოყენების შესაძლებლობას.

ფრაქცია (>450°C) საუკეთესო ნედლეულია ელექტროდენის კოქსის, საიზოლაციო მასალების, ბიტუმების, ლუმინესცენტური კომპონენტების და სხვ. მისაღებად.

ჩვენს მიერ მოწოდებულია ნავთობის მიღსადენის დანალექის უნარჩენი უტილიზაციის ეკოლოგიურად უსაფრთხო სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა დნალექი ნარჩენის რექტიფიკაციით და მოლეკულური დისტილაციით მიღებული იქნას მაღალხარისხის დეფიციტური პროდუქტები მინიმალური ოპერაციებით, კრეატიული სტადიების გვერდის ავლით, ანუ მარტივი ტექნოლოგიით.

#### ლიტერატურა — REFERENCES— ЛИТЕРАТУРА

- Школьников В.М. Топливно-смазочные материалы, технические жидкости, ассортимент и применение. Москва «Техинформ», 1999, 596 с.
- Шарифулин А.В., Байбекова Л.Р., Сулейманов А.Т. Особенности состава и строения нефтяных отложений.-Технология нефти и газа, 2006, №6, с. 19-24.
- გ.ხიტირი, ლ. თოფურიძე, თ. გაბუნია. ნავთობსადენის ნარჩენის რაციონალური გადამუშავება. სიმპოზიუმი ორგანულ ქიმიაში – 16 ოქტომბერი 2009, სიღნაღი, 143-144.

#### STUDY OF THE POSSIBILITIES FOR DISPOSING OF OIL PIPELINE RESIDUES

Guram Khitiri, Ioseb Chikvaidze, Tinatin Gabunia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Petre Meliqishvili Institute of Physical and Organic Chemistry

#### SUMMARY

The expediency of rational utilization of oil-pipeline residues to obtain low-tonnage commercial products for everyday use and for solving of ecological problems is shown.

#### ИЗУЧЕНИЕ ВОЗМОЖНОСТЕЙ УТИЛИЗАЦИИ НЕФТЕПРОВОДНЫХ ОСТАТКОВ

Г.Ш.Хитири, И.Ш.Чиквайдзе, Т.И.Габуния

Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили

Институт физической и органической химии им. П.Меликишвили

#### РЕЗЮМЕ

Показана целесообразность рационального использования нефтепроводных остатков для получения малотоннажных коммерческих продуктов бытового назначения и для решения экологических проблем.

## ნავთობის ქიმია

## საქართველოს მეორადი ნედლეულიდან მიღებული საჭვავი ბრიპეტების დახასიათება

ნათელა ხეცურიანი, ელზა თოფურია, ზურაბ გონგლიაშვილი, ესმა უშარაული,  
ქეთევან გოდერძიშვილი, ირინე მჭედლიშვილი, ზაზა მოლოდინაშვილი, მადლენა ჩხაიძე,  
ვლადიმერ ციციშვილი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამუცნიერო ფონდი  
თსუ, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითის ინსტიტუტი

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წვადი ნედლეულის ნარჩენების გადამზადებით დამზადებულია ბიო და შერეული კომპოზიციის 50-მდე საწვავი ბრიკეტის ნიმუში. განსაზღვრულია როგორც ნარჩენი მასალის, ისე ბრიკეტების მახასიათებლები, რის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები მათი ვარგისიანობის და ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ბრიკეტების დასამზადებლად პირველად არის გამოყენებული სიმინდის ფესვების ნაფქვი, „დსპ“-ს ნაფქვი და შემცვრელ მასალად – პოლიეთილენი. განსაზღვრულია ბრიკეტების წვის შედეგად მიღებული ენერგიის რაოდენობა და გარემოს დაცვის ეკოლოგიური ეფექტი.

თანამედროვე მსოფლიოში ბუნებრივი ენერგორესურსების და ენერგიის დაზოგვის ტექნოლოგიის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარემოში დაგროვილი მყარი წვადი ნარჩენების უტილიზაციის ტექნოლოგიის შემუშავება აღტერნატიული საწვავის მისაღებად წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას, რაც თავისთვის გამოიწვევს ტრადიციული ენერგორესურსების დაზოგვას და გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების შემცირებას. ენერგიის აღტერნატიული წყაროების მოძიება და ენერგოტექნოლოგიების შექმნა განვითარებული ქვეწების ერთ-ერთ მთავარი პრობლემას წარმოადგენს [1].

ბრიკეტული საწვავის დასამზადებლად დიდ გამოყენებას პოულობს ქვანარშირის მოპოვების ნარჩენები(მტკერი, შლამი, ნატეხები), რაც მეორად ენერგეტიკულ ნედლეულს წარმოადგენს. ამ ნედლეულის უტილიზაციის საფუძველზე წვადი ბრიკეტების წარმოება წარმოადგენს აღტერნატიული საწვავის მიღების მაღალეფექტურ და რენტაბელურ საშუალებას და იგი ფართოდ არის გავრცელებელი მსოფლიოში. ნახშირის საფუძველზე დამზადებული ბრიკეტების შესაფარი წარმოება 110 მლნ ტონაზე მეტს შეადგენს [1,2].

მსოფლიოს წამყვან ქვეწებში დამატებითი თბური ენერგიის მისაღებად ბოლო წლებში უპირატესობა შეიძინა ბიოსაწვავიდან თბური და ელექტროენერგიის მიღების ტექნოლოგიების განვითარებამ. მნიშვნელოვან ბიოსაწვავად ითვლება ხე-ტყის მასალის ნარჩენები(ნახერხი, ბურბუშელა, ნაფოტი, ქერქი სა სხვა)როგორც საუკეთესო ნედლეული სუფთა საწვავზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში ადგილი აქვს ლიგნინის გამოყოფას, რის საფუძველზეც ხდება ბრიკეტების ფორმირება. მიღებული საწვავი ბრიკეტის თბურნარიანობა 16,5მჯ/კგ(შეშის 10-11მჯ/კგ), გამონაბოლქვი აირების რაოდენობა მინიმალურია. დღეისათვის ევროპა 12მლნ ტონაზე მეტ ბიოსაწვავს მოიხმარს, ნავარეულებია 2020წლისთვის ბიო საწვავის მოხმარების 20მლნ ტონამდე გაიზრდა[1-5].

საქართველოში დღეისათვს არსებული თბური ენერგიის დეფიციტი გამოწვეულია ქვეყანაში ბუნებრივი ენერგორესურსების შეზღუდული რაოდენობით. წვადი ბრიკეტების წარმოებას გააჩნია თბური ენერგიის პრობლემის გადაჭრის პრატიკული პერსექტულივა, როგორც ქვეყნის ცენტრალურ, ასევე მთან რაიონებში[2]. მეორადი ნედლეულის უტილიზაციით წარმოებული აღტერნატიული თბური ენერგია გამოყენებული იქნება საყოფაცხოვრებო-კომუნალურ სექტორში, მცირე საწარმოებსა და ენერგეტიკაში. ადგილობრივი მეორადი ნადლეულის საფუძველზე ბრიკეტული საწვავის წარმოება წარმოადგენს რაციონალურ, მაღალეფექტურ და რენტაბელურ საშუალებას, ხოლო ნარჩენების უტილიზაცია უზრუნველყოფს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას [6,7].

წარმოდგენილი კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნახშირბადშემცველი წვადი ნედლეულის ნარჩენების ბაზაზე ბრიკეტული საწვავის დამზადება, რომელშიც

შემკვრელად, წვის აქტივატორად და მოდიფიკატორად აღგილობრივი მასალებია გამოყენებული. ჩვენს მიერ შესწავლილ იყო საქართველოში არსებული ძირითადი წვადი ნედლეულის ადგილმდებარეობა და მარაგების სავარაუდო რესურსები(ნახაზი2). ნახშირბადშემცველი ნარჩენებიდან ფურადღება შევაჩრეოთ ქვანახშირის ნაყარ გროვებზე, ხის ნახერზე და ხებურბუშელას ფილის ნაფექზე [2,5]. როგორც ცნობილია ნახშირის მარაგი განაწილებულია როგორც სამრეწველო საბადოებში, ასევე მცირედ გამოკვლეულ და 200-მდე შეუსწავლელი საბადოების ბუდობებსა და გამოვლინებებში. ნახშირის ექსპლოატაცია XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ცხრილში 1 წარმოდგენილია საქართველოს ნახშირების მახასიათებლები. საქართველოში ძირითადად მოიპოვება ქვანახშირი (ტყიბული-შაორი, გელათი, მაღანი, ტყვარჩელი, ბზიფი) და მურა ნახშირი(ვალე-ახალციხეში, სამხრეთ კახეთი). სულ ნახშირის მარაგი 435,62 მლნ.ტ შეადგენს[9-10]. ქვანახშირის შემცველი შერეული კომპოზიციების დასამზადებლად შერჩეული იყო ტყიბულის ქვანახშირის საწარმოო ნარჩენი, რომელიც წარმოადგენს მქრქალ სპორტულ დიურენს, რომელშიც შეიმჩნევა ვიტრინიტის მცირე ზომის ლინზები და მინერალური ჩინართები მცირე რაოდენობით, რაც განსაზღვრავს ამ ნედლეულის დაბალ ნაცრიანობას.

#### ცხრილი 1. საქართველოს ნახშირების მახასიათებლები

ნახშირის დასახელება	ტექნიკური ანალიზი, %				თბო-ტევა-დობა, კკალ/კგ	ელემენტური ანალიზი, %			
	W <sup>a</sup>	A <sup>c</sup>	V <sup>r</sup>	S <sup>c</sup>		C <sup>r</sup>	H <sup>r</sup>	N <sup>r</sup>	(O+S+N) <sup>r</sup>
<b>ტყიბული – შაორის ქვანახშირი</b>									
კლარენსული	8,4	24,7	42,0	2,5	5941	78,1	5,28	1,8	14,7
დიურენსული	7,7	30,3	45,9	1,8	5538	74,7	6,68	1,6	17,0
როულზოლიანი	7,9	23,8	44,1	2,5	6056	77,3	5,95	1,7	14,8
ქსილოვიტრენსული	7,1	28,1	47,5	2,1	4494	74,6	6,69	1,7	18,8
ლიპტობილითური	6,7	31,1	52,1	2,7	5179	74,5	6,86	1,8	16,7
<b>ვალე – ახალციხის მუჟრა ნახშირი</b>									
კლარენსული	12,6	18,24	44,3	2,6	4955	71,8	6,04	1,6	20,3
ვიტრენსული	12,3	17,6	45,8	1,2	4888	70,4	5,98	1,6	22,0
დიურენსულ-კლარენსული	11,4	16,0	47,0	0,9	5250	69,6	6,80	1,7	21,8
დიურენსულ-კლარენსულ თიხიანი	12,0	28,4	46,8	2,8	4084	70,3	6,30	1,6	21,5
დიურენსულ-თიხიანი	11,3	35,0	50,0	1,7	3635	69,4	6,83	1,8	21,93


ქვანახშირის დაქუცმაცებისა და გაცრის შემდეგ საბრიკეტე კომპოზიციებისთვის მომზადდა ორი წვრილმარცვლოვანი ფრაქციის ნარევი თანაფარდობით: I 0–1,25 მმ –60%; II 0–2,50 მმ –40%. დაქუცმაცებული ხის მასალიდან გამოიყო 3 მმ-ზე ნაკლები მარცვლოვნების ფრაქციები. ბრიკეტირების პროცესისთვის შემკვრელ მასალად ორგანული ნაერთებიდან შერჩეულ იქნა ნავთობშლამები, ბიტუმები, პოლიეთილენი და პენოპლასტი, ხოლო არაორგანული ნაერთებიდან – სხვადასხვა თიხები. წვის აქტივატორად გამოყენებული იყო უროტროპინი და სხვა ნაერთები. მოდიფიკატორებად გამოყენებული იყო გუდრონი, პენოპლასტი, მაგნიტის შემცველი გეოლოგიური მასალა, მანგანუმის ოქსიდი, მაგნეზიტი, კალციუმის კარბონატი და სხვა [5].

ბიო მასალად გამოყენებული იყო მერქნის ნარჩენი ფიჭვისა და ნაძვის ნახერზი. საქართველოში მერქნის მარაგი 9 51,7 მლნ კუბური მეტრია, მათგან გადამუშავებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 40%-ია. მერქნის აბსოლიტური თბოუნარიანობა სხვადასხვა ჯიშის ხეებისათვის 4753 კკალ/კგ. ბრიკეტების წარმოებისთვის იყენებენ სხვადასხვა ხის მერქნის ნარჩენებს: ნახერზი, ბურბუშელა, ნაფოტი, ქერქი. ცხრილში 2 მოცემულია სხვადასხვა ჯიშის მერქნის მახასიათებლები [3, 4, 6].

ცხრილი 2. სხვადასხვა ჯიშის მერქნის მახასიათებლები.

ნიმუშის დასახელება	ფართობი, ათასი ჰა	მერქნის მარაგი, ათასი მ <sup>3</sup>	მოცულობითი თბო- უნარიანობა, კკალ/კგ	მერქნის სიმკვრივე, კგ/დმ <sup>3</sup>
უხა	186	17525,42	3240	0,690 - 1,03
ჭიფელი	1035	2365668,84	3000	0,620 - 0,820
ფიჭვი	200,5	112014,0	2080	0,310 - 0,760
ნაძვი	119,5	34660,85	1800	0,370 - 0,750
ჭადარი	268,0	150000,0	1600	0,390 - 0,590
ჭაბლი	46,6	10529,88	2600	0,600 - 0,720

წვადი მასალის შემავსებლად ზოგიერთ კომპოზიციებში გამოყენებული იყო თიხები, რომლებიც მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოში [9]. ასკანის თიხების საბალანსო მარაგი 9,5 მლნ ტონას შეადგენს, გუმბრინის – 5,2 მლნ ტ. ნახაზზე 1 წარმოდგენილია ასკანის, გუმბრინის და გარეჯის თიხების ქიმიური შემადგენლობა, ხოლო ნახაზზე 2 საქართველოს ბუნებრივი რესურსების განაწილება და მარაგები.



ნახაზი 1. ასკანის, გუმბრინის და გარეჯის თიხების ქიმიური ანალიზი: 1-დედაქანი(ტუფი); 2,3,4-ასკანის თიხა; 5-გუმბრინის თიხა; 6-გუმბრინის თიხა(ქარხნის პროდუქტი); 7-საგარეჯოს თიხა



ნახაზი 2. საქართველოს ბუნებრივი რესურსების განაწილება და მარაგები

დამზადებულია წვადი ნარჩენების კომპოზიციები 50 ნიმუშზე მეტი, გარკვეული ნაწილის ტექნიკურ-მექანიკური მახასიათებლები(დაპრესვის ტემპერატურა, წნევა, სიმკვრივე, მდგრადობა შეკუმშვის მიმართ) წარმოდგენილია ცხრილში 3.

### ცხრილი 3. წვადი ნარჩენების კომპოზიციების ძირითადი მახასიათებლები

№	საწვავი ბრიკეტების კომპოზიციები	დაპრესვის		ზედრითი წონა გ/სმ <sup>3</sup>	მდგრადობა შეკუმშვის მიმართ
		ტემპერა- ტურა, °C	წნევა ატმ		
1.	I კომპოზიცია	100	200	1,3561	უძლებს 10 ატმ.
2.	I კომპოზიცია	150	250	1,5250	უძლებს 10 ატმ.
3.	II კომპოზიცია	100	250	1,7889	უძლებს 10 ატმ.
4.	IV კომპოზიცია	100	250	1,6250	უძლებს 10 ატმ.
5.	V კომპოზიცია	100	250	1,4565	უძლებს 10 ატმ.
6.	VI კომპოზიცია	200	250	1,3900	უძლებს 10 ატმ.
7.	VII კომპოზიცია	200	250	1,2600	უძლებს 10 ატმ.
8.	IX კომპოზიცია	200	250	1,4400	უძლებს 10 ატმ.
9.	ხის ნარჩენი	250	250	1,2200	უძლებს 95 ატმ.
10.	II ხის ნარჩენი	100	150	0,7300	უძლებს 20 ატმ
11.	II კომპოზიცია	100	200	0,7700	უძლებს 20 ატმ
12.	II კომპოზიცია	150	150	0,7800	უძლებს 25 ატმ
13.	II <sup>I</sup> კომპოზიცია	200	200	0,6000	უძლებს 25 ატმ
14.	II <sup>I</sup> კომპოზიცია	250	250	1,1900	უძლებს 10 ატმ.
15.	III <sup>I</sup> კომპოზიცია	150	250	0,900	უძლებს 25 ატმ.
16.	III <sup>I</sup> კომპოზიცია	250	250	1,0300	უძლებს 40 ატმ.
17.	III <sup>II</sup> კომპოზიცია	150	250	1,100	უძლებს 35 ატმ.
18.	III <sup>III</sup> კომპოზიცია	200	250	1,2700	უძლებს 25 ატმ.
19.	III <sup>V</sup> კომპოზიცია	200	250	1,3300	უძლებს 25 ატმ
20.	III <sup>V</sup> კომპოზიცია	200	250	1,3100	უძლებს 25 ატმ.

ჩვენს მიერ დამზადებული ბრიკეტებიდან შეირჩა სამი ბიო და ოთხი ნახშირის კომპოზიცია, რომლებსაც სტანდარტის შესაბამისი მახასიათებლები აქვს. აირ-თხევადი ქრომატოგრაფიული ანალიზით განისაზღვრა წვის შედეგად გამოყოფილი მავნე აირების  $\text{CO}_x$ ,  $\text{NO}_x$ ,  $\text{SO}_x$  მაქსიმალური რაოდენობა. ცხრილში 4. მოცემულია წვის დროს გამოყოფილი მავნე აირები

### ცხრილი 4. ბრიკეტული საწვავების წვის შედეგად გამოყოფილი მავნე აირები

№	ბრიკეტის დასახელება	თბოტევადო ბა, კკალ/კგ	გამონაბოლქვი აირები $\text{dm}^3/\text{კგ}$			წვის შედეგად გამოყოფილი ენერგია	
			$\text{SO}_x$	$\text{NO}_x$	$\text{CO}_x$	$\text{მჯ}/\text{კგ}$	კკტს
1.	“დსპ” ნაფქვი	3956	0,8454	0,0017	0,0038	16.56	4.60
2.	სიმინდის ნაფქვი	3868	0,8210	0,0065	0,0002	16.19	4.50
3.	ახერხი	3955	0,8379	0,0015	0,0001	16.56	4.60
4.	კომპოზიცია 1	4878	0,9409	0,0084	0,0039	20,42	5.67
5.	კომპოზიცია 2	5570	0,9982	0,0068	0,0041	23,32	6.48
6.	კომპოზიცია 3	5355	0,9769	0,0169	0,0084	22,42	6.23
7.	კომპოზიცია 4	5321	0,9698	0,0170	0,0077	22,28	6.19

განისაზღვრა წვადი ნედლეულის, ბიო და შერეული ბრიკეტების ფიზიკურ-ქიმიური, ტექნიკურ-მექანიკური მახასიათებლები და ჩატარდა მათი შედარებითი დახასიათება, რომლის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 5. დადგენილია, რომ სიმინდისა და ნახერხის ბრიკეტები, რომელთა მონაცემები სტანდარტის შესაბამისა, იწვის კვამლის გარეშე და გარემოზე ნაკლებ უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო წვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი კალიუმის შემცველი სასუქია. ბრიკეტების წვის დროს გამოყოფილი მავნე აირების შესწავლით განსაზღვრულია ეკოლოგიური ეფექტი. წვის შედეგად მიღებული ემისიები ( $\text{CO}_x$ ,  $\text{SO}_x$ ,  $\text{NO}_x$ ) 1 კგ პროდუქციაზე დამოკიდებულია ნედლეულში შესაბამისი ელემენტების ( $\text{C}, \text{S}, \text{N}$ ) რაოდენობასა და ოქსიდებს მორის შიდა გადანაწილებაზე წვის პროცესში.

#### ცხრილი 5. წვადი ნედლეულის, ბიო და შერეული ბრიკეტების შედარებითი დახასიათება

წვადი ნედლეული და ბრიკეტები	სიმკვრი- ვე, გ/სმ <sup>3</sup>	ტენია- ნობა, %	ნაცრია- ნობა, %	მდგრა- დობა, კგ/სმ <sup>2</sup>	გამონაბოლქვი აირები, მ <sup>3</sup> /კგ		წვის შედეგად გამოყოფილი ენერგია		მჯ/კგ	კვტსთ
დადგენილია ფლავონოიდების სტრუქტურასა და მათ ანტიმიკრობულ აქტივობას შორის დამოკიდებულება. მაგ: ნაკლებად პოლარული ფლავონოიდები, რომლებსაც B-ჯაჭვზე არ გააჩნიათ პიროვნების ჯგუფები, უფრო მეტად მოქმედებენ ბაქტერიების წინააღმდეგ, ვიდრე იმავე B-ჯაჭვზე პიდროქსილის ჯგუფების მქონე ფლავონოიდები [9]. დადგენილია, რომ ფლავონოიდების ბირთვის მეთილირება ზრდის ამ ნაერთის ანტიბაქტერიულ აქტივობას *Staphylococcus aureus*-ის წინააღმდეგ [10]. რამდენიმე კარიოგენულ ბაქტერიაზე (კარიესის გამომწვევი) (*Actinomyces viscosus*, *A. naeslundii* da *Streptococci*) გამოკვლევით დადგენილია, რომ ფლავონების ანტიბაქტერიული აქტივობის დეტერმინანტებს წარმოადგენენ ამ ნაერთების A და B-ჯაჭვების პოლიკიდროქსილის ჯგუფები (ამასთან, მე-5 ნახშირბადის პიდროქსილირება აუცილებელია) [11]. ასევე დადგენილია, რომ ლიპოფილური მეტოქსილირებული ფლავონოიდები არ წარმოადგენენ კარგ დამცავ საშუალებას მიკროორგანიზმების წინააღმდეგ [12]. კერცეტინისა და კერცეტაგეტინის გლიკოზიდებმა აჩვენა შესამჩნევი ანტიმიკრობული აქტივობა სხვადასხვა პათოგენური მიკროორგანიზმების წინააღმდეგ [13]. ფლავონოიდების მოლეკულაში 3',4',5'-ტრიკიდროქსილისა და 3-OH ჯგუფების არსებობა აუცილებელია იმისათვის. რომ ნაერთმა გამომაჟღავნოს ანტიმიკრობული აქტივობა მაგ: *Staphylococcus aureus*-ისა და *Proteus vulgaris*-ის მიმართ [14]. ფლავონოიდების სამკურნალო უჯერებებიდან მნიშვნელოვანია მათი დამთრგუნველი მოქმედება პათოგენურ სოკოებზე და კერძოდ, აფლატოქსინის პროდუცტზე [15]. აღმოჩნდა, რომ *Polimnia sonchifolia*-დან გამოყოფილი ფლავონოიდები თრგუნავენ აფლატოქსინების პროდუცტებს [16]. ამრიგად, ინფექციური პათოლოგიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით მცენარეული საშუალებების გამოყენება უდავოდ პერსპექტიულია.

შესწავლილი იქნება 4 ენდემური მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის ოპტიმალური პირობები, გამოყოფილი ექსტრაქტების ქიმიური და ინდივიდუალური შედეგების სკრინინგის საფუძველზე მოხდება პერსპექტიული ექსტრაქტების და მცენარეების შერჩევა. შემდგომ ჩატარდება მცენარეებიდან აქტიური სუბსტანციების მიღება და პოზიტიური შედეგების შემთხვევაში დადგინდება ტექნოლოგიური განხორციელების შესაძლებლობები. ფაქტიურად, 4 ენდემური მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შესწავლის საფუძველზე შეირჩევა ახალი პერსპექტიული სამკურნალო საშუალებები მიკრობული, ვირუსული და სხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ. ამასთან ერთად, შესაძლებელია ახალი ტიპის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების დადგენაც, რაც ხელს შეუწყობს მცენარეული ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას. შერჩეული მცენარეების გავრცელების ტექნოლოგიის სიმარტივე, კარგი მოსავლანობა, მრავალწლიანობა შექმნის მყარ საფუძველს მიღებული შედეგების შემდგომი საწარმო გამოყენებისათვის.

ენდემური მცენარეების სამკურნალო ღირებულებების შეფასება აუცილებელია მათი საწარმოო გავრცელებისათვის, რათა გაფართოვდეს ადგილობრივი ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების საწარმოო ბაზა. მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება შერჩეული პერსპექტიული სამკურნალო საშუალებების დამზადება და ფართო კლინიკური გამოცდა.

საქართველოში ადგილობრივი მცენარეული სამედიცინო პრეპარატების ნომენკლატურა ძალზე მცირეა, შესაბამისად შეზღუდულია მცენარეული პრეპარატების დამზადების ნედლეულის ბაზა. ახალი ენდემური მცენარეული ნედლეულის ჩართვა უდაოდ გაფართოებს ასეთი პრეპარატების საწარმოო ბაზის შესაძლებლობებს. ახალი შესაძლებლობებია ასევე პრეპარატების ფორმულაციის დარგში, რომელზეც დიდი მოთხოვნობებაა როგორც საქართველოში, ასევე სამხრეთ კავკასიაში. დამაინის ჯანმრთელობის დაცვა მეტად ხელმისაწვდომი გახდება თანამდეროვე, ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად უსაფრთხო მცენარეული სამკურნალო საშუალებებით, რომელთა დამზადებაც მოხდება ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულის მაქსიმალური გამოყენებით.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Calzada F., Meckes M., Cedillo-Rivera R. Antiamoebic and anti-giardial activity of plant flavonoids. *Planta Med.* 1999, 65, 78–80;
- Nijveldt R., Nood E., Hoorn D., Boelens P. Flavonoids: a review of probable mechanisms of action and potential applications. // *Am. J. Clin. Nutr.* 2001, 74, 418–25;
- Chen C., Wei T., Gao Z., Zhao B., Hou J., Xu H., Xin W., & Packer L. Different effects of the constituents of EGb761 on apoptosis in rat cerebellar granule cells induced by hydroxyl radicals. *Biochem Mol Biol Int.* 1999, 47, 397–405;
- Branda M.G., Krettli A.U., Soares L.S., Nery C.G., Marinuzzi H.C. Antimalarial activity of extracts and fractions from *Bidens pilosa* and other *Bidens* species (Asteraceae) correlated with the presence of acetylene and flavonoid compounds. *J Ethnopharmacol.* 1997, 57, 131–138;
- Yochum L., Kushi L.H., Meyer K., & Folsom A.R. Dietary flavonoid intake and risk of cardiovascular disease in postmenopausal women. *Am J. Epidemiol.* 1999, 149, 943–949;

6. Van Acker S.A., Boven E., Kuiper K., van den Berg D.J., Grimbergen J.A., Kramer K., Bast A., & van der Vijgh W.J. Monohydroxyethylrutoside, a dose-dependent cardioprotective agent, does not affect the antitumor activity of doxorubicin. *Clin Cancer Res.* 1997, 3, 1747–1754;
7. Middleton E., Kandaswami C., Theoharides T. The effects of plant flavonoids on mammalian cells. *Pharmacol Rev.* 2000, 52: 673-751;
8. Lopes N.P., Chicaro P., Kato M.J., Albuquerque S., & Yoshida M. Flavonoids and lignans from Virola surinamensis twigs and their in vitro activity against Trypanosoma cruzi. *Planta Med.* 1998, 64, 667–668;
9. Chabot S., Bel-rhlid R, Chenevert R, and Piche Y. Hyphal growth promotion *in vitro* of the VA mycorrhizal fungus, *Gigaspora margarita* Becker & Hall, by the activity of structurally specific flavonoid compounds under CO<sub>2</sub>-enriched conditions. *New Phytol.* 1992, 122(3): 461-467;
10. Ibewuike J.C., Ogungbamila F.O., Ogundaini A.O., Okeke I.N. and Bohlin L. Antiinflammatory and antibacterial activities of C-methylflavonoids from *Piliostigma thomningii*. *Phytother. Res.* 1997, 11(4): 281-284];
11. Sato M, Fujiwara S., Tsuchiya H, Fujii T., Iinuma M., Tosa H. and Ohkawa Y. Flavones with antibacterial activity against cariogenic bacteria. *J. Ethnopharmacol.* 1996, 54(2.3): 171-176;
12. Mendoza L., Wilkens M. and Urzua A. Antimicrobial study of the resinous exudates and of diterpenoids and flavonoids isolated from some Chilean *Pseudognaphalium* (Asteraceae). *J. Ethnopharmacol.* 1997, 58(2): 85-88;
13. Tereschuk M.L., Riera M.V.Q., Castro G.R., Abdala L.R. Antimicrobial activity of flavonoids from leaves of *Tagetes minuta*. *J. Ethnopharmacol.* 1997, 56(3): 227-232;
14. Mori A., Nishino C., Enoki N, and Tawata S. Antibacterial activity and mode of action of plant flavonoids against *Proteus vulgaris* and *Staphylococcus aureus*. *Phytochemistry.* 1987, 26(8): 2231-2234;
15. Steinhart C.E., Doyle M.E., Cochrane B.A., Micotoxins, In: C.E Steinhart., M.E Doyle., B.A Cochrane (eds), Food Safety, Marcel Dekker, New York, 1996, 376-394;
16. Pak A., Gonsales E., Felicio J., Pinto M.M., Rossi M.H., Simoni I.C., Lopes M.N., Inhibitory activity of compounds isolated from Polimnia sonchifolia on aflatoxin production by Aspergillus flavus., Braz. J. Microbiol., 2006, 37, 199-203.

## SEARCH OF ANTIBACTERIAL SUBSTANCES IN SOME ENDEMIC PLANTS OF GEORGIA

A.Dolidze, N.Gabriadze\*, Z.Manvelidze\*\*, I.Mikadze, N.Kavtaradze, L.Dolidze

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry at Iv. Javakhishvili Tbilisi State University

\*National Center for Disease Control and Public Health

\*\*Batumi Shota Rustaveli State University

### SUMMARY

Elaboration of technologies for obtaining biologically active compounds from natural plant raw materials as well as research of chemical composition of endemic plants and extraction of chosen biologically active substances is actual. It is expected that in the endemic plants together with different chemical profiles of known components existence of biologically active compounds of a new type can be ascertained. Isolation of compounds with antimicrobial, antiviral and other activities to fill the small nomenclature of medical preparations and to develop the new medical means is especially interesting. Particular soil-climate conditions (mixing of mountain and subtropical climate) determines the diversity of endemic plants in Adjara, isolated from them substances, with various biological activity give wider opportunities for research and application.

## ПОИСК АНТИМИКРОБНЫХ ВЕЩЕСТВ В НЕКОТОРЫХ ЭНДЕМИЧНЫХ РАСТЕНИЯХ ГРУЗИИ

А.В.Долидзе, Н.Р.Габриадзе\*, З.К.Манвелидзе\*\*, И.И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

\* Национальный центр контроля заболеваний и здравоохранения

\*\* Батумский Государственный университет им. Шота Руставели

### РЕЗЮМЕ

Вместе с разработкой технологий выделения биологически активных соединений из природного растительного сырья, на передний план вышло изучение химического состава новых эндемичных растений и выделение соединений с выбранной биологической активностью. В эндемичных растениях вместе с содержанием известных веществ различного химического профиля возможно установление существования веществ с биологической активностью нового типа. Особенно интересно выделение веществ имеющих антимикробную, антивирусную и другую активность, чтобы восполнить небольшую номенклатуру имеющихся препаратов и разработать новые средства. Специфические почвенно-климатические (смешанный горный и субтропический климат) условия обуславливают разнообразие эндемичных растений. Выделенные вещества разной биологической активности дают широкую возможность исследования и применения.

## საილენძის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული ფაზის გაფანჯის ტექნოლოგიები

ნელი ყალაბეგაშვილი, დალი იოსელიანი, გულნარა ბალარჯიშვილი, ლია სამხარაძე, ირმა მიქაელი, ავთანდილ დოლიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პუტი მელიქშვილის ფიზიკური და ორგანული ქმის ინსტიტუტი*

საწარმოო სიმბლავრების მუდმივი ზრდა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღების ინტენსიფიკაცია მკვეთრად აუარესებს გარემოს. ბუნებრივი რესურსიდან ამოღებული მაღნის უზარმაზარი რაოდენობიდან საბოლოო პროდუქტად მხოლოდ 2% გარდაიქმნება [1]. ზოგ შემთხვევაში ზდება მაღნის ნარჩენების მეორადი გადამუშავება, რაც ნარჩენების 8-10%-ს შეადგენს.

წიაღისეულის ამოღებისა და გადამუშავებისას წარმოიქმნება დიდი რაოდენობით მძიმე მეტალებით დაბინძურებული წყლები. მძიმე მეტალების შემცველი წყლით გარემოს დაბინძურება ეკოლოგიური თვალსაზრისით ვლინდება ატმოსფეროს ჰაერის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ნიადაგის, ადგილობრივი წარმოების კვებითი პროდუქტების დაბინძურებაში, სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყიდვების მიწის სავარგულების შემცირებაში, ლანდშაფტის დარღვევაში, რაიონის პიდროლოგიური და პიდროლოლოგიური რეჟიმების გაუარესებაში. მომწამლავი ქმიური ელემენტების გამოტანა წყლებით კვლავაც გრძელდება მიწის მონაკვეთის ექსპლუატაციის დამთავრების შემდგაც და შედეგების გავლენა გრუნტის და ზედაპირულ წყლებში ათეულობით წლები მიმდინარეობს [2].

უკველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია წყლის გაწმენდის ისეთი ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც განაპირობებენ დაბინძურებული ჩამდინარე წყლების სამედიცინურო გასუფთავებას.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის მრავალი მეთოდებია ცნობილი: მემბრანული, იონიტური, გალვანოქიმიური, ელექტროქიმიური, სორბციული, ექსტრაქციული და სხვ. აღსანიშნავია ხსნარებიდან სპილენბის ექსტრაქციული ამოღების მეთოდი, რომლის დროს ორგანული ექსტრაგენტების დამატებით ადგილი აქვს თხევადი ფაზიდან მეტალების ორგანულ ნაერთებში გადაყვანის პროცესს. ამის შედეგად წარმოქმნილი პიდროვობური ნაერთი იხსნება მხოლოდ ორგანულ გარემოები. ჩამდინარე წყლების გალვანოქიმიური გასუფთავება დაფუძნებულია განსხვავებული ელექტროლიტიური პოტენციალის მქონე ნივთიერებების ნარევით მათ დამუშავებაზე [3], ხოლო იონმიმოცვლითი მეთოდით ჩამდინარე წყლებს ასუფთავებენ სპილენბის (II) იონებისაგან კათონიტ KY-23-ის საშუალებით [4]. კარიერული მჟავე წყლებიდან სპილენბის სელექტორ ამოღებას ავტორები აწარმოებენ ელექტროლიტური გზით, რისთვისაც შემუშავებული იქნა კონსტრუქცია განზავებული სპილენბშემცველი ხსნარებიდან სპილენბის ამოსაღებად [5]. ჩამდინარე წყლებიდან სპილენბის ამოსაღებად იყენებენ აგრეთვე სორბციულ ტექნოლოგიებს, სადაც სორბენტებად იყენებენ სინთეზურ ფისებს, გააქტივირებულ ნაწშირს, ტორფს, თიხას, ცეოლითებს [6-9]. დაბინძურებული წყლების გაწმენდა არატრადიციული ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით ზდება ბამბუკის მეშვეობით, რომელზედაც ადსორბირდებან მძიმე მეტალები (Cu, Zn, Pb, Hg) [9]. შემუშავებულია მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგის და წყლის გაწმენდის მეთოდი ფიტორემედიაციით და ფიტოსტაბილიზაციით. ამ მიზნით გამოყენებული იქნა მცენარე ლუცერია [10].

ბუნებრივი წყალსატევების და ჩამდინარე წყლების დაცვისა და გასუფთავებისათვის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდად განიხილავთ ხელოვნური გეოქიმიური ბარიერების გამოყენებას.

გეოქიმიური ბარიერი ისეთი ნაკვეთია, რომელზედაც მოკლე მანძილზე ხდება ქიმიური ელემენტების მიგრაციის და, შესაბამისად, მათი კონკრეტრაციის მკვეთრი შემცირება [11]. მეთოდის არსი მდგომარეობის დამატინებულებით კომპონენტების გადაყანაში ნაკლებად მოძრავ ფორმაში. გეოქიმიური ბარიერები თავისებური „ფილტრის“ ფუნქციას ასრულებენ. ამასთან, შესაძლებელია როგორც არსებული ბუნებრივი, ისე ხელოვნურად შექმნილი გეოქიმიური ბარიერების გამოყენება.

პირველად პერელმანის და სხვ. მიერ იქნა შემოთავაზებული გეოქიმიური ბარიერების გამოყენება ეკოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად [12]. გეოქიმიური ბარიერის სახით ბუნებრივი მინერალებიდან

ყველაზე უფრო დიდი გამოყენება ჰპოვეს კარბონატებმა. კალციტის, ღოლომიტის და მაგნეზიტის წარმატებულად გამოყენება განხილულია მრავალი მკვლევარის მიერ [13-15]. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ წყლის ეფექტური გაწმენდა შესაძლებელია კარბონატის შემცველი ქვაცარცით. კარბონატული ქვაცარცი ( $>20\text{-}30\%$  კალციტის შემცველი) მაღალეფექტური სორბენტია მძიმე და ფერადი მეტალებისათვის [16].

შეისწავლეს რა სპილენძის შემცველი ხსნარების მოქმედების პრინციპი ბუნებრივ კალციუმის კარბონატზე, ავტორებმა აჩვენეს, რომ სულფატური ხსნარებიდან მეტალის გამოლექვა ხდება ფუძეულფატების ფორმით [13]. გეოქიმიური ბარიერების მასალად ფართო გამოყენება ჰპოვეს ფენოგანნა ჰიდროსილიკატებმა. შემოთავაზებულია თიხოვანი ირლიტის გამოყენება სორბციული პროცესებისათვის [14].

მაღალ სორბციულ თვისებებს მძიმე მეტალების მიმართ ამჟღავნებრ ჰიდროქსიდის კლასის მინერალები. ასე მაგალითად, შემოთავაზებულია  $Mg(OH)_2$  - ბრუსიტი მძიმე მეტალებისაგან ჩამდინარე წყლების გასაწმენდად [18]. ერთი და იგივე პირობებში ბრუსიტის სორბციული უნარი მძიმე მეტალების მიმართ ათჯერ და ასჯერ აღემატება ცნობილი ბუნებრივი სორბენტების: ცეოლითების, ბენტონიტური თიხების, ტორფის და ა.შ. სორბციულ უნარს. დინამიურ რეჟიმში ბრუსიტი უზრუნველყოფს წყალხსნარების გაწმენდას ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე.

სორბციული გეოქიმიური ბარიერებისათვის ფართოდ გამოყენებადი მასალა, რომელიც ათჯერ უფრო იაფია, ვიდრე ხელოვნური, არის ცეოლითები, დაიტომიტი, ტრებელი, გააქტიურებული თიხები, ტორფი, აზბესტი, ვერმიკულიტი და პერლიტი [19]. მიუხედავად ამ მასალების ნაკლოვანებებისა - სტრუქტურის დეფექტი, ქიმიური შემადგენლობის ცვალებადობა, ხელოვნურ სორბენტებთან შედარებით დაბალი სორბციული ტევადობა, მათი გამოყენება ეკონომიურად ხშირად უფრო გამართლებულია მისალები ღირებულების გამო.

პრობლემის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლების გაწმენდას უდიდესი ყურადღება ექვევა და ხდება ადგილზე, ლოკალურად, ინდივიდუალური ტექნოლოგიების შემუშავება. ასე მაგალითად, ირანში შეისწავლეს მძიმე მეტალების, კერძოდ ტყვიის ადსორბცია ჩამდინარე წყლებიდან ადგილობრივ Firouzkoh ცეოლითზე ადსორბციის ეფექტი შეადგენდა 80%-ს [20], ხოლო Semnan-ის პროვინციის ბუნებრივ კლინოპტილოლიტზე შეისწავლეს Pb, Cd და Zn-ის ადსორბციის იზოთერმები ცალკეული მეტალის, ბინარული და სამივე ელემენტის ნარევის შემთხვევაში. საწყისი კონცენტრაცია შეადგენდა 0,15÷3 მილიმეტრს. ექსპერიმენტის შედეგად დაასკვნეს, რომ აღნიშნული ცეოლიტი შეიძლება გამოყენებული იქნას მძიმე მეტალების, განსაკუთრებით ბ-ის გამოსატანად დაბინძურებული ობიექტიდან [21].

ასევე შეისწავლილი იქნა ადგილობრივ Jabal Al Aritayn ცეოლითით მძიმე მეტალის, Ni-ის გამოტანა Ni-ის სულფატის ხსნარიდან. ცდები ტარდებოდა  $24^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკადურ სისტემაში; დროის ხანგრძლივობა შეადგენდა 12 სთ-ს, ნიკელის კონცენტრაცია -  $20\div100$  მგ/ლ-ს, შეისწავლილი იქნა პროცესის იზოთერმული მრუდები [22].

ავტორების [23] მიერ დადგენილია მორდენიტის ადსორბციის ეფექტის ოპტიმალური ტემპერატურა  $50^{\circ}\text{C}$ , ადსორბციის დრო 85-90 წთ, საწყისი კონცენტრაცია 10 მგ/ლ, მაქსიმალური ადსორბცია შეადგენდა 9 7%-ს.

შეისწავლილია Zn და Cd-ის სამი ზღვრული კონცენტრაციის გავლენა ტყვის და მდელოს ნიადაგების მიკრობულ აქტივობაზე [24].

თურქმა მეცნიერებმა შეისწავლეს მძიმე მეტალების იონების მიმოცვლა ბუნებრივ ცეოლით კლინოპტილოლიტთან. მოამზადეს Cu, Mn და Co ნიტრატის და  $ZnCl_2$  ხსნარები. კლინოპტილოლიტის ფორების ზომები შეადგენდა 63-106 მკმ-ს. ცდები ტარდებოდა აბაზანის (Batch) მეთოდით. ცდის შედეგის მაქსიმუმი იყო შემდეგი:  $Cu^{2+}$  - 66,1%,  $Co^{2+}$  - 77,96 %,  $Zn^{2+}$  - 45,96%,  $Mn$ -19,84 % [25].

კარგი შედეგები იქნა მიღებული მდინარე მტკვრის მღვრიე წყლიდან კლინოპტილოლიტით სპილენძის ამოღებისას 1,2 მ/სთ სიჩქარით ფილტრაციისას. წყალი გასუფთავდა 75-80%-ით [26].

კლინოპტილოლიტით (ძეგვი, საქართველო) სპილენძისაგან გასუფთავებული იქნა შავი ზღვის წყალი. დაადგინეს, რომ სორბცია მიღის პირველი 2-4სთ განმავლობაში, შედეგ მყარდება ფსევდოწონასწორობა. უკეთესი შედეგი აჩვენა კლინოპტილოლიტის წყალბადურმა ფორმამ პირველი 50 სთ-ის განმავლობაში [27].

საყურადღებო შედეგები იქნა მიღწეული ბიოქიმიური მეთოდების გამოყენებით „ფუჭი“ ქანებიდან მძიმე ლითონების ამოღების საკითხში. კერძოდ, ჩატარდა ექსპერიმენტი ბაქტერიების ისეთი ნარევის

მისაღებად, რომლებიც მაქსიმალური ეფექტურობით მოახდენდნენ კონცენტრაციების შემცირებას და ეკოლოგიურად მისაღები პირობების აღდგენას [28].

ურალის ცეოლითური და ცეოლით-მონტორილონიტური ქანებით სპილენბის და თუთიის სორბციის შესწავლის მიზნით ჩატარდა ცდები  $\text{Na}$  ფორმის კლინოპტილოლიტზე. 0,3-0,6 მმ ფრაქციის კლინოპტილოლიტის და მონტორილონიტის თანაფარდობა შეადგენდა 1:1-ს. დაღვენილი იქნა, რომ პირველ სტადიაზე სორბირდება ყველა მეტალი, შემდეგ კი მძიმე მეტალი გამოდევნის დანარჩენებს. სორბირება ხდებოდა 3 სევტემბერის შემდეგ ცეოლითი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სამშენებლო მასალის, კერძოდ ცემენტის წარმოებაში, ასევე როგორც ფლუსი [29].

ურალის ბუნებრივი ცეოლითები და კომპლექსონები გამოიცადა ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. აღნიშნული ცეოლითების ეფექტურობა აღმოჩნდა დაბალი [30].

მრავალი სამუშაო ჩატარებული ბუნებრივ ცეოლითებზე მძიმე მეტალების ადსორბციის სელექტიურობის დასადგენად. შესწავლილია  $\text{Fe}$ ,  $\text{Cu}$ ,  $\text{Mn}$  და  $\text{Zn}$ -ის შემცველი (შესაბამისად, 400, 20, 20 და 120 მგ/ლ) ნამუშევარი შახტის მჟავე დრენაჟის ადსორბცია ბუნებრივ ცეოლით კლინოპტილოლიტზე. დროის ხანგრძლივობა შეადგენდა 40 წთ-ს, მაქსიმალური შედეგი - 80%. სელექტიურობის მიმართ კი ცეოლითმა აჩვენა შემდეგი რიგი:  $\text{Fe}^{3+} > \text{Zn}^{2+} > \text{Cu}^{2+} > \text{Mn}^{2+}$  [31].

მონოეთანოლამინით, თიოკარბამიდით და ტრიოეთანოლამინით მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითებით (სიბაისკი, ხოლინსკი) შესწავლილია მეტალების სორბციის სელექტიურობა და დადგენილია, რომ მოდიფიცირებული ცეოლითით სორბცია მიმდინარეობს მეტალების იონებთან მოდიფიკატორების ზედაპირული კომპლექსების წარმოქმნის შედეგად. დესობრცია კი მიმდინარეობს ამ კომპლექსების დაშლის ხარჯზე. შემოთავაზე-ბულია ფერადი მეტალების ( $\text{Ag(I)}$  და რკინის (III)) ამოღების განზოგადოებული ტექნოლოგიური სქემა სელექტიური ადსობრციით კომპლექსწარმოქმნელი მოდიფიცირებული ცეოლითების საშუალებით [32].

ბისმეტოლ 1-ით (1,3,4-თიადიაზოლინ 2,5-დითოონი) იმობილიზებულ ბუნებრივ ცეოლითზე სპილენბის (II) იონების სორბცია შეისწავლეს და დაადგინეს სორბციის ოპტიმალური პირობები სტატიკურ და დინამიურ პირობებში ( $\text{pH} = 5,0$ ,  $\tau = 140\text{წთ}$ ) [29].

ავტორების მიერ შესწავლილი იქნა  $\text{Cr(III)}$ ,  $\text{Ni(II)}$ ,  $\text{Cu(II)}$  და  $\text{Cd(II)}$  სორბცია ნატურალურ კლინოპტილოლიტზე და სინთეზურ  $\text{NaP1}$  ცეოლითზე. მეტალების კონცენტრაცია მერყეობდა  $10 \div 200$  მგ/ლ ფარგლებში, მყარი და თხევადი ფაზის თანაფარდობა შეადგენდა  $2,5 \div 10$  გ/ლ-ს. ცდები ტარდებოდა აბაზანის batch მეთოდით. დადგინდა, რომ სინთეზურ ცეოლითს  $\sim 10\text{-ჯერ}$  უფრო მეტი სორბციული შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ბუნებრივს [34].

შესწავლილია წყალხსნარებიდან მეტალის იონების  $\text{Pb}$ ,  $\text{Cd}$ ,  $\text{Cu}$ ,  $\text{Ag}$  და  $\text{Pb}$  სორბცია  $\text{ZnS}$ -ით მოდიფიცირებულ ცეოლიტზე  $\text{ЦВМ-53}$  [35].

ოქროს გამადიდრებელ საწარმოს მჟავა ნაჟურ წყალში  $\text{As}$ ,  $\text{Fe}$  და  $\text{S}$ -ის შესაბოჭად გამოყენებული იქნა ინდუქციური გეოქიმიური ბარიერები [36].

ხელოვნური გეოქიმიური ბარიერების შესაქმნელად მასალად გამოიყენეს ქიმიურად აქტიური მინერალები: სერპოფიტი, პილგუარვის მასივის ტალკი და კურუვარას ბიოტიპი. აღნიშნული მინერალები გამოცდილი იქნა  $\text{NiSO}_4$ -ის ხელოვნურ ხსნარში. შეისწავლეს  $\text{pH}$ -ის ცვლილება და  $\text{Ni}$  და  $\text{Mg}$ -ის განაწილების კოეფიციენტი მყარ ფაზაში და ხსნარში. ამ კოეფიციენტების მაჩვენებლები თანხვედრილი იყო  $\text{pH}$ -ის მაჩვენებელთან სერპოფიტში და ბიოტიში არ იყო თანხვედრილი ტალკის შემთხვევაში. ვარაუდობენ, რომ ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ამ დროს ხსნარში იყო  $\text{K}$  და ნაწილობრივ  $\text{Fe}$ . პროცესი შეისწავლეს  $\text{PFA}$  მეთოდით. გადაიღეს დიფრაქტოგრამები. მინერალის ხარჯის გაზრდის შესაბამისად იზრდებოდა  $\text{Ni}$ -ის ამოღება ხსნარიდან [37].

განხილულია წყალსატევებში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაწმენდის 3 ვარიანტი: 1. ბიოგეოქიმიური ბარიერი, რომელიც ამცირებს წყალმცენარეების ზრდას წყალსატევებში; 2. ტუტე და სორბციული გეოქიმიური ბარიერების საშუალებით იქმნება ჰიდროდინამიკური ბარიერი, რომელიც ყოფს გაუმარილებულ და მარილიან წყალს ერთმანეთისაგან; 3. თერმალური წყლების გამწმენდი ბარიერი, რომელშიც ჩალაგებულია გამტარი და გაუმტარი ბლოკები. ბოლოს გაპეტებულია ლუკი აგარიული გადასხმისათვის. გამტარი ბლოკები ასრულებენ გამფილტრაციის როლს, რომელშიც დაბინძურების შემდეგ ან იწმინდება, ან იცვლება [38].

პრაქტიკაში აჩვენა, რომ დაბინძურებული ჩამდინარე წყლების გაწმენდა ძვირადღირებულია. 1ლ გასუფთავებული წყლის ღირებულება უტოლდება 1ლ ძვირადღირებული ბენზინის ფასს და, შესაბამისად,

არარენტაბელურია. არსებობს ტექნოლოგიები და აპარატები, რომლებიც უზრუნველყოფენ მინიმალური კაპიტალდაბანდებით სასურველი ეფექტის მიღწევას.

ამდენად, ჩამდინარე წყლების გაწმენდისას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შერჩეული უნდა იქნას წყლის გაწმენდის ისეთი ტექნოლოგია, რომლიც არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს, იქნება რენტაბელური და უფრო მეტად პრობლემურს არ გახდის გარემოს დაბინძურების საკითხს.

ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ ჩამდინარე წყლების გაწმენდის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდს ხელოვნური გეოქიმიური ბარიერები წარმოადგენს.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Chanturiya V., Masloboev V., Makarov D., Mazukhina S., Nesterov D., Menshikov Yu. Artificial geochemical barriers for additional recovery of non-ferrous metals and reduction of ecological hazard from the mining industry waste. Journal of Environmental Science and Health. Part A, 2011, v. 46, №13, p. 1579-1587.
- Исаева О.Ю. Исследование перспективных методов очистки сточных вод от тяжелых металлов с целью создания эколого-геохимических барьерных зон. Диссертация, Уфа, 2006.
- П.М. Соложенкин, В.П. Небера. Гальванохимическая обработка сточных вод. Экология и промышленность России, 2000, июль, с. 10-13.
- მ. მამარდაშვილი, რ. თუშურაშვილი, მ. ფანქვიძე. სპილენბის (II) იონების შემცველი ჩამდინარე წყლების იონმიმოცვლითი მეთოდით გაწმენდის ოპტიმალური პირობების დადგენა. საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, ქიმიის სერია, 2008, ტ. 34, №3, გვ. 343-346.
- ჯ. გველესიანი, თ. ლეზავა, ვ. გაგნიძე, მ. მამფორია, თ. როუზა. ელექტროლიზური მადნეულის კარიერული წყლებიდან სპილენბის, სელექციური ამოღებისათვის. საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. „მაცნე“, ქიმიის სერია, 2008, ტ. 34, №4, გვ. 481-484.
- А.Ф. Никифоров, Н.В. Брызгалова, Е.В. Мигалатий и др. Извлечение тяжелых металлов и природных вод активированными углями. Экологические проблемы промышленных регионов. Сб. научных трудов Международной научн.-техн. конференции. Екатеринбург, 2003, с. 273-274.
- А.Ф. Никифоров, Н.В. Брызгалова, Е.В. Мигалатий и др. Сорбция тяжелых металлов из природных вод синтетическими ионообменными смолами. Экологические проблемы промышленных регионов. Сб. научных трудов Международной научн.-техн. конференции. Екатеринбург, 2003, с. 271-273.
- М.В. Рыльников и др. Совершенствование процесса извлечения меди из медьсодержащих промышленных растворов, Москва, ГИАБ, 2001, №2, с. 75-77.
- Current Science, 2004, vol. 86, №1.
- Lambert M., Leven B.A., Green R.M. New methods of cleaning up heavy metals in soils and water. Environmental Science and Technology Briefs for citizens.
- Перельман А.И. Геохимия. М., Высшая школа, 1989, 582 с.
- Перельман А.И., Воробьев А.Е. Ландшафтно-геохимические условия размещения предприятий горной промышленности. Изв. РАН. Серия географическая, 1994, №2, с. 50-61.
- Жижаев А.М., Брагин В.И., Михайлов А.Г. Осаждение меди с использованием природных карбонатов кальция. Обогащение руд, 2001, №5, с. 13-17.
- Изотов А.А., Ковердяев О.Н., Вершинина О.О. Способы снижения воздействия дренажных вод на окружающую среду в горнодобывающих районах. Горный журнал, 2006, №10, с. 103-106.
- Орехова Н.Н. Концептуальные и технологические подходы к ресурсо-воспроизводящей переработке гидроминерального техногенного сырья. Мат. Межд. совещания «Научные основы и современные процессы комплексной переработки труднообогатимого минерального сырья», Казань, 2010, с. 431-433.
- Мильвит Н.В., Шашкова И.Л., Ратько А.И., Вегер В.А. Сорбционные свойства карбонатсодержащих трепелов. ЖПХ, 2007, т. 80, №11, с. 1819-1825.
- Рубановская С.Г., Величко Л.Н. Сорбция ионов тяжелых металлов природными материалами. Известия ВУЗов. Цветная металлургия, 2006, №4, с. 37-39.

18. Бочарев Г.Р., Пушкарева Г.И., Ростовцев В.И. Интенсификация процессов рудоподготовки и сорбционного извлечения металлов из техногенного сырья. ФТПРПИ, 2007, №3, с. 129-139.
19. Изотов А.А., Ковердяев О.Н., Вершинина О.О. Способы снижения воздействия дренажных вод на окружающую среду в горнодобывающих районах. Горный журнал, 2006, №10, с. 103-106.
20. Tabatabae S.H., Liaghat A. Using of natural zeolites as a heavy metals absorber for waste water reuse in irrigation. Ninth International Water Technology Conference, IWTC9, Sharm-El-Sheikh, Egypt, 1165, 2005.
21. Ghasemi-Fasaei, M. Safari-Haghghi, S.M. Mousavi and M. Dehghan. Sorption characteristics of heavy metals onto natural zeolite of clinoptilolite type. International Research Journal of Applied and Basic Sciences, vol. 3(10), 2012. pp. 2079-2084.
22. Yazan Taamne H., R. Al Duairi, The efficiency of Iordanian natural zeolite for heavy metals removal. Appl. water Sci., (2013), 3:77-84.
23. H. Turkyilmaz, T. Karral, S.Y. Yibdiz. Optimization of lead adsorption of mordenite by response surface methodology: characterization and modification, Journal of Environmental Health Science and Engineering, 2014, 12:5.
24. I.L. Moreno, F. Bastida, M. Ros, T. Hernandez and C. Garcia. Soil organic carbon buffers heavy metal, contamination on semiarid soils. Effects of different metal threshold levels on soil microbial activity, 2009.
25. E. Erdem, N. Karapinar, R. Donat. The removal of heavy metal cations by natural zeolites. Journal of Colloid and Interface Science 280 (2004), 309-314.
26. Раджабли С.Б., Ахмедов Р.Г. Вопросы комплексного использования и охраны водных ресурсов. Тр. Азерб. НИИ водных проблем. Баку, 1979, вып. VIII. с. 91-96.
27. Миронова Л.И., Никашина В.А. Применение клиноптилолита для извлечения меди из морской воды. Геология, физико-химические свойства и применение природных цеолитов. Мецниереба, Тбилиси, 1985, 231-234.
28. ლ. ვერცვაძე, დ. ჩეტკერაშვილი. მიკრომრგანიზმთა ცხოველმოქმედების პროფუქტების მოღვა ლითონების ბიოქიმიური გამოტუტვისას. უკრ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2001, №4-6.
29. Валиева И.Р. Нефедов В.А. Сорбция меди и цинка из сбросовых и поверхностных вод цеолитовыми и цеолит-монтмориллонитовыми породами Урала, «Фан-Наука», вып. 6, 2012.
30. Климов Е.С., Бузаева М.В. Природные сорбенты и комплексоны в очистке сточных вод. Ул. ГТУ, 2011.
31. T. Motsi, N.A. Rowson, M.I.H. Simmons. Adsorption of heavy metals from acid main drainage by natural zeolite. International Journal of Mineral Processing, v. 92, is. 1-2, 2009, pp. 42-48.
32. Кунилова И.В. Разработка метода извлечения ионов цветных металлов и серебра из медьсодержащего техногенного сырья на основе использования химически модифицированных природных цеолитов. Диссертация, 2007.
33. Иванов В.Н., Полянков Р.А., Седова А.А. Сорбция ионов меди (II) Висмутолом 1, иммобилизованным на природном цеолите, Вестник Моск. Ун-та, сер. 2, Химия 2005, т. 46, №1, с. 61-65.
34. Alvaze Z.-Ayoso, Garcia-Sanchez. Querol Purification of metal electroplating waste waters using zeolites, Water Research, 2003, vol. 37, is. 20, pp. 4855-4862.
35. Мовчан Н.И., Наймушина А.В., Петрова Е.В., Умарова Н.Н. Сорбция ионов металлов из водных растворов с помощью модифицированных цеолитов. Тезисы VII конференции «Аналитика Сибири и Дальнего Востока-2004».
36. Induction of geochemical barrier for As, Fe and S immobilization in a sulfide substrate. Rev. Bras. Cienc. solo, 2012, vol. 36, no. 2, Vicoso Mar/Apr.
37. Баюрова Ю.Л., Нестеров Д.П., Корнева Е.А., Светлов А.В., Макаров Д.В., Маслобоев В.А. Искусственные геохимические барьеры для решения экологических и технологических задач. Вестник МГТУ, 2013, том 16, №3, 536-541.
38. Гаев А.Я, Алферов И.Н., Алферова Н.С. Комплексные барьеры для защиты водохозяйственных объектов. Вест. Пермского Ун-та, Геология, 2007, вып. 4.

## TECHNOLOGY OF PURIFICATION OF WATER CONTAMINATED BY COPPER-BEARING WASTE

Neli Kalabegashvili, Dali Ioseliani, Gulnara Balarjishvili, Lia Samkharadze,  
Irma Mikadze, Avtandil Dolidze

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry at Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### SUMMARY

Intensification of production capacities for extraction of minerals drastically worsens environment when contaminating atmosphere, soil, surface and ground water by heavy metals. After completion of extraction the toxic chemical elements even for decades are removed by ground waters. One of the prospective methods of water purification is an application of artificial geochemical barriers made from local accessible raw materials. Examples of study of different sorptive geochemical barriers, especially on the basis of natural and synthetic zeolites, as well as other aluminosilicates are considered. Respective technology of contaminated water purifications should be selected, which will be cost-effective and will not create additional problems for the environment.

### ТЕХНОЛОГИИ ОЧИСТКИ ВОДЫ, ЗАГРЯЗНЕННОЙ МЕДЬСОДЕРЖАЩИМИ ОТХОДАМИ

Н.Калабегашвили, Д.Иоселиани, Г.Баларджишвили,  
Л.Самхарадзе, И.Микадзе, А.Долидзе

*Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили . Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили*

### РЕЗЮМЕ

Интенсификация производственных мощностей по добыче полезных ископаемых резко ухудшает окружающую среду загрязняя тяжелыми металлами атмосферу, почву, поверхностные и грунтовые воды. После окончания добычи токсичные химические элементы еще десятки лет выводятся грунтовыми водами. Одним из перспективных методов очистки вод является применение искусственных геохимических барьеров из местного доступного сырья. Рассмотрены примеры исследования различных сорбционных геохимических барьеров, особенно на основе природных и синтетических цеолитов, а также других алюмосиликатов. Для каждого конкретного случая следует подобрать соответствующую технологию очистки загрязненной воды которая будет рентабельной и не создаст дополнительные проблемы для окружающей среды.

## ბუნებრივი ნედლეულიდან კატეინებისა და ფლავონოიდების გამოყოფის ტექნიკოლოგია

ლეილა ტატიაშვილი, ირმა მიქაძე, ნანა წეროძე, მაია ჯაფარიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პეტრე მელიქიშვილის  
ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

ჩატარებულია სამუშაო ყურძნის წიპრიდან კატეინებისა და ფლავონოიდების გამოსაყოფად სხვადასხვა გამსხვილების საშუალებით. დამუშავებულია ექსტრაგირების მეთოდით ქლოროფორმითა და სპირტის წყალზენარით. გამოკვლეულია კატეინების შემცველობა ყურძნის წაპტის შემადგენლობაში.

კატეინები წარმოადგენ უნიკალურ ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს, რომელთაც ახასიათებთ ანტიბაქტერიული თვისებები. ისინი იცავენ ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების შეტევისაგან და წინააღმდეგობას უწევენ უჯრედების დაზიანებასა და დაშლას. სწორედ ამ თვისების მეშვეობით ანელებენ დაბერების პროცესს და ხელს უწყობენ ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკას.

ისინი მიეკუთვნებიან განსაკუთრებით აღდგნისუნარიან ფლავონოიდურ ნაერთებს, რომელთა სტრუქტურასაც საფუძვლად უდევს სისტემა 2-ფენილქრომანა (ფლავანი).



კატეინინის მოლეკულა შეიცავს ნახშირბადის ორ ასიმეტრიულ ატომს (C2 –C3) და შესაბამისად, ყოველი მოლეკულისათვის შესაძლებელია 4 იზომერის არსებობა. სხვა ფლავონოიდებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, ისინი არ წარმოქმნიან გლიკოზიდებს (გლიკოზიტური ფორმები აღმოჩენილია მხოლოდ ერთულ შემთხვევებში), მცვანარებში არსებობენ მონომერების ან უფრო რთული კონდენსირებული ნაერთების სახით. კატეინინი წარმოადგენს უფერო, კრისტალურ ნივთიერებას, რომელიც ადვილად იუანგება მზის სინათლეზე ან გაცხელებისას და შედეგად დებულობს მუქ შეფერილობას.

იგი ფართოდაა გავრცელებული მცვანარეულ სამყაროში. განვიხილოთ ბუნებრივ ნედლეულში შემავლი კატეინები და მათი თვისებები. აღნიშნულ ნაერთთა კლასს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს თეთრი ჩაი, ოდნავ ნაკლებს მწვანე ჩაი, ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ისინი აღმოჩენილი მრავალ ნაყოფსა და კენკრაში (ვაშლი, კომბი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ალუბალი, მარწყვი, მოცავარი, ჟოლო და სხვ.). კატეინები ასევე აღმოჩენილია კაკაოსა და შავ ყურძენში. სწორედ ტანინის შემცველობა განსაზღვრავს მასში კატეინების არსებობას. ტანინი არის კატეინების ერთ-ერთი იზომერის ზოგადი დასახელება. მრავალი მცვანარეული პროდუქტის ანტიოქსიდანტური თვისება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სწორედ კატეინების შემცველობით. მათი სასარგებლო, ორგანიზმის დამცველი თვისებები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ყურძნის მაგალითზე. მის გამო ანტიოქსიდანტური ეფექტით ხასიათდებიან ბროკოლი, მიწის თხილი, სტაფილო და მარწყვი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავ დვინოში შემავალი პოლიფენოლები, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი ბიოლოგიური აქტიურობა და იყოფიან ძირითად ჯვაფებად:

1. ფენოლმჟავები;
2. ფლავონოიდები;
3. კატეინები;
4. ანტოციანები.

ფლავონოიდები ხასიათდებიან არა მარტო ანტიოქსიდანტური, ბაქტერიოციდული და შზისგან დამცავი [1,2], არამედ სხვა მრავალი სასარგებლო მონაცემებით. კერძოდ, ადამიანის ორგანიზმში კაპილაროპროტექტორული (დამცავი) თვისებითაც. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში შეისწავლება მათი ანტისიმები [3,4] და ანტიანთებითი მოქმედება. ცნობილია ყურძნის შემცველობაში შემავალი ფლავონოიდების უნარი - გაამაგრონ ბოჭკოვანი [4,5] ქსოვილები. ისინი ორგანიზმს იცავენ ულტრააისფერი [1,5,6] დასხივებისაგან. ასევე მათ უკავიათ დიდი ადგილი კოსმეტიკური საშუალებების წარმოებაში.

ჩვენთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა განსაკუთრებით აქტიური თვისებების მქონე ინდივიდუალური ფლავონოიდებისა და მათი ნარევების გამოყოფა. ფლავონოიდის შემცველი კონცენტრატების სამრეწველო წარმოება მოითხოვს მათი მიღების იავი ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავებას.

მნიშვნელოვანია ყურძნები შემავალი პოლიფენოლების შემცველობა, რომელიც შეადგენს დაახლოებით 95%-ს [7]. შავი ყურძნი შეიცავს ფენოლური მჟავების ორ ტიპს: ერთ-ერთია უმნიშვნელო რაოდენობით სალიცილის მჟავა, ხოლო შედარებით მეტი შემცველობა აქვს პროტოკატეხინურ და პ-ჰიდროქსიდენზონურ მჟავებს, ასევე ყურძნები აღმოჩენილია ვანილინის და ოპიროკატეხინის მჟავები [8]. მასში პოლიფენოლური ნაერთის შემცველობა და რაოდენობა დამოკიდებულია ჯიშზე, ნიადაგის ტიპზე და ამინდზე.

ყურძნის შემადგენლობაში ფენოლური ნაერთების რაოდენობა მესამე ადგილზეა ნახშირწყლებისა და ორგანული მჟავების შემდეგ. ნაყოფის გარდა ფლავონოიდებს ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ვაზის ქერქი, წიაწა და ყლორტები.

ვაზის კომპონენტებში შემავალი ფენოლური ნივთიერება, რომელიც ექვემდებარება ექსტრაქციას, წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით: 10% რბილობში, 60-70% წიაწაში, 28-35% ქერქში [9]. ფენოლური ნაერთების შემცველობა შავსა და თეთრი ყურძნის ჯიშებში განსხვავებულია. ამერიკულმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თეთრი ყურძნის ჯიშებში ისინი უპირატესად წარმოდგენილია კუმარული მჟავების ეთერებით, კატეხინებითა და პროანტოციანიდებით [10], ხოლო შავი ყურძნის ჯიშები მეტ-ნაკლებად შეიცავს: ჰიდროქსიდენზონურ და ჰიდროქსიდარიზინის მჟავებს, პროანტოციანიდინებს, ანტოციანებს და ფლავონოლების გლიკოზიდებს.

მნიშვნელოვანია, რომ წიაწა შეიცავს 83% ტანინს ანუ პროანტოციანიდინებს (კატეხინის ოლიგომერებს). კატეხინების შემცველობა მერქანტი მერყეობს 0.7-დან 3.5-%მდე, ქერქში 0.3-დან 4.3%-მდე, წიაწაში კი 2-დან 3%-მდე [11]. მათი შემცველობით ყურძნის ჯიშებიდან განსაკუთრებით გამოიჩინება შავი პინო და საფერავი [12]. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ წიაწაიდან და მერქანიდან გამოწვლილვს შედეგად მიღებულ ექსტრაქტებში ტანინების რაოდენობა იდენტურია, თუმცა შემცველობა განსხვავდება. წიაწაში ტანინში უპირატესობა ენიჭება (+)-კატეხინს და (-)-ეპიკატეხინს, ხოლო მერქანისაში კი (-)-ეპიკალოკატეხინსა და (+)-კატეხინს [13].

ლეიკოანტოციანიდები ყველაზე დიდი რაოდენობით შედის წიაწაში, შემდეგ ქერქში და ყველაზე ნაკლები რბილობში. პოლიმერიზაციისკენ მიდრეკილების გამო ლეიკოანტოციანიდები ყურძნები ძირითადად პოლიმერული ფორმით არიან წარმოდგენილი. შავ ყურძნები ლეიკოანტოციანიდების კონდენსირებულმა რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 1500-2000მგ/კგ [13]. ანტოციანების შემცველობა ყურძნები მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს სექტემბრის ბოლოს, ყურძნის კრეფის პერიოდში, ხოლო ნაყოფის გვიან მოკრეფისას შეინიშნება ანტოციანების შემცველობის შემცირება პიგმენტების დაშლის გამო [13]. მცენარეთა ბიოლოგიურ სისტემებში წარმოდგენილია ანტიოქსიდანტები – ნივთიერუბები, რომელთაც გააჩნიათ არასასურველი პროცესების შენელების უნარი.

პოლიფენოლები წარმოადგენს მცენარეული წარმოშობის ნივთიერებათა ფართო სპექტრს, რომელიც შეიცავს არომატულ რგოლსა და ჰიდროქსილურ ჩამნაცვლებელს. ისინი თავიანთი ქიმიური სტრუქტურით წარმოადგენს მდლავრ ანტიოქსიდანტებს - პროტონებისა და ელექტრონების დონორებს, რომელიც აუცილებელია მცენარეების უკრედული მეტაბოლიზმისათვის [14-16]. დამტკიცებულია, რომ ყურძნის ფლავონოიდები ამცირებენ უანგვის პროცესს. ამასთან, ყურძნის პოლიფენოლები აღმოჩნდნენ ატოკოფეროლზე 2-ჯერ უფრო ეფექტურები [17]. ქვემოთ მოცემული ცხრილი №1 გვიჩვენებს უანგბადის სუპეროქსიდის ინპიპირებისას ამა თუ იმ ანტიოქსიდანტის ეფექტურობას [17].

შედეგები გვიჩვენებს, რომ პროანტოციანიდნი (კატეხინის დიმერი) უანგბადის სუპეროქსიდის რადიკალის შეკავებისას C ვიტამინთან შედარებით თითქმის 20-ჯერ უფრო ეფექტურია. ასევე ნათელია, რომ მალვიდინის გლუკოზიდი მონომერებს შორის ეფექტურობით გამოიჩინა [18].

სხვადასხვა ნარევების – ღვინის სახეობების, ყურძნის ნაყოფის და ბიოლოგიური ხსნარების ანტიოქსიდანტური შესაძლებლობების განსაზღვრისათვის გამოიყენება განსხვავებული მეთოდები.

### ცხრილი 1. ანტიოქსიდანტური ეფექტურობა უანგბადის სუპეროქსიდის ინჰიბიტებისას

№	ნივთიერება	%
1	დიმერი კატეხინ-კატეხინი	78
2	დიმერი კატეხინ-ეპიკატეხინი	72
3	დიმერი ეპიკატეხინ-ეპიკატეხინი	63
4	ეპიკატეხინი	30
5	კატეხინი	25
6	მალვიდინის კლუკოზიდი	32
7	ქლოროგენის მჟავა	25
8	რუტინის გლუკოზიდი	24
9	კოფეინმჟავა	20
10	ასკორბინის მჟავა (ვიტამინი C)	4

საზგამით აღვნიშნავთ, რომ ანტიოქსიდანტური თვისებების ანალიზი იძლევა მხოლოდ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედების მიახლოებით სურათს ცოცხალ უჯრედზე. გარდა ამისა, პრეპარატის ანტიოქსიდანტური უნარი წარმოადგენს არა მარტო სხვადასხვა ანტიოქსიდანტების ზემოქმედების ჯამის შედეგს, არამედ ასევე დამოკიდებულია მიკროგარემოსა და სინერგეტიკულ და პრეპარატის შემადგენელი ნაწილაკების ანტაგონისტურ ზემოქმედებაზე. ფლავონოიდების ანტიოქსიდანტურ აქტიურობას გამოხატავენ E ვიტამინის ექვივალენტებში, სადაც სტანდარტად გამოყენებულია ტროლოქსი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სპირტში ხსნადი ვიტამინი E-ს ანალოგს. აქტიურობის ინდექსს ან ანტიოქსიდანტის სრული რეაქციის უნარიანობას განსაზღვრავენ თავისუფალი რადიკალების კონცენტრაციის გაზიმვით.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ არსებობს დამოკიდებულება სხვადასხვა ფლავონოიდის სტრუქტურასა და მათ ანტიოქსიდანტურ აქტიურობას მორის [19]. ანტიოქსიდანტურ აქტიურობაზე ზემოქმედების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს რგოლში ჰიდროქსილირების ხარისხი. გამოკვლევების თანახმად, ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური აქტიურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ჰიდროქსიდების ჯგუფების რაოდენობასა და მდებარეობაზე, არამედ აგრეთვე ოქსო- ჯგუფის არსებობაზე 4-მდგომარეობაში და ნახშირბადის 2- და 3- ატომებს შორის უჯერ ბმაზე. შესწავლილია სხვადასხვა ჯგუფის ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური აქტივობა, კერძოდ: ფლავონოიდების, ფლავონოვების ფლავონონებისა და დიპიდოფლავონოლების [20,21]. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ნაერთის სტრუქტურა და P-კაროტინისა და ლანოლენის მჟავის უანგბასთან დამოკიდებულებაში მყოფი ანტიოქსიდანტური აქტივობა.

გამოკვლეულია, რომ ანტოციანიდური ნარევი გამოიყენება ანთების სამკურნალოდ. იგი რუტინზე და კვერცხტინზე ეფექტური აღმოჩნდა. გარდა ამისა, მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია ანტოციანიდის ღოზაზე [22].

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ყურძნის წიაღიძიან პოლიფენოლების გამოყოფა და გასუფთავება. ბიომასის წინასწარი დამუშავება პეტროლეუმის ეთერით ან ჰესანით, საშუალებას იძლევა მასალა სტეროლების, კაროტენოიდებისა და ქლოროფილებისაგან გავათავისუფლოთ.

მცენარეული ნედლეული ექსტრაქციამდე გაშრობას საჭიროებს. კატეხინების გამოსაყოფად აუცილებელია ექსტრაგნერტის შერჩევა. ოპტიმალური შედეგის მისაღებად სხვადასხვა გამხსნელებიდან შერჩეული იქნა ქლოროფორმი. ექსტრაგნერტის ხდება სოქსლეტის აპარატის მეშვეობით. შემდეგ დამუშავებული წიაღიზა მოვათავსეთ სპირტის წყალხსნარში, რის შედეგადაც ბუნებრივი მცენარეული

ნედლეულიდან გამოწვლილული იქნა კატეხინები. მიზნობრივი პროდუქტი შესწავლილია ქრომატოგრაფიული მეთოდით.

**ცხრილი 2.** P-კაროტინისა და ლანოლენის მუვის უანგვასთან დამოკიდებულებაში მყოფი ანტიოქსიდანტები აქტივობა

№	ნივთიერება	%
1	ემპფეროლი	65.3
2	ალანგინი	64.9
3	ვერცეტინი	63.6
4	ორინი	63.5
5	ღობინეტინი	61.7
6	იტეზინი	61.6
7	ემფირიდი	60.0
8	3-ჰიდროქსი-ფლავონი	59.4
9	არიციტრინი	28.5
10	ლარიციტრინ-3-O-გლიკოზიდი	26.2
11	ირიცეტინი	18.4
12	3,5,7,3,4- ჰექსამეტოქსი-ფლავონი	2.6
13	3,5,7,3,4- ჰექსამეტოქსი ფლავონი	1.1
14	რუტინ O-რუტიოზიდ	10.2
15	ლავონი	1.5
16	5-ჰიდროქსი-ფლავონი	4.0
17	7-ჰიდროქსი-ფლავონი	2.1
18	Хრიზინი	20.8
19	ლავონი	1.5
20	არენგინინი	6.3
21	პიგმენტი	0.7

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Бранд-Гарнис Э., Вандансик П. Флавоноиды в косметике // Косметика и медицина. 2001, N. 5. С. 22-45.
- Сизова Н.В. Биофлавоноиды антиоксиданты и иммуномодуляторы в косметологии: антиоксидантное, бактерицидное и солнцезащитное действие. Тезисы на IX международной научно-практической конференции // Сырье и упаковка. Москва, 2001, N. 22. P. 17-18.
- Hou D.X., Ose T., Lin S., Harazoro K., Imamura I., Kubo M., Uto T., Terahara N., Yoshimoto
- M., Fujii M. Anthocyanidins induce apoptosis in human promyelocytic leukemia cells: structureactivity relationship and mechanisms involved // Int. J. Oncol. 2003, V. 23. P. 705712.
- Gu M, Singh RP, Dhanalakshmi S, Agarwal C, Agarwal R. Silibinin inhibits inflammatory and angiogenic attributes in photocarcinogenesis in SKH-1 hairless mice // Cancer Res. 2007, V. 67. N.7. P. 3483-3491.
- Pycnogenols to Elastin Affects its Rate of Degradation by Elastases // Biochem. Pharmacol. 1984, V. 33, N. 24, P. 3933-3939.
- Mazza G. Anthocyanins in grapes and grape products // Crit. Rev. Food Sci. Nutr. 1998, V.35. N.4. P. 341-371.

8. Кондакова Н.В., Заичкина С.И., Розанова О.М. Сахарова В.В. Противолучевые свойства лекарственного средства "диквертин" по микроядерному тесту *in vivo* при умеренных малых дозах ионизирующей радиации // Вопросы биологической, медицинской и фармацевтической химии., 2002, N. 4. C. 46-49.
9. Prieur C., Rigaud J., Cheynier V., Moutounet M. Oligomeric and polymeric procyanidins from grape seeds // Phytochemistry, 1994, V. 26. P. 781-784.
10. Ribereau-Gayon P. Les flavonoids de la baie dans le genre *Vitis* // Compt. Rend. Acad. Sci. France, 1964, N. 258. P. 1335-1337.
11. Singleton L.T. Localization of procyanidins in grape seeds // Am. J. Enol. Vitic. 1994, V. 45. P. 259-262.
12. Lee C.Y., Jaworski A.W. Fractionation and HPLC determination of grape wine // J. Agric. Food Chem. 1987, V. 35, N.2, P. 257-259.
13. Edelmann A., Diewok J., Schuster K.C., Lendl. B., Rapid method for the discrimination of red wine cultivars based on mid-infrared spectroscopy of phenolic wine extracts // J. Agric. Food Chem. 2001, V. 49. N. 3. P. 1139-1145.
14. Владимиров Ю.А. Свободнорадикальное окисление липидов и физические свойства липидного слоя биологических мембран // Биофизика. 1987, Т. 32. N. 5. C. 830-844.
15. Kinsella J.E., Frankel E.N., German B., Kanner J. Possible mechanisms for the protective role of antioxidants in wine and plant foods // Food Technology. 1993, V.47. P. 85-89.
16. Conner E.M., Grisham M.B. Inflammation, free radicals, and antioxidants // Nutrition. 1996, V. 12. N. 4. P. 274-277.
17. Frankel E.N., Waterhouse A.L., Teissedre P.L. Principal phenolic phytochemicals in selected Californian wines and their antioxidant activity in inhibiting oxidation of human low-density lipoproteins // J. Agric. Food Chem. 1995, V. 43. P. 890-894.
18. Masquelier J. Procyanidolic oligomers (Leucocyanidins) translated from French. // Parfums Cosmetiques Aromes. 1990, V. 95. N. 4. P. 89-97.
19. Heim K. E., Tagliaferro A. R., Bobilya D. J. Flavonoid antioxidants: chemistry, metabolism and structure-activity relationships//J. Nutr. Biochem. 2002,13. P. 572-584.
20. Farkas O., Jakus J., Héberger K., Quantitative Structure Antioxidant Activity Relationships of Flavonoid Compounds // Molecules. 2004, N. 9, P. 1079-1088.
21. Miller NJ, Rice-Evans CA. Cinnamates and hydroxybenzoates in the diet: antioxidant activity assessed using the ABTS radical cation // British Food Journal. 1997, V. 99. P. 5761.
22. Costantini A, De Bernardi T, Gotti A. Clinical and capillaroscopic evaluation of chronic uncomplicated venous insufficiency with procyanidins extracted from *Vitis Vinifera* II Minerva Cardioangiolog. 1999, Vol. 47. N. 1-2. P. 39-46

## THE TECHNOLOGY OF SEPARATION CATECHINES AND FLAVONOIDES FROM NATURAL RAW MATERIALS

Leila Tatiashvili, Irma Mikadze, Nana Tserodze, Maia Djaparidze  
TSU / Petre Melikishvili Physical and Organic Chemistry/

### SUMMARY

We have carried out work to separate catechines and flavonoides from grape seeds using various solvents. Extraction method has been developed with chloroform and alcohol-water solution. The research was done about catechine content in the grape seed consistency.

## ТЕХНОЛОГИЯ ВЫДЕЛЕНИЯ КАТЕХИНОВ И ФЛАВОНОИДОВ ИЗ ПРИРОДНОГО СЫРЬЯ

Л.Т.Татиашвили, И.И.Микадзе, Н.П.Церодзе, М.З.Джапаридзе

*ТГУ/Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили*

### РЕЗЮМЕ

Проведена работа для выделения катехинов и флавоноидов из виноградной косточки с помощью различных растворителей. Разработана методика экстрагирования хлороформом и водным раствором спирта. Изучено содержание катехинов в составе виноградной косточки.

## ენდოფიტური სოკოების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღების შესაძლებლობები

ნათია ბარბაქაძე, თამარ დგებუაძე, ნინო ქავთარაძე, ლიპარიტ დოლიძე, ირმა მიქაძე,  
ავთანდილ დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითი ინსტიტუტი

ენდოფიტურ სოკოებს უნარი აქვთ, დააგროვონ ბიოლოგიურად აქტიური იგივე ნაერთები, როგორიც - მის მასპინძელ-მცენარეს. გამოკვლეულია ენდოფიტური სოკოები, რომლებიდანაც შესაძლებელია მთელი რიგი მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღება. ისინი ანტიმიკრობული, ინსექტიციდური, ციტოსტოქსიკური და ანტისიმისივნური აქტივობით ხასიათდება. საქართველოში შესაძლებელია ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალში არსებული რელიქტური უთხოვარის (*Taxus baccata*) და სხვა ადგილობრივი შერჩეული მცენარეების კორომებში არსებული ენდოფიტური სოკოს გამოყენება ანტიმიკრობული ნაერთების მისაღებად, რაც, უდავოდ პერსპექტიულია ბუნებრივ საშუალებებზე მზარდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

მცენარეთა ენდოფიტური სოკოები მნიშვნელოვანი და ახალი რესურსია ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მისაღებად შემდგომში მათი გამოყენების მიზნით სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და კვების მრეწველობაში. ბოლო ორი ათეული წელია ენდოფიტურ სოკოებში აღმოჩნდია ანტიმიკრობული, ინსექტიციდური, ციტოსტოქსიკური და ანტიკანცეროგენული ბევრი ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება. ენდოფიტურ სოკოსა და მის მასპინძელ-მცენარეს შორის ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა სასარგებლო ურთიერთობები. ენდოფიტურ სოკოებს შეუძლიათ იმავე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების დაგროვება, რომლებიც მათ მასპინძელ-მცენარეებს აქვთ. გამოკვლეულია ენდოფიტური სოკოები, რომლებიდანაც შესაძლებელია მთელი რიგი მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღება.

ენდოფიტური სოკოები მიკროეკოსისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია [1-3]. ბუნებაში მიღლიონამდე ენდოფიტური სოკოა აღმოჩნდილი, რომელთაგან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტები გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და კვების პროდუქტების წარმოებაში [4-6]. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთი (ტაქსოლი) აღმოჩინეს ენდოფიტურ სოკო *Taxomyces andreanae*-ში [7]. ენდოფიტური სოკოებიდან მიღებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს აქვთ ანტიმიკრობული, ინსექტიციდური, ციტოსტოქსიკური და სიმსივნის საწინააღმდევო თვისებები. ისინი კლასიფიცირდებან ალგალოიდებად, ტერპენოიდებად, სტეროიდებად, ქინონებად, ფენოლებად და ლაქტონებად [2-8]. მასპინძელ-მცენარეს ენდოფიტის გადასარჩენად შეუძლია მრავალფეროვანი საკვების მიწოდება და, მეორე მხრივ, მასპინძელი-მცენარეები, ენდოფიტებისაგან წარმოქმნილი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მეშვეობით, ეწინააღმდევებიან ბიოტურ და აბიოტურ სტრუქტებს [3-9]. ზოგიერთმა ენდოფიტურმა სოკო გამოიმუშავა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოქმნის იგივე უნარი, როგორიც მასპინძელ-მცენარეს აქვს. ეს კი სასარგებლოა, რათა დამუშავდეს ახალი მიდგომა იშვიათი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მისაღებად [6-10].

პაკლიტაქსელი (ტაქსოლი) ტეტრაციკლური დიტერპენოიდი პირველად გამოყოფილია *Taxus brevifolia*-ს ქერქიდან [11]. იგი ცნობილია, როგორც პროსტატის, ფილტვების, საკვერცხეების და სარძევე ჯირკვლების კიბოს საწინააღმდევო საშუალება. აქამდე პაკლიტაქსელის ძირითად საკვებად მიჩნეული იყო ველური მცენარე *Taxus*. ის ძალიან მცირე რაოდნობითაა თავმოყრილი ამ მცენარის წიწვებში, ფესვებსა და ქერქში. ბაზარზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ალტერნატიული რესურსისა და პოტენციური სტრატეგიის დამუშავება. გამოყენებულია სხვადასხვა მიღებომები, როგორიცაა საველე კულტივაცია და ა.შ. თუმცა ეს მიღეობა არარაციონალურია რიგი ნაკლოვნების (დაბალი მოსავლიანობა და არაეკონომიურობა) გამო. [7]. ამ აღმოჩნდა პირველად ცხადყო, რომ მცენარის ენდოფიტურ სოკოს შეუძლია წარმოქმნას პერსპექტიული და ღირებული პროდუქტი-პაკლიტაქსენიც. ჯერჯერობით დამტკიცებულია ენდოფიტური სოკოს 19 სახეობა, რომელთაც პაკლიტაქსელის და მისი ანალოგების წარმოქმნის უნარი შესწევთ.

პოდოფილოტოქსინი (PDT) და არილტეტრალინინანი ცნობილია, როგორც კიბოს საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტირევამატიული აქტივობის მქონე საშუალება და იმუნოსტიმულატორი. ის ძირითადად გვხვდება *Diphylleia*, *Dysosma*, *Sabina* და *Sinopodophyllum* სახეობებში [12-19]. PDT პრეკურსორად გამოიყენეს სიმსივნის საწინააღმდეგო ისეთი პრეპარატების ქიმიურ სინთეზში, როგორიცაა ეტოპოსიდი, ტენიპოსიდი და ეტოპოფიზ ფოსფატი [15-18]. დღეისათვის PDT-ს მთავარი წყაროა ბუნებრივი მცენარე - *Sinopodophyllum*. ამ მცენარეს ჭარბად იყენებდნენ, რის გამოც იგი გადაშენების პირასაა. იმისათვის, რომ დაკამაყოფილდეს პოდოფილოტოქსინზე არსებული მზარდი მოთხოვნილება, აუცილებელი ხდება სხვა ალტერნატიული წყაროების მოძიება [12]. პირველად გვაცნობეს 6 ენდოფიტური სოკოს შესახებ *Sinopodophyllum hexandrum*, *Diphylleia sinensis* და *Dysosma veitchii* მცენარეებზე, რომელებსაც ჰადოფილოტოქსინის წარმოქმნის უნარი შესწევთ. მოგვიანებით დაადასტურდა, რომ ენდოფიტური *Alternaria* sp. სახეობებს, გამოყოფილს *Sabina vulgaris* - დან, ასევე, შეუძლიათ PDT-ს წარმოქმნა [13]. მიიღებულია 2 ენდოფიტური *Phialocephala fortinii*-ს შეამა PPE5 და PPE7 *Sinopodophyllum*-ის ფესურადნ, რომელთაც შეუძლიათ PDT-ს წარმოქმნა 0,5-189 მგ/ლ გამოსავლით სუსპენზიის სახით. ეს შედეგი პერსპექტივას იძლევა, ენდოფიტური სოკოები გამოყენებული იქნას ალტერნატიულ წყაროდ ფოტოფილოტოქსინისა და მისი ანალოგების წარმოქმნისას.

კამპტოტეცინი (CPT) პერტაციკლური ქინოლინ ალკალინიდი პირველად გამოყოფილი იქნა *Camptotheca acuminata* (Nyssaceae)-ს მერქნიდან 1966 წელს (CPT) და მისი ანალოგი 10-ჰიდროქსიკამპტოტეცინი განიხილება 2 ყველაზე ეფექტურ ანტისიმსივნურ აგენტად. (CPT)-ს პირველადი მოქმედების მექანიზმი გულისხმობს შიდაბირთვული ენზიმის-ტოპოზომერაზ-7-ის ინჰიბირებას, რომელიც საჭიროა მოლექულური მოქმედებისას დამ-ის რეპლიკაციის და ტრანსკლიპციის პროცესში. ჰიკამპტინი (ტოპოზოტეცინი) და კამპტოსტარი (ირინოტეცინი) ცნობილია, როგორც ნახევრადსინთეზური ნარკოტიკი.

ამ უკანასკნელთ უკვე იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკაში საკვერცხისა და ფილტვის კიბოს საწინააღმდეგო ეფექტურ საშუალებად. ამჟამად კი, ჩინეთსა და ინდოეთში ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთ-(CPT)-ს ძირითადად იღებენ *Camptotheca acuminata* *Nothapodytes nimmoniana* -დან. მათზე მზარდმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ხეების მასობრივი გაჩეხვა, რის გამოც ამ ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებისა და მათი ანალოგების მისაღებად საჭირო გახდა ალტერნატიული წყაროების მოძიება [20-21]. 2005 წელს პირველად ახსენებს ენდოფიტური სოკო *Entrophospora infrequens*, გამოყოფილი *Nothapodytes foetida*-დან, რომელსაც შესწევდა (CPT)-ს წარმოქმნის უნარი [22]. მოგვიანებით ენდოფიტ *E. infrequens* -ში (CPT)-ს ზრდისა და დაგროვების გამოსაკვლევად კინეტიკური კვლევები ჩაატარეს სუსპენზიურ კულტურაში და აჩვენეს, რომ ეს ენდოფიტი, შესაძლებელია იყოს პოტენციური ალტერნატიული წყარო (CPT)-ს საწარმოებლად [20]. შემდგომ აღმოაჩინეს (CPT)-ს მწარმოებელი ენდოფიტური სოკო *Neurospora* sp.-ს *Nothapodytes foetida*-ს ოქსლიდან [23].

ვინდოლინის და კატარანტინის მონომერების დაწყვილებით მიღებული ინდოლური ალკალინიდების ტერპენოიდები – ვინდლასტინი და ვინკრისტინი ცნობილია, როგორც ანტისიმსივნური აგენტები [24-25]. დადგენილია, რომ ენდოფიტური სოკო *Alternaria* sp. გამოყოფილია *Catharanthus roseus*-დან, რომელსაც ლაფანიდან ვიმბლასტინის წარმოქმნის უნარი აქვს [26]. უფრო მოგვიანებით დადგინდა, რომ *Catharanthum roseus-is* ლაფანიდან გამოყოფილ ენდოფიტურ სოკოს *Fusarium oxysporum* ვინკრისტინის წარმოქმნა შეეძლო [27]. ასევე, *C. roseus* ფოთოლებში აღმოაჩინეს უცნობი ვინკრისტინის წარმოქმნელი ენდოფიტური სოკო [28]. ეს შედეგები აჩვენებს, რომ ზოგიერთი ენდოფიტური სოკო შეიძლება იყოს პოტენციური წყარო ვინდლასტინის და ვინკრისტინის საწარმოებლად. საქართველოში შესაძლებელია რელიქტური უთხოვარის (*Taxus baccata*) კორომებში არსებული ენდოფიტური სოკოს გამოყენება ანტიმიკრობული ნაერთების მისაღებად. ყველაზე მეტად ეს მცენარე გავრცელებულია ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალში. ანტიმიკრობული მეტაბოლიტების გამოყოფა შეიძლება ენდოფიტური სოკოს *Pichia guilliermondii*-დან, რომელიც იზრდება *Paris polypyllavar. yunnanensis*-ზე, ასევე, ანტიმიკრობული ნაერთები გამოყოფილია *Clusia* spp. (Clusiaceae) ენდოფიტური სოკოდან [29]. ეს მცენარეებიც გავრცელებულია საქართველოში.

მასპინძელ – მცენარეთაგან წარმოქმნილი სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ასევე შეიძლება ბიოსინთეზირდეს მათი ენდოფიტური სოკოებითაც: ძირითადად, ჰიპერზინ A, α-ირნი, β-ირნი, დიოზგენინი, ჰიპერიცინი და ტოსენდანინი. მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს ენდოფიტური სოკო *Acremonium* (2F09P03B), რომელიც მიღებულია *Huperzia serrat*-დან და შესწევს უნარი, წარმოქმნას ჰიპერზინ-A. შემდგომ მეცნიერებმა მოახდინეს ფერმენტაციის პირობების ოპტიმიზაცია. მოგვიანებით კი, აღმოაჩინეს *Lycopodium serratum*-დან მიღებული ენდოფიტური სოკო *Pennicillium chrysogenum*,

რომელსაც შეუძლია წარმოქმნას იმდენივე ჰიპერზინი (4,761 მგ/ლ), რამდენიც თხევად კულტურებშია [30]. ამ მონაცემებმა და შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ ენდოფიტური სოკო შესაძლოა იყოს აღტერნატიული რესურსი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მისაღებად.

ამდენად, მცენარეულ ენდოფიტურ სოკოებს გააჩნიათ სპეციფიკური უნარი, წარმოქმნან მათი მასპინძელ-მცენარის მსგავსი ან იდენტური ნაერთები. ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში მცენიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ენდოფიტური სოკოების მრავალფეროვნებას, ენდოფიტურ სოკოებსა და მათ მასპინძელ-მცენარეთა ურთიერთობას, ენდოფიტური სოკოებიდან გამოყოფილი ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძიებას და, გენური ინჟინერიის გამოყენებით, ზოგიერთი პოტენციური წყაროს პროდუქტულობის ზრდას, ასევე, მიკრობული ფერმენტაციის პროცესებს და სხვა ღონისძიებებს [4].

დღეისათვის გამოკვლეულია ასობით მცენარის ენდოფიტური სოკო, მათგან კი წარმატებით მიიღეს მრავალი ახალი და ღირებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთი ანტიმიკრობული, ინსექტიციდური, ციტოსტოქიური და ანტისიმსიგნური აქტივობით [31].

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Tan RX, Zhou WX. Endophytes: a rich source of functional metabolites. *Natural Product Reports*. 2001; 18: 448-459.
2. Zhang HW, Song YC, Tan RX. Biology and chemistry of endophytes. *Natural Product Reports*. 2006; 23: 753-771.
3. Rodriguez RJ, White JF, Arnold AE, Redman RS. Fungal endophytes: diversity and functional roles. *New Phytologist*. 2009; 182: 314-330.
4. Strobel G, Daisy B, Castillo U, Harper J. Natural products from endophytic microorganisms. *Journal of Natural Products*. 2004; 67: 257-268.
5. Gunatilaka AAL. Natural products from plant-associated microorganisms: distribution, structural diversity, bioactivity, and implications of their occurrence. *Journal of Natural Products*. 2006; 69: 505-526.
6. Verma VC, Kharmar RN, Strobel GA. Chemical and functional diversity of natural products from plant associated endophytic fungi. *Natural Product Communications*. 2009; 4: 1511-1532.
7. Stierle A, Strobel G, Stierle D. Taxol and taxane production by *Taxomyces andreanae*, an endophytic fungus of Pacific yew. *Science*. 1993; 260: 214-216.
8. Xu L, Zhou L, Zhao J, Jiang W. Recent studies on the antimicrobial compounds produced by plant endophytic fungi. *Natural Product Research and Development*. 2008; 20: 731-740.
9. Silvia F, Sturdikova M, Muckova M. Bioactive secondary metabolites produced by microorganisms associated with plants. *Biologia*. 2007; 62: 251-257.
10. Zhou L, Zhao J, Xu L, Huang Y, Ma Z, Wang J, Jiang W. Antimicrobial compounds produced by plant endophytic fungi. In: De Costa P, Bezerra P, eds. *Fungicides: Chemistry, Environmental Impact and Health Effects*. New York: Nova Science Publishers; 2009: 91-119.
11. Wani MC, Taylor HL, Wall ME, Coggon P, McPhail AT. Plant antitumor agents VI: the isolation and structure of taxol, a novel antilekemic and antitumor agent from *Taxus brevifolia*. *Journal of the American Chemical Society*. 1971; 93: 2325-2327.
12. Yang X, Guo S, Zhang L, Shao H. Selection of producing podophyllotoxin endophytic fungi from podophyllin plant. *Natural Product Research and Development*. 2003; 15: 419-422.
13. Lu L, He J, Yu X, Li G, Zhang X. Studies on isolation and identification of endophytic fungi strain SC13 from pharmaceutical plant *Sabina vulgaris*Ant. and metabolites. *Acta Agriculturae Boreali-occidentalis Sinica*. 2006; 15: 85-89.
14. Cao L, Huang J, Li J. Fermentation conditions of *Sinopodophyllum hexandrum* endophytic fungus on production of podophyllotoxin. *Food and Fermentation Industries*. 2007; 33: 28-32.
15. Kour A, Shawl AS, Rehman S, Sultan P, Qazi PH, Suden P, Khajuria RK, Verma V. Isolation and identification of an endophytic strain of *Fusarium oxysporum*producing podophyllotoxin from *Juniperus recurva*. *World Journal of Microbiology and Biotechnology*. 2008; 24: 1115-1121.
16. Zeng S, Shao H, Zhang L. An endophytic fungus producing a substance analogous to podophyllotoxin isolated from *Diphylleia sinensis*. *Journal of Microbiology*. 2004; 24: 1-2.
17. Guo S, Jiang B, Su Y, Liu S, Zhang L. Podophyllotoxin and its analogues from the endophytic fungi drrivativd from *Dyosma veitchii*. *Biotechnology*. 2004; 14: 55-57.
18. Eyberger AL, Dondapati R, Porter JR. Endophyte fungal isolates from *Podophyllum peltatum* produce podophyllotoxin. *Journal of Natural Products*. 2006; 69: 1121-1124.
19. Puri SC, Nazir A, Chawla R, Arora R, Riyaz-ul-Hasan S, Amna T, Ahmed B, Verma V, Singh S, Sagar R, Sharma A, Kumar R, Sharma RK, Qazi GN. The endophytic fungus *Trametes hirsuta*as a novel alternative source of podophyllotoxin and related aryl tetralin ligans. *Journal of Biotechnology*. 2006; 122: 494-510.

20. Amna T, Puri SC, Verma V, Sharma JP, Khajuria RK, Musarrat J, Spiteller M, Qazi GN. Bioreactor studies on the endophytic fungus *Entrophospora infrequens* for the production of an anticancer alkaloid camptothecin. Canadian Journal of Microbiology. 2006; 52: 189-196.
21. Shweta S, Zuehlke S, Ramesha BT, Priti V, Mohana Kunar P, Ravikanth G, Spiteller M, Vasudeva R, Shaanker RU. Endophytic fungal strains of *Fusarium solani*, from *Apodytes dimidiata*E. Mey. ex Arn (Icacinaceae) produce camptothecin, 10-hydroxycamptothecin and 9-methoxycamptothecin. Phytochemistry. 2010; 71: 117-122.
22. Puri SC, Verma V, Amna T, Qazi GN, Spiteller M. An endophytic fungus from *Nothapodytes foetida* that produces camptothecin. Journal of Natural Products. 2005; 68: 1717-1719.
23. Rehman S, Shawl AS, Kour A, Andrabi R, Sudan P, Sultan P, Verma V, Qazi GN. An endophytic *Neurospora* sp. from *Nothapodytes foetida* producing camptothecin. Applied Biochemistry and Microbiology. 2008; 44: 203-209.
24. Perez J, Pardo J, Gomez C. Vincristine: an effective treatment of corticoid-resistant life-threatening infantile hemangiomas. Acta Oncologica. 2002; 41: 197-199.
25. Wang Q, Yuan F, Pan Q, Li M, Wang G, Zhao J, Tang K. Isolation and functional analysis of the *Catharanthus roseus* deacetylvinodoline-4-O-acetyltransferase gene promoter. Plant Cell Report. 2010; 29: 185-192.
26. Guo B, Li H, Zhang L. Isolation of the fungus producing vinblastine. Journal of Yunnan University (Natural Science Edition). 1998; 20: 214-215.
27. Zhang L, Guo B, Li H, Zeng S, Shao H, Gu S, Wei R. Preliminary study on the isolation of endophytic fungus of *Catharanthus roseus* and its fermentation to produce products of therapeutic value. Chinese Traditional and Herbal Drugs. 2000; 31: 805-807.
28. Yang X, Zhang L, Guo B, Guo S. Preliminary study of a vincristine-producing endophytic fungus isolated from leaves of *Catharanthus roseus*. Chinese Traditional and Herbal Drugs. 2004; 35: 79-81.
29. N.Kavtaradze, I.Mikadze, A.Dolidze, L.Dolidze, N.Nonikashvili, R.Uridia. Obtaining and researching of plant biologically active agents by using of endophytic fungi. 3-rd International Conference of Organic Chemistry (ICOC-2014) "Organic Synthesis – Driving Force of Life Development", Abstract Book, 25- 28 September, 2014, p. 138-140.
30. Zhou S, Yang F, Lan S, Xu N, Hong Y. Huperzine A producing conditions from endophytic fungus in SHB *Huperzia serrata*. Journal of Microbiology. 2009; 29: 32-36.
31. Schneider P, Misiek M, Hoffmeister D. In vivo and in vitro production options for fungal secondary metabolites. Molecular Pharmaceutics. 2008; 5: 234-242.

## POSSIBILITIES OF OBTAINING BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES FROM ENDOPHYTIC FUNGI

N.Barbakadze, T.Dgebuadze, N.Kavtaradze, L.Dolidze, I.Mikadze, A.Dolidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*  
**SUMMARY**

Endophytic fungi have the ability to accumulate the same biologically active substances as the host-plant. There are studied endophytic fungi from which it is possible to obtain a number of plant biologically active compounds, which have shown antimicrobial, insecticidal, cytotoxic and anticancer activity. In Georgia, it is possible to receive antimicrobial compounds from endophytic fungi of relict Yew (*Taxus baccata*) in Batsara State reserve and other selected plants, which is certainly promising due to increasing demand for natural means.

## ВОЗМОЖНОСТИ ПОЛУЧЕНИЯ БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫХ ВЕЩЕСТВ ИЗ ЭНДОФИТНЫХ ГРИБОВ

Н.Г.Барбакадзе, Т.А.Дгебуадзе, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе, И.И.Микадзе, А.В.Долидзе

*Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили, Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили*  
**РЕЗЮМЕ**

Эндофитные грибы имеют способность накапливать те же биологически активные вещества, что и хозяин-растение. Изучены эндофитные грибы, из которых можно получить целый ряд растительных биологически активных соединений, характеризующихся антимикробной, инсектицидной, цитотоксичной и антиопухолевой активностью. В Грузии из эндофитных грибов, присутствующих на реликтовом Тисе (*Taxus baccata*) в Бацарском государственном заповеднике и других отобранных растениях, возможно получение антимикробных соединений, что безусловно перспективно из-за возрастающей потребности на природные средства.

## მიმიური ეკოლოგია

## მცენარეული ნივთიერებები მაცნეებლთა საჭიროებლივ

ავთანდილ დოლიძე, ნინო ნონიკაშვილი, ქეთევან ებრალიძე, ირმა მიქაძე, ომარ ლომთაძე

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/პუტინ მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვნებისა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება ფართო სპექტრის მოქმედების პესტიციდები. ეფექტური ბიოდაშლადი, სელექტიურად მოქმედი პესტიციდების შემუშავება სულ უფრო აქტუალური ხდება. სადღესისოდ ამაღლდა ინტერესი ბუნებრივი წარმოშობის პესტიციდებისადმი, მათ შორის მცენარეებში არსებული ინსექტიციდური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისადმი. საქართველოს მდიდარი მცენარეული საფარველი ამ მხრივ შეუსწავლელია და პერსპექტიულია ენდემური და რელიქტური მცენარეების ბიომასის ქიმიური კვლევა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა და შესაბამისი ინსექტიციდური პრეპარატების კომერციული დამზადება.

ადამიანის საყოფაცხოვრებო გარემოსა და სოფლის მეურნეობის განვითარება გამოიყენებს ქიმიური ნივთიერებების სულ უფრო მზარდ რაოდენობას და შესაძლებელია მათი გავრცელება საკვებში, წყალსა და ჰაერში. მცენარეთა მავნებლების, დაავათებათა გამომწვევების და სარეველების რიცხოვნების რეგულირებისათვის საჭიროა ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო საშუალებების შემუშავება. საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად მისაღებია ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესების გამოყენება, რაც არ აზიანებს გარემოს.

მცენარეების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიცავს მავნებელთა რიცხოვნების შემზღვდავ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩატარდა მცენარეთა ფართო სკრინინგი ინსექტიციდური ნივთიერებების გამოსავლენად (დაახლოებით 6000 სახეობის მცენარიდან 2000-სახეობას აღმოჩნდა ინსექტიციდური აქტივობა) [1-3]. უპირატესი ყურადღება დაუთმო იმ მცენარეებს, რომელთაც მომავალში პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივა გააჩნია.

თამბაქოს ნივთიერები რამოდენიმე საუკუნეა გამოიყენება მაგრე მწერების საწინააღმდევოოდ. იგი წარმოადგენს სწრაფად მოქმედ კონტაქტურ ინსექტიციდს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თხევადი პრეპარატების ან ბოლის სახით. ნიკოტინს სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს 20-მდე სახეობის მცენარე. კომერციული მნიშვნელობა აქვს *N.tabacum* და *N.nisticus*-ს, სადაც ნიკოტინი 6 და 18%-ია, შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოტინს აქვს ძლიერი ტოკისიკური გავლენა მწერებზე, იგი არ გახდა პრაკტიკულად ფართოდ გამოყენებადი. სხვადასხვა მცენარეში არსებობს ამ აღკალოიდის ნაწარმები, რომელიც უფრო აქტიურები არიან, მაგრამ მათაც ვერ პერვებს ფართო გამოყენება.

პირეტრუმი გამოიყო Chrysanthemum cinerariaefolium-დან და გამოიყენება ეფექტური ბუნებრივი ინსექტიციდის სახით. დდტ-ს აღმოჩნდა ბუნებრივი გასულ საუკუნეში დაჩრდილა პირეტრუმი, მაგრამ შემდგომში მავნებლების დდტ-სადმი მდგრადობის დადასტურებასთან ერთად კვლავ აქტუალური გახდა. პირეტრუმს იყენებნ ზეთოვანი ან წყლიანი ზნარების სახით, სადაც მისი შემცველობა არ აღმატება 0,1%, მაგრამ 10-ჯერ მეტია სინერგიისტების შემცველობა [4] ამასთან თიხები ან ცალკე უმატება სარჩულის სახით. ამჟამად ბუნებრივი პირეტრინების სინთეზური ანალოგები პირეტროიდული პრეპარატების სახით გააბატონებულია მსოფლიოს სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში. თუმცა აქაც ვითარდება მავნებლების მდგრადობა პრეპარატებისადმი და წარმოება ამზადებს სულ ახალ მოდიფიკაციებს. ქიმიური შემადგენლობის შესწავლამ, ასევე სტრუქტურისა და აქტიურობის დამოკიდებულების თავისებურებების დადგენამ შესაძლებელი გახდა მისი სინთეზი და კომერციული რაოდენობებით მიღება. ნაერთებს, რომლებიც პირეტრინის სტრუქტურის მსგავსია ედახიან პირეტროიდებს [5]. ასეთი პრეპარატები ხასიათდებიან გაცილებით გაუმჯობესებული თვისებებით, ვიდრე ბუნებრივი ნაერთები. ამგვარად, პირეტროიდული პრეპარატების მრავალფეროვნება შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს. ფაქტიურად მოხდა პირეტროიდული პრეპარატების დამზადებაში მსოფლიო შესაძლებლობების გადანაწილება და პრეპარატის მუვური საწყისის – ქრიზანტემის მუვანის ნაწარმები მზადდება სულ რამოდენიმე წარმოებაში, ხოლო შემდეგ ხდება მრავალ ფირმაში სხვადასხვა

სპირტულ კომპონენტებთან კონდენსაცია და მიიღება მაღალი ტექნიკური თვისებების, ადგილობრივ პირობებზე მორგებული პრეპარატები.

ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ [6-8] აღნიშნული პრინციპით გამოყენებულია იმპორტირებული აქტიური საწყისი სტანდარტული პირეტროიდი, ხოლო სინერგისტად შერჩეულია ბუნებრივი ტერპენტინების ზეთის ფრაქცია და სხვა დანამატები. შედეგად მიღებულია ინსექტო-აკარაციდული პრეპარატი – “ანტიაქსტი”. ახალ ფორმულაციას რეპელენტური თვისებების შეძნასთან ერთად გაუხანგრძლივდა მავნებლებზე ზემოქმედების პერიოდი, რაც ხელს უწყობს დაბალი შემცველობის მცარე ეკოლოგიური დატვირთვის პრეპარატის ეფექტურობას. პრეპარატი გამოცდილია სამი წლის განმავლობაში პოზიტიური შედეგებით. იგი მორგებულია საქართველოს პირობებზე და ხელმისაწვდომია ღირებულებითაც.

როტენონები და როტენოიდები გამოიყენება მავნებელთა საწინააღმდეგოდ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში. თავის დროზე ამ მცენარეების ფესვებიდან გამოყოფილ საწამლავს იყენებდნენ ისრებისათვის. ამავე დროს შეიძლება მათი გამოყენება ფოთოლმჭამია მავნებლების წინააღმდეგ. *Daris chinesis*-დან გამოყოფილ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებს ფართოდ გამოიყენებდნენ ჩინელებიც [9,10], ქიმიურად ისინი წარმოადგენენ კეტონებს. როტენონები და როტენოიდები მცირედ ტოქსიკურია ცხველების მიმართ, მაშინ როდესაც ძლიერ ტოქსიკურია მწერების მიმართ. მათი ფხვნილები და აეროზოლები გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. როტენონები როტენი აღნაგონის გამო არაკონკურენტუნარიანია პირეტროიდებთან შედარებით, თუმცა მეცნიერები არ კარგავენ იმედს, რომ შესაძლებელია უფრო მეტად მარტივი, ეფექტური და იაფი ანალოგების მიღებაც.

სხვა მცენარეებისაგან მიღებული ნაერთები მწერების საწინააღმდეგოდ გამოიყენებიან შეზღუდული რაოდენობით. აქედან გამომდინარე შედარებით მცირე რაოდენობის მცენარეები გამოკვლეულია ინსექტიციდური აქტიობის მქონე ნაერთების არსებობაზეც. ამასთან ერთად, მეცნიერები უმეტესად ყურადღებას აქცევენ მკეთრად გამოხატული ტოქსიკურობის მქონე მცენარეებს, მაშინ როდესაც ბევრ მათგანს ახასიათებს მოდიფიცირების უნარი მცენარეების ფიზიოლოგიურ მოქმედებაზე. ეს უკანასკნელი გარემოება კი მეტად პერსპექტიულია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამ მხრივ, გამორჩეულია აზადირახტი ინდური, მელია სპარსული (*Melis izadarach*), რომელიც გამოიყენება მავნე მწერების საწინააღმდეგოდ. ამ ხის ნაყოფში და ფოთლებში არსებული ნივთიერებები გამოიყენება ბუნებრივ რეპელენტებად [9]. ინტენსიურად იკვლევენ ნაყოფებიდან მიღებულ ზეთს. ზოგიერთი ამერიკული ფირმა ამზადებს აზადირახტის ფხვნილს. იგი გამოცდილია აშშ კანონმდებლობის შესაბამისად. მწარე ნივთიერებების სახით გამოყოფილია ლიმბონიდები და სხვ. დადასტურებულია აზადირახტის ნაყოფის ექსტრაქტების აქტიობა მთელი რიგი მავნე მწერების განვითარების მიმართ. ამავე დროს, გამოიყენება აზადირახტის ნაყოფებიდან გამოწურვის ნარჩენები შარდოვანასთან ერთად სხვადასხვა კულტურების (მაგ. ბრინჯი) დასაცავად მავნე მწერებისაგან. აზადირახტინის სინთეზი ძალზე ძვირია, ამიტომ გამოიყენებენ მირითადად ექსტრაქტების სახით იმ ქვეყნებში, სადაც მუშახელის სიჭარბეა.

მთელი რიგი ნივთიერებები ზემოქმედებებს არა მარტო მავნე მწერებზე, არამედ ასევე პათოგენური ბაქტერიების და სოკოების საწინააღმდეგოდ. ასეთი ნივთიერებების გამოყოფის მცირე რაოდენობის გამო აუცილებელი ხდება მათი სინთეზი, რათა კომერციული პერსპექტივა ქონდეთ. ბუნებრივი ინსექტიციდები იცავენ მცენარეს გარეშე მტრებისაგან, ამით მცენარეებმა შესძლეს მოქმედებინათ გაბატონებული მდგომარეობა ჩვენი პლანეტის ხმელეთის მნიშვნელოვან ნაწილზე. ჩვენთვის უმეტესად საინტერესოა პრაქტიკული გამოყენების პერპექტივის მქონე მცენარეებული ინსექტიციდები. ამ მხრივ, საქართველოში მდიდარი მცენარეული საფარელი თითქმის შეუსწავლელია. ანალოგიურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება შეირჩეს სავარაუდოდ პერსპექტიული მცენარეები და შევისწავლოთ მათი ბიომასის სხვადასხვა ნაწილის ინსექტიციდური აქტიობა და გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში არსებობს სახელმწიფო ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია რელიგიური და ენდემური მცენარეები. ამჟამად არის შესაძლებლობა პერსპექტიული მცენარის ბიომასის ქიმიური კვლევისათვის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების გამოყოფისა და მცირებასშტაბიანი კომერციული დამზადების ორგანიზაციისათვის.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Crosby D.G., in: Naturally occurring insecticides (eds.M. Jacobson, D.G.Crosby). Mircel Dekker, Inc., New York, 1971, p.177.

2. Jacobson M.. Agric. Handbook 154, Agric. Res. Service, U.S. Dept. Agric., 1958.
3. Jacobson M.. Agric. Handbook 461, Agric. Res. Service, U.S. Dept. Agric., 1971.
4. Casida J.E., in: Microbial control of pest and plant diseases 1970-1980 (ed. H.D. Burges). Academic Press, London, New York, 1981.
5. Elliot M., ACS Symp. Series 42, Washington, D.C., 1977.
6. ლ.შუბლაძე, ა.დოლიძე, ო.ლომთაძე, ლ.ცხვედაძე, ლ.თარალაშვილი, მ.მახათაძე. პრეპარატების “ანტიპესტის” და “თუთიის დიპილოფილფატის” ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა ყურძნის წვენსა და ღვინოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმის სერია, 2010, წ. 36, №4, გვ. 503-505.
7. ო. ლომთაძე, ლ. ცხვედაძე, ა. დოლიძე, ნ. ლომთაძე. გაზის მაგნებელ-დაავალებების საწინააღმდევო შედარებით უსაფრთხო საშუალებების შემუშავება-გამოცდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის. პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმის ინსტიტუტის შრომები, 2011, გვ. 138-141.
8. ა.დოლიძე, ი.მიქაძე, ო.ლომთაძე, ნ.ქავთარაძე, ლ.დოლიძე, ნ.ბარბაქაძე. მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვა გარემოს დამზოგავი მეთოდებით. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, “ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში.”, ქ. ბათუმი, საქართველო, 8-10 მაისი, 2013, 190-193.
9. Sehmutterer H., Ascher K.R.S., Remboid H., in. Proc. 1 st Int. Neem Co.f., Rottach-Egern [FRG], June, 1980.

### **PLANT SUBSTANCES AGAINST PEST**

A.Dolidze, N.Nonikashvili, K.Ebralidze, I.Mikadze, O.Lomtadze

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

at Iv. Javakhishvili Tbilisi State University

#### **SUMMARY**

Broad-spectrum pesticides are used in agricultural practice, despite a number of disadvantages. Development of effective, selective biodegradable pesticides becomes relevant. Nowdays interest in pesticides of a natural origin, especially in biologically active vegetable insecticidal compounds increases. The rich vegetable cover of Georgia is almost not investigated and chemical studying of biomass of local relic and endemic a plant allocation of biologically active substances and commercial production of preparations is perspective.

### **РАСТИТЕЛЬНЫЕ ВЕЩЕСТВА ПРОТИВ ВРЕДИТЕЛЕЙ**

А.Долидзе, Н.Ноникашвили, К.Эбралидзе, И.Микадзе, О.Ломтадзе

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

#### **РЕЗЮМЕ**

В сельско-хозяйственной практике, несмотря на целый ряд недостатков, применяются пестициды широкого спектра действия. Актуальным становится разработка эффективных, селективно действующих биоразрушаемых пестицидов. В настоящее время повышен интерес к пестицидам природного происхождения, и том числе к растительным инсектицидным биологически активным соединениям. Богатый растительный покров Грузии почти не исследован и является перспективным химическое изучение биомассы эндемичных и реликтовых растений, выделение биологически активных веществ и коммерческое изготовление препаратов.

**პიმიური ეკოლოგია****გარემოში რადიოუკლიდების გავრცელების შეზღუდვის  
შესაძლებლობები**

ქათევან ქოჩიაშვილი, რუსუდან ცისკარიშვილი, ნინო ნონიკაშვილი, ირმა მიქაძე,  
ავთანდილ დოლიძე

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფი უნივერსიტეტი, პუტინ  
მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

ატმოსფეროდან რადიოუკლიდები იღებებიან ნიადაგში და მცენარეთა ფესვთა სისტემიდან გადადიან ფოთლებსა და ნაყოფებში. ამდენად, დალექილი რადიოუკლიდები აქტიურად მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებში და მცენარეული საკვებიდან ზედებიან ცხოველებისა და ადამიანის სასიცოცხლო ციკლში. ეს კი რეალურად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ზოგადად, ეკოლოგიურ მდგომარეობას. ამიტომ ნიადაგში რადიოუკლიდების ფიქსაცია, დეპონირება და შებოჭვა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. გარემოში რადიოუკლიდების დათრგუნვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას წარმოდგენილი სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები.

რადიოუკლიდებით დანაგვიანებული ადგილების გაუგნებელყოფის პრობლემა მრავალფაქტორიანია და პოზიტიური შედეგების მიღწევა უდაბნო მნიშვნელოვანია გარემოსა და ადამიანის დაცვისთვის. მრავალი ქვეყნის მეცნიერები აქტიურად მუშაობს რადიოუკლიდების შემცირებისათვის გარემოს დამზადების მეთოდების შემუშავების მხრივ.

საქართველოს სებტემბრიკულ ზონაში, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და სპეციფიკური მცენარეული საფარის გამო ატმოსფეროდან რადიოუკლიდების მაქსიმალური დალექვა ხდება. ეს გარემოება დადასტურებულია ადრე შესრულებული მრავალწლიანი ექსპერიმენტების საფუძველზე. შედეგენილია რადიოუკლიდებით საქართველოს ტერიტორიის დანაგვიანების რუქა, განსაზღვრულია დანაგვიანების ხარისხი და ზონები [1]. ყველაზე მეტად რადიოუკლიდებით დანაგვიანებულია აჭარის და ოზურგეთის რაიონის შავი ზღვის სანაპირო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რადიოუკლიდების კონცენტრაცია დროში ცვალებადია და აუცილებელია სამუშაოს დასაწყისში რადიოუკლიდების კონცენტრაციის საწყისი მონაცემების განსაზღვრა თანამედროვე მოწყობილობის გამოყენებით.

ადამიანის საკვებში ყველაზე ხშირად გვხვდება  $^{137}\text{Cs}$  და  $^{90}\text{Sr}$ , რადგან მცენარეები ადვილად შთანთქმავნ მათ. ატმოსფეროდან რადიოუკლიდები იღებებიან ნიადაგში და მცენარეთა ფესვთა სისტემიდან გადადიან მცენარეში - ფოთლებსა და ნაყოფში. ამდენად, ატმოსფეროდან დალექილი რადიოუკლიდები აქტიურად მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის პროცესებში და მცენარეული საკვებიდან ზედებიან ცხოველებისა და ადამიანის სასიცოცხლო ციკლში. ეს კი რეალურად საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ზოგადად, ეკოლოგიურ მდგომარეობას [2].

აღსანიშნავია, რომ ტყე რადიოაქტიური ელემენტების გავრცელების საწინააღმდეგო მძლავრი ბარიერია. მისთვის დამახასიათებელია რადიოაქტიური დამლის პროცესების შეკავება, შებოჭვა. ტყის მიერ რადიოაქტიური ნივთიერებების საგრძნობი რაოდენობით შეკავება განპირობებულია იმით, რომ მისი მწვანე მასის ზედაპირული ფართი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ბალაზების მწვანე მასის ზედაპირულ ფართიან შედარებით ბევრად დიდია. უნდა აღინიშვნოს, რომ წიწვოვან მცენარეებს ფოთლოვანებთან შედარებით სამჯერ მეტი მწვანე მასის ზედაპირული ფართობი აქვს და ამის გამო ისინი რადიოუკლიდებს უფრო მეტად აკავებენ. ტყე აკავებს არა მარტო ვერტიკალურად, არამედ იგი ჰორიზონტალურად მიმართულ ჰაერის ნაკადსაც ფალტრაციის რადიოაქტიურ პროცესებისგან.

რადიოაქტიური მტვრის გლობალური დაღეჭისას ტყის მიერ რადიოაქტიურ ნივთიერებათა შეკავების კოეფიციენტი 40%-მდე აღწევს. შემოდგომაზე და ზამთარში ფოთლოლცვენის გამო შეკავების კოეფიციენტის მნიშვნელობა ნაკლებია. ტყის დამცველი გავლენა ვრცელდება მოსაზღვრე უტყეო ფართობებზე (ტყიდან 1 კმ-ის მანძილზე). ზოგ შემთხვევაში მოსალოდნელია ტყესთან ახლომდებარე ტერიტორიის დასახლებული ადგილების მეორეული დანაგვიანება. ამის მიზანად ქარის გაძლიერება და ტყის ხანძარი გვევლინება. ტყის ხანძარის შემთხვევაში ფერფლი რადიოაქტიური ელემენტებით

რამდენიმე ათეულობით კილომეტრზე ვრცელდება. მოსახლეობის მიერ დანაგვიანებული ტყის მასალის გამოყენებაც უწყობს ხელს რადიოაქტიური იზოტოპების გავრცელებას [1, 3]. მცენარეთა ვეგეტაციურ პერიოდში და მოსავალში, რადიოაქტიური ნივთიერებების დაშლის პროცესების დაგროვების შემატვირებელი ღონისძიებები უმნიშვნელოვანესაა.

საოფიციალური-სამეცნიერო მცენარეთა მოსავალში რადიონუკლიდების რაოდენობის დაგროვება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. იგი იცვლება ნიადაგის მექანიკური და მინერალური შემადგენლობის, ასევე გაცვლითი კათოზიტების, ნიადაგის მჟავიანობის მიხედვით (განსაკუთრებით ძლიერი რადიონუკლიდების შებოჭვა ხდება ნიადაგის ლამიანი ფრაქციით).

კალციუმის  $^{90}\text{Sr}$  მსგავსი თვისებები აქვს და ნიადაგში კირის შეტანა, განსაკუთრებით მაღალი მჟავიანობის ნიადაგებში, ხელს უწყობს  $^{90}\text{Sr}$  შთანთქმას და ამცირებს მისი მიგრაციას. კალციუმი კი ცეზიუმი ( $^{137}\text{Cs}$ ) –ის მსგავსი თვისებებით ხასიათდება. კალციუმი, როგორც  $^{137}\text{Cs}$ -ის არაიზოტოპური ანალოგი ნიადაგში მაკრორაოდენობით არის, მაშინ როდესაც ცეზიუმი ულტრამიკრონულ კონცენტრაციებშია. შედეგად, ნიადაგურ ნარევში ხდება  $^{137}\text{Cs}$ -ის მიკრორაოდენობების ძლიერი განზავება და მცენარეთა ფესვებით მათი შთანთქმისას, ადგილი აქვს კონკურენციას ფესვების ზედაპირზე ადსორბციის ადგილისთვის. ამიტომ ნიადაგიდან ამ ელემენტების მცენარეებში გადასვლისას შეინიშნება ცეზიუმისა და კალციუმის იონების ანტაგონიზმი.

მცენარეების მიერ რადიონუკლიდთა შთანთქმის შეზღუდვის ერთ-ერთი გზა ნიადაგში ფესვთა სისტემებიდან რადიონუკლიდთა შებოჭვას და მნელად ხსნად ნაერთში გადაყვანას გულისხმობს. აუცილებელი ხდება დანაგვიანებული ნიადაგის რემედიაციის რაციონალური მეთოდის შემუშავება გარემოსათვის ნაკლებად სახიფათო მეთოდებისა და ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით [4]. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი სახეობის უმდაბლესი და უმაღლესი მცენარეები ზრდა-განვითარების პროცესში იყენებენ რადიონუკლიდების ბიოსორბციას, რაც ხელს უწყობს მათ დეპონირებას და გამოთიშვას შემდგომში ნივთიერებათა მიმოქცევის პროცესებიდან [5]. ცნობილია, რომ ნიადაგის ზედაპირული ფენის და ფესვთა სისტემის (სიღრმე  $\approx 40$  სმ) რემედიაცია პოზიტიურად მოქმედებს რადიონუკლიდებით დანაგვიანების მნიშვნელოვან შემცირებაზე. ცნობილია, რომ მცენარეული ნედლეულიდან, მურა ნახშირიდან და ტორფიდან გამოყოფილი ჰუმინური მჟავების მოდიფიცირებული კომპლექსი ხელს უწყობს რადიონუკლიდების დეპონირებას დანაგვიანების მაქსიმალური კონცენტრაციის ფენაში. ამავე დროს, შესაძლებელია ეფექტური მცენარეული სუბსტრატების გამოყენება ადგილობრივი მიკროსკოპული სოკოების გასამრავლებლად, რომლებიც ბიომასის მოცულობის ზრდის პროცესში ახდენს რადიონუკლიდების ბიოსორბციას, რაც ხელს უწყობს მათ დეპონირებას [6-8].

ჰუმინური მჟავების პრეპარატები მიღებულია ადგილობრივი ტორფიდან და ქვანახშირიდან. მუშავდება ოპტიმალური პირობები ქსენობიოტიკების აკუმულირებისათვის შერჩეული ადგილობრივი მიკროსკოპული სოკოების ბიოსტიმულირებისათვის. განხორციელდება ნიადაგების მჟავიანობის კორელაცია ჩამქალი კირით, რაც ნიადაგის ოპტიმალურ pH-თან ერთად გაახანგრძლივებს მის ნაყოფიერებას კალციუმის თანაბიძისას. მიკროსკოპული სოკოს განვითარებისათვის გამოყენებულია მცენარეული სუბსტრატები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტრაპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნიადაგებში რადიონუკლიდების აკუმულაციაზე. ამის გათვალისწინება აუცილებელია რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგების რემედიაციის მეთოდების შემუშავებისას [9].

რადიონუკლიდების შთანთქმის დაფიქსირების მიზნით სხვადასხვა მეთოდებს შორის ფართოდ შეისწავლება მოდიფიცირებული ბუნებრივი სორბენტების გამოყენება. მათი მეშვეობით ხდება გარემოს დაცვა რადიონუკლიდების არაკონტროლირებადი მიგრაციისაგან გეოქიმიური ბარიერების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში იყენებენ როგორც ბუნებრივ გეოქიმიურ ბარიერებს, ასავე მიზნობრივად შექმნილ ტექნოგენურ ბარიერებს. ამ ბარიერების კომპონენტების სახით გამოიყენება თიხოვანი მინერალები – მონტმოროლინიტები და კალინიტები. ცნობილია, რომ ე.წ. ცხიმიანი თიხები ხელს უწყობენ ნიადაგში მოხვედრილი ქსენობიოტიკების დეპონირებას და აფერხებენ დაბინძურების გადასვლას გრუნტის წყლებში. ბუნებაში ეს მინერალები განლაგებულია ფენებად და საკმარი ეფექტურად მოქმედებენ. მოდიფიცირებული ბუნებრივი სორბენტების მისაღებად, რომელთაც ექნებათ რადიონუკლიდების სორბციის მეტი უნარი, გამოიყენება როგორც ორგანული კომპონენტები, ასევე არაორგანული [3]. ორგანული კომპონენტების სახით ხდება თიხების დამუშავება ტორფიდან გამოყოფილი ჰუმინური მჟავების ნაწარმებით, ხოლო სორბციული მოცულობის გასაზრდელად გამოიყენება არაოგანული მჟავები და სხვადასხვა მარილები [10].

პარკოსანი მცენარეები, მარცვლოვნებთან შედარებით დიდი რაოდენობით იღებს  $^{90}\text{Sr}$ . შესაბამისად დაბინძურებული ნიადაგის გაწმენდის მიზნით პირველ წელს პარკოსანი მცენარეები უნდა დაითესოს (მიღებული მასა სილოსდება და გაუკნებელყოფილი დაყოვნების მეთოდით გამოიყენება ცხოველთა საკვებად). მეორე წელს კი ამ ფართობზე შესაძლებელია მარცვლოვან მცენარეთა დათესვა (ადამიანთა საკვები პროდუქტის მისაღებად). მცენარეთა მოსავალში რადიონუკლიდებით რაოდენობრივი დაგროვების შესამცირებლად უფრო ეფექტურია ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ნიადაგის ზედა ფენებთან ერთად რადიოაქტიური ნივთიერებების მექანიკური გადაადგილება ხდება დანავიანებული ნიადაგის ქვედა ადგილას, სადაც მცენარეული საფარის ფესვთა მთლიანი სისტემიდან მხოლოდ ერთეული ფესვის გამონაზარდი აღწევს, ამიტომ აერაციის გასაზრდელად მიზანშეწონილია ნიადაგის ღრმა გადახვნა-გადაბრუნება. ასევე ეფექტურია იმ ნივთიერებების შეტანა ნიადაგში, რომლებსაც რადიონუკლიდები მცენარისათვის მნელად შესათვისებელ ფორმაში გადაყავს.

ცნობილია, რომ მჟავიანობის ხელოვნური შეცვლით (მაგალითად გაკირიანებით) შეგვიძლია მოსავალში რადიოაქტიურ ნივთიერებათა დაშლითი პროცესების დაგროვების შეზღუდვა-შემცირება. ამასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში საკმაოდ ეფექტურანია ნიადაგის ნეშომპალით გამდიდრება. მაგალითად, სიმინდში რადიონუკლიდების დაგროვება ამ მეთოდით საგრძნობლად შემცირდება. ეს ყოველივე ეხება ეწერ-კორდიან და მსუბუქი შედგენილობის ნიადაგთა ტიპებს. თიხნარ ნიადაგებში ბოლო ორი მეთოდი არცოუ ისე ეფექტურია. ასევე ეფექტურია წყალბადიონთა მაღალი კონცენტრაციის მქონე მწირი ნიადაგების გაკირიანება და ნეშომპალით გამდიდრება, მოსავალში რადიონუკლიდთა დაგროვების საწინააღმდეგოდ.

მჟავე ნიადაგის მჟავიანობის განეიტრალება შესაძლებელია არა მხოლოდ კალციუმის კარბონატით, არამედ კალიუმის და ნატრიუმის კარბონატებითაც. ამ თვალსაზრისით, ასევე ეფექტურია ნიადაგში ნატრიუმის და კალიუმის ფოსფატების შეტანა. ნიადაგში ერთხანაცვლებული ფოსფატის  $^{90}\text{Sr}$ -ის შეღწევას მცენარეში 20-ჯერ ამცირებს. მაგრამ ეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია დასაშვები, რადგან 1 ჰა-ზე 10 ტ ფოსფატია საჭირო. საყურადღებო  $\text{K}_2\text{CO}_3$ -ით ნიადაგის გამდიდრება, რადგან ამ ღონისძიების შემდეგ მოსავალში  $^{137}\text{Cs}$  დაგროვება 30-ჯერ მცირდება.

ნიადაგში სასუქების გარკვეული წესით შეტანა მცენარეში რადიონუკლიდების დაგროვებას მნიშვნელოვნად ამცირებს. მისი სრული მინერალური განოყიერება და ბიომასით გამდიდრება ორგანული ნივთიერებების დაგროვებას იწვევს, რაც რადიონუკლიდების მეტი რაოდენობით შებოჭვის უნარს იძლევა [11].

აღსანიშნავია, რომ სამეურნეო მნიშვნელობის ნიადაგზე ის კულტურა, რომელიც ნაკლები ოდენობით შთანთქავს რადიონუკლიდებს არ გამოიყენება იმისათვის, რომ მეტად დანაგვიანებული ნიადაგი არ მოცდეს. მაზარშეწონილია მასზე სხვა რაიონისთვის განკუთვნილი სათესლე მასალის მოტკემი (მათ შორის ტექნიკური: სელი, მზესუმზზირა, შაქრის ჭარხალი და სხვ.) კულტურების მოყვანა, რადგან მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია პრაქტიკულად სუფთაა რადიონუკლიდებისგან.

ამგვარად, წარმოდგენილი მეთოდების გამოყენება განსხვავებით რადიკალური ფიზიკურ-ქიმიური საშუალებებისგან გამკაცრებული ეკოლოგიური მოთხოვნების პირობებში მეტად მიზანშეწონილია.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. M.Kvachantiradze, M.tvalchrelidze, N.Gomelauri, T.Urushadze. Certain questions of the radionuclide contamination of Georgia Plants and soils, Problems of agricultural sciences, Georgia, 2004, XXVI, 45-46.
2. Dolidze A. et al. Problems of military Ecology and their solutions in small countries. Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Chem. Ser., 2007, 33, 3, 355-358.
3. A. N. Jha, W. H. Blake, G.E. Millward. environmental radioactivity: implications for human and environmental health. Journal of Environmental Radioactivity. 2014, v. 133, 1-4.
4. M.Kvachantiradze, N.Gomelauri. The results of the study of the radionuclide contamination of soils and plants in Georgia shign-mountain regions. Foundation for development of sciences society, periodical scientific journal "Intellect", 2003, 2, 16, 98-100.

5. L.Kononenko, I. Sadolko,T. Koromislichenko, A. Pozko, P. Lavrov, V. Vlasenko. Unexchanbleane absorption of Cs-135 in soils and its migration on exzample of site "Novoselski" in the Chernobyl area of alienation, Transactions of Institute geochemistry of enviroment, Ukraine, 2007, 14, 64-72.
6. ა. დოლიძე, ი. მიქაელიძე, ქ. ჩხაიძე, გ. ქავთარაძე, ლ. დოლიძე, ნ. ბარაქაძე, რ. ურიდია. ატმოსფეროდან დალექვის შედეგად რადიონუკლიდებით დაბინძურებული ადგილების ეკოლოგიური სახიფათობის შემცირების შესაძლებლობები. პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 2011, 81-83.
7. I.Cholin. Humus acids as main natural complex forming substances. Scientific popular journal "Universities", 2007, 1-7.
8. Golovico N. et. al. The role of organic substances in the migration process of radionuclides from disposal sites. Dis Tec-98. Disposal Technologies and Concepts 1998, September 9-11, 1998, CCh-Congress Centrum, Hamburg.
9. ა. დოლიძე, ი. მიქაელიძე, ქ. ჩხაიძე, რ. ზედგენიძე, რ. ურიდია. ნიადაგებში რადიონუკლიდებით დაბინძურების ფიქსაცია ადგილობრივი საშუალებების გამოყენებით. საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი, 2013, 144-146.
10. D.S. Orlov. Humic substances in the biosphere, Soros Education journal, 1997, 2, 56-63.
11. მ.სტეფანიშვილი, ქ.ქოჩიაშვილი, თ.დგებუაძე, გ. ჯაფარიძე. დაბინძურებული ნიადაგების გასუფთავების სხვადასხვა მეთოდების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2011, 37, 1-2, 162-164.

## POSSIBILITIES OF SPREADING OF RADIONUCLIDES IN THE ENVIRONMENT

Ketevan Kochiashvili, Rusudan Tsiskarishvili, Nino Nonikashvili, Irma Mikadze, Avtandil Dolidze  
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

### SUMMARY

Radionuclides from the atmosphere fall out into soil and through plant root system get in the leaves and fruits. Precipitated radionuclides actively participate in the process of metabolism and from the plant food get into the life cycle of humans and animals. That's the real threat for the environment and human health. Therefore fixation and deposition of radionuclides is one of an actual problems. For suppression radionuclides in the environment a various modern methods may be used.

## ВОЗМОЖНОСТИ РАСПРОСТРАНЕНИЯ РАДИОНУКЛИДОВ В ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЕ

К.Н.Кочиашвили, Р.П.Цискаришвили, Н.У.Ноникашвили, И.И.Микаძე, А.В.Долидзе  
*Тбилисский Государственный Университет им. Ив.Джавахишвили, Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили*

### РЕЗЮМЕ

Радионуклиды из атмосферы осаждаются в почве и через корни растений попадают в листья и плоды. Осаждающийся радионуклиды активно принимают участие в процессе обмена веществ и из растительной пищи попадают в жизненный цикл человека и животных. Это реальная опасность как для экологической системы, также и для здоровья человека. Поэтому, фиксация и депонирование радионуклидов одна из актуальных проблем. Для подавления радионуклидов в окружающей среде, могут быть использованы различные современные методы.


## ***a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის ფევნილების მიღება მეორადი ალუმინისაგან***

თინათინ კუჭუხიძე, ნათია ჯალალონია, მანანა მუმლაძე, ირმა ჯინიყაშვილი\*, თამარ ქორქია\*, ვახტანგ გაბუნია\*, როინ ჭედია\*

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

\*ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი


ამჟამად უდიდესი ყურადღება ენიჭება ნანოტექნოლოგიების გამოყენებას, *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის ნანოფენილებისა და მათ ფუძეების ნანოსტრუქტურული კერამიკული მასალების მიღებას. ულტრადისპერსული *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის მისაღებად გამოყენებულია მრავალი მეთოდი, მათ შორის ზოლ-გელ პროცესი, დალექტის, ქიმიური დაშლის, პლაზმოქიმიური, ელექტროქიმიური, მიკრომულსიური, ჰიდროტერმული, აეროზოლური, კოროზიული, პოლიმერ-პრეცესორული, მაღალტემპერატურული დასანგვის და სხვ. ალუმინის ჰიდროტების ფაზების ტრანსფორმა-ციისას მიღება *Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის სხვადასხვა ფორმები ( $\alpha$ ,  $\chi$ ,  $\eta$ ,  $\delta$ ,  $\kappa$ ,  $\theta$ ,  $\gamma$ ,  $\beta$ ) (ნახ.1). მაღალ ტემპერატურაზე ფორმირდება მხოლოდ *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*, რომელიც მიღება ალუმინის ჰიდროქინდების ან ალუმინის ოქსიდის არამდვრადი შეალედური ფაზების თანდათანობით გახურებით  $\sim 1200^{\circ}\text{C}$  [1-5]. *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიისათვის. მაღალ ტემპერატურაზე ადგილი აქვს ნანოზომის ნაწილაკის პირველად (10-70 ნმ) გამსხვილებას 200-1000 ნმ-მდე, რაც არასასურველი პროცესია და წარმოადგენს *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის მიღების არსებული ტექნოლოგიების ძირითად ნაკლს. ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ტრანსფორმირების განხორციელება დაბალ ტემპერატურაზე, რაც გულისხმობს დოპანტების წინასწარ შეტანას დაბალტემპერატურული სინთეზის პროცესში (პრეცერსორების დაშლის, ჰიდროლიზის, გაშრობა-გახურებისა და გამოწვის პირობებში), რათა მიღებული იქნას ულტრადისპერსული *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის ნანოფენილები [6-10]. ამჟამად ცნობილია *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ის ჰიდრაპირი მიღების რამოდენიმე მეთოდი. ყველაზე დაბალ ტემპერატურაზე ( $-550^{\circ}\text{C}$ ) დიასპორი გადადის თერმოდინამიკურად სტაბილურ ფორმაში. დიასპორი შედის ბოქსიტების შემადგენლობაში და ის ბაიერის პროცესში სხვა ალუმინის ნაერთებთან ერთად იხსნება ტუტის სხნარში და საბოლოოდ გამოიყოფა ბაიერიტის სახით. ალუმინის ნაერთებიდან (ნედლეულიდან) მისი მიღება საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროცესია [10].



ნახ.1. ალუმინის არასტაბილური ჰიდროქინდების და ოქსიდების ფაზური ტრანსფორმაცია სხვადასხვა ტემპერატურაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ადგილობრივი რესურსებიდან (მეორადი ალუმინისგან) ალუმინის იზოროპილატის, ნიტრატის და ალუმინის ფენილის მიღება; ალუმინის არასტაბილური ოქსიდროქინდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის განხორციელების შესაძლებლობის დადგენა *a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>*-ში მცირე რაოდენობით იშვიათიწარ ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დოპანტების) თანაობისას.

ლაბორატორიულ პრაქტიკაში ხშირადაა გამოყენებული  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  მიღების მარტივი მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ალუმინის ნიტრატისა და ორგანული ნაერთების ურთიერთქმედებაზე (Solution Combustion Synthesis) [12]. ამ შემთხვევაში დამჟანგველს  $\text{NO}_3^-$  იონები, ხოლო აღმდგენელს ისეთი ორგანული ნაერთები, როგორიცაა ამინები და მისი ნაწარმები, ოქსომეტები, სპირტები, ნახშირწყლები, შარლოგანა და მისი ნაწარმები, ოლიგომერები და პოლიმერები. ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი ნაერთია შარლოგანა. რეაქციის ინიცირების ტემპერატურა  $450\text{-}500^\circ\text{C}$ . რეაქცია ეგზოთერმულია და სარეაქციო ნარევის ტემპერატურა  $800\text{-}1500^\circ\text{C}$  აღწევს. სარეაქციო ნარევის ტემპერატურა იცვლება დამჟანგველი/აღმდგენელის თანაფარდობის მიხედვით. რეაქციის სიჩქარე საქმაოდ მაღალია: რეაქციის ფრონტის გავრცელების სიჩქარე 2-4 სმ/წმ-ია. წარმოქმნილი ალფა-ალუმინის ოქსიდის ფირფიტების მოცულობითი ფხვნილის ნაყარის სიმკვრივე  $30\text{-}70$  მგ/მლ-ს აღწევს (სურ.1). ისინი ადვილად ჭუცმაცდებიან ნანოზომის ნაწილაკების წარმოქმნით [13,14]. რეაქცია მიმდინარეობს შემდეგი სქემის მიხედვით:




სურ.1. თვითგავრცელებადი ჟანგვა-აღდგენის რეაქციით  $\text{Al}(\text{NO}_3)_3\text{-NH}_2\text{CONH}_2$  ნარევისაგან  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მოცულობითი ფხვნილის მიღება.

ამ მეთოდის ნაკლია დიდი მასის სარეაქციო ნარევში ალუმინის ოქსიდის მცირე შემცველობა (-10% მას). ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა  $\text{Al}(\text{NO}_3)_3\text{-NH}_2\text{CONH}_2\text{-Al}$  სისტემისაგან  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღების შესაძლებლობა. ალუმინის შეტანა მიზნად ისახავდა ალუმინის ოქსიდის გამოსავლის გაზრდას, რადგან  $2\text{Al}(\text{NO}_3)_3\cdot 9\text{H}_2\text{O} + 5\text{NH}_2\text{CONH}_2$  ნარევის ურთიერთქმედების შედეგად გამოიყოფა დამჟანგველებიც: აზოტის (IV) ოქსიდი და ჟანგბადი. მიუხედავად იმისა, რომ სარეაქციო ნარევის ტემპერატურა  $\sim 1500^\circ\text{C}$ -ს აღწევს, ალუმინის ფხვნილი (5-75 მგ) არ იუპირება.  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  წარმოიქმნება მხოლოდ რეაქციის პროცესში (Al+Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> ამორფული) შემდგომი გახურებით  $800^\circ\text{C}$ -ზე (2სთ). რენტგენოფაზური და ქიმიური ანალიზით დადგენილია, რომ მეტალური ალუმინი ამ პირობებში არ იუპირება, რადგან ნაწილაკების ჟედაპირი დაფარულია რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ალუმინის ოქსიდის ფენით [14, 15].


მეტალური ალუმინის ჯართისგან ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის ფხვნილის, დასაწნევი ფხვნილოვანი კომპოზიტების და კორუნდის ნაკეთობის მიღების მარტივი ტექსტოლოგიური სქემა მოცემულია ნახ.2-ზე.

თვითგავრცელებადი ჟანგვა-აღდგენით მიღებული  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  ფხვნილების ბაზაზე სინთეზირებულია დასაწნევი ფხვნილოვანი კომპოზიტები  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-MgO}$ ,  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-MgO}$ ,  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-ZrO}_2$  და სხვ. დოპანტები MgO, Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>, ZrO<sub>2</sub> სარეაქციო ნარევში შეტანილი იქნა ნიტრატების სახით. ამავე მეთოდით სინთეზირებულია სხვადასხვა ტიპის რადიაციულად და მდგრადი პიგმენტები და სპეციალური დანიშნულების ალუმინატები. როგორც სურ.2-დან ჩანს მოცულობითი ფხვნილები წარმოადგენენ ფირფიტებს, რომელთა სისქე  $\sim 50$  ნმ-ს აღწევს.


სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევით დადგენილია, რომ ფხვნილების პირველადი კრისტალიტების ზომა 50-300 ნმ ფარგლებშია და ისინი წარმოქმნიან დიდი ზომის ადვილად მსხვრევად აგლომერატებს (1-3 მგ).




ნახ.2. მეორადი ალუმინისაგან კორუნდის ნაკეთობის მიღების გამარტივებული სქემა.




სურ.2. თვითგავრცელებადი ჟანგვა-აღდგენით მიღებული სხვადასხვა ტიპის რადიაციულად მდგრადი პიგმენტები.



სურ.3. ფენილილოვანი კომპოზიტის  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ZrO<sub>2</sub> მიკროგრაფიული სურათი.




ნახ. 3. ფენილოვანი კომპოზიტის  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-ZrO}_2$  ენერგოდისპერსული მიკრორეზგენული სპექტრი. მეტალური ალუმინის ჯართისაგან სინთეზირებულია ალუმინის იზოპროპილატი, ხოლო მისი ჰიდროლიზით მიღებულია ალუმინის არასტაბილური ოქსოპიდროქსიდები და ოქსიდები. ზოლ-გელ პროცესით ულტრადისპერსული  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღება განხორციელდა შემდეგი სკემით (ნახ.4).



ნახ.4. ზოლ-გელ მეთოდით  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღების ზოგადი სქემა.

ალუმინის იზოპროპილატის ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება ალუმინის ოქსოპიდროქსიდების ნარევი ( $\text{Al}_2\text{O}_3\cdot x\text{H}_2\text{O}$ ), რომლის პეპტიზაცია ხორციელდება აზოტმჟავის დამატებით. ზოლს ემატება ცერიუმის, ჰოლმიუმის, თორიუმის, გადოლინიუმის, დისპორზიუმის, ლანთანის და ნეოდიუმის ნიტრატები (0.1-0.2% მას. ოდენობით) მეტალზე გადაანგარიშებით. დოპანტ-დამატებული ზოლების გამოშრობა ზღება 120°C-ზე. იწ სპექტროსკოპიის მონაცემებით დადგენილია, რომ გელი შეიცავს არაპიდროლიზებულ  $\text{Al-O-C}$  ბმებსაც. წარმოქმნილი ქსეროგელის თერმული დამუშავება ხდებოდა 120°C (a), 500°C (b) და 800°C-ზე (c) 2 სთ განმავლობაში (ნახ.5).




ნახ.5. სხვადასხვა ტემპერატურაზე გამომწვარი ალუმინის იზოპროპილატისაგან მიღებული გელების იწ სპექტრები (a-120°C, b-500°C, c-800°C).

იწ სპექტრებიდან ჩანს, რომ სამივე ნიმუშში  $3429\text{-}1635 \text{ სმ}^{-1}$  უბანში შეიმჩნევა O-H ბმების შთანთქმის ზოლები, ხოლო  $476\text{-}758 \text{ სმ}^{-1}$  უბანში ჩანს -Al-O კორდინაციული ბმები. კერძოდ,  $\text{AlO}_6$ -ის ტეტრაედრული და  $\text{AlO}_4$  ოქტაედრული ჯგუფების ინტენსიური ზოლების მაქსიმუმები შეიმჩნევა: 476-


738 სმ<sup>-1</sup> (a); 547-758 სმ<sup>-1</sup>(b); 549 სმ<sup>-1</sup>(c); შთანთქმის მაქსიმუმი 827 სმ<sup>-1</sup> მიუთითებს  $\gamma$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის არსებობაზე.

დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრით (DSC) დადგენილია, რომ 120°C-ზე გამოშშრალი ქსეროგელი ჰაერზე სწრაფად შთანთქმას წყლის ორთქლს, რომელსაც შემდგომი გახურებით გამოყოფს 60-150°C-ზე (ბმული წყლის დესორბცია). 300-500°C-ზე ადგილი აქვს ჰიდროქსილის ჯგუფების ინტენსიურ კონდენსაციას და წყლის გამოყოფას (ნახ.6). ყველა ნიმუშისათვის დამახასიათებელია ალუმინის ოქსოპიდროქსიდების დეპიდრატაცია და ალუმინის არასტაბილური ოქსიდების წარმოქმნა. ძირითადად ისინი შედგებიან  $\gamma$  და  $\theta$  ფაზებისაგან.



ნახ.6. ზოლ-გელ მეთოდით მიღებული ალუმინის ოქსოპიდროქსიდის დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრის მრუდი (DSC, 20-600°C).


შესწავლია ლანთანის, ცერიუმის, ნეოდიუმის, გადოლინიუმის, დისპორზიუმის, ჰოლმიუმის და თორიუმის ონების გავლენა ალუმინის არასტაბილური ნაერთების გარდაქმნაზე ალფა-ალუმინის ოქსიდში. რენტგენოფაზური ანალიზით დადგენილია, რომ ჰოლმიუმის თანაობისას  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის წარმოქმნა იწყება 1000°C-ზე დაბლა და 1100°C-ზე გარდაიქმნება  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ში (ნახ.7).



ნახ.7. მეტასტაბილური ალუმინის ოქსოპიდროქსიდის გარდაქმნა ალფა-ფაზაში ჰოლმიუმის ნიტრატის დამატებისას (1100°C).


1100°C ტემპერატურაზე ლანთანის, დისპორზიუმის, ცერიუმისა და გადოლიუმის თანაობისას ტრანსფორმაცია ხდება 70-85%-ით. თორიუმის თანაობისას კი ადგილი აქვს გამა- და თეტა-ალუმინის

ოქსიდის ფაზების სტაბილიზაციას (ნახ. 8), მაშინ როდესაც ყველა სხვა მეტალთა იონებით დოპირებულ ნიმუშებში იგივე ფაზის წარმოიქმნა იწყება უფრო დაბალ ტემპერატურაზე ( $1000-1050^{\circ}\text{C}$ ).




ნახ.8. მეტასტაბილური ალუმინის ოქსოჰიდროქსიდის გარდაქმნა ალფა-ფაზაში თორიუმის ნიტრატის დამატებისას ( $1100^{\circ}\text{C}$ ).

ალუმინის მეტასტაბილური ნაერთების სელექტიური მიღება და გამოყოფა როგორც ამოცანაა. ერთ-ერთ მეთოდს, რომლითაც შესაძლებელია რენტგენფაზურად კრისტლური ალუმინის ჰაიდრატის მიღება, წარმოადგენს ალუმინის ფხვნილის ულტრაბერითი დამუშავება  $70-90^{\circ}\text{C}$ -ზე ამონიუმის ტუტის ხსნარში. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ნეოდიუმის ნიტრატის დანამატის გავლენა არასტაბილური ოქსოჰიდროქსიდების წარმოქმნისა და ტრანსფორმაციის პროცესებზე. რენტგენფაზური ანალიზის მეთოდით დადგნილია, რომ დანამატის გარეშე და ნეოდიუმის ნაერთის დამატებით მეტალური ალუმინისაგან ტუტე არეში მიღება ბაიერიტი, რენიუმის კარბონილის დამატებით კი ბემიტი (ნახ.9). მათი შემდგომი თერმული დამუშავებისას ( $70-1100^{\circ}\text{C}$ ) მიმდინარეობს არასტაბილური ფაზების არათანაბარი ხარისხით ტრანსფორმაცია ალფა-ალუმინის ოქსიდში: ნეოდიუმისა და რენიუმის შემცველი ფხვნილები სრულად გადადიან  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ში, მაშინ როდესაც დოპანტის გარეშე ფხვნილისაგან მიღება ა და  $\gamma$  ფაზების ნარევი (ნახ.10). ამრიგად, ნეოდიუმისა და რენიუმის დამატება ხელს უწყობს ალფა-ალუმინის ოქსიდის წარმოქმნას.



ნახ.9. მეტალური ალუმინისაგან ამონიუმის ტუტეში 85°C-ზე მიღებული არასტაბილური ოქსოპიდორექსიდების დიფრაქტოგრამა: 1. მოდიფიკატორის გარეშე, 2. მოდიფიკატორი – ნეოდიუმის ნიტრატი, 3. მოდიფიკატორი – რენიუმის კარბონილი.



ნახ.10. მეტალური ალუმინისაგან ამონიუმის ტუტეში 85°C-ზე მიღებული არასტაბილური ოქსოპიდორექსიდების დიფრაქტოგრამა (ფხვნილები გამომწვარია 1100°C-ზე): 1. მოდიფიკატორის გარეშე, 2. მოდიფიკატორი – ნეოდიუმის ნიტრატი, 3. მოდიფიკატორი – რენიუმის კარბონილი.

### ექსერიმენტული ნაწილი

**I.  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღება თვითგავრცელებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქციით.** (0,02მოლი)  $\text{Al}(\text{NO}_3)_3 \cdot 9\text{H}_2\text{O}$  ემატება 3გ (0,05 მოლი) შარდოვნა და დოპანტი. ნარევს აგატის როდინში ურევენ 10 წუთს, რის შედეგადაც წარმოიქმნება სქელი ბლანტი მასა, რომელიც გადააქვთ ფაიფურის (ან კვარცის) ჯამში. ჯამს ათავსებენ ~500°C-მდე განვერებულ მუჟელის ღუმელში, სადაც სარეაქციო ნარევი თვითაალდება ~2 წუთში. ნარევის ტემპერატურა 1500°C აღწევს. ტემპერატურა იზომება იწ-თერმომეტრით. რეაქციის შედეგად წარმოიქმნება თეთრი ფერის მოცულობითი ფხვნილი (სურ.1).

### II. ალუმინის იზოპროპილატი მიღებულია შემდეგი ქიმიური რეაქციით:



მეტალური ალუმინის გრანულები, ფხვნილი ან ფირფიტები ირცხება ეთილის სპირტით, შემდეგ 5%  $\text{NaOH}$ -ის ხსნარით, ისევ სპირტით და შრება 120°C-ზე. ზედაპირის გააქტივების მიზნით გასუფთავებულ ალუმინის ათავსებენ ბურთულებიან წისქვილში და ფქვავენ 2 სთ-ს. მიღებული მასიდან წონიან 50გ ალუმინის და ათავსებენ 2ლ-იან სამყელა კოლბაში, რომელსაც მორგებული აქვს მომრევი, უკუმაცივარი და თერმომეტრი. კოლბაში შეაქვთ 500მლ უწყლო იზოპროპილის სპირტი, რომელშიც გახსნილია 2 გ ვერცხლისწყლის (II) ქლორიდი. სარეაქციო ნარევს ადუღებენ და უმატებენ 0,2 გ იოდის კრისტალებს. ალუმინის რეაქციაში შესვლის შემდეგ სარეაქციო ნარევიდან აშორებენ ჭარბ იზოპროპილის სპირტს და ნაშთს ხდიან ვაკუუმში 140-150°C-ზე (5-6 მმ.ვწ.სვ). მიიღება 260გ  $(\text{OCH}(\text{CH}_3)_2)_3$ . მიღებული იზოპროპილატის მეორადი დისტილაცია ხდება 0,5 ლიტრიანი ორყელა კოლბიდან, რომელსაც მორგებული აქვს 50სმ სიმაღლის დეფლეგმატორი. სითხის თანაბარი დუღილის მიზნით კოლბაში ატარებენ გასუფთავებულ არგონს სიჩქარით ერთი ბუშტი 5-6 წმ-ში, ისე რომ წნევა იყოს 3 მმ.ვწ.სვ. გამოხდის ტემპერატურა 112-113°C. მიიღება 245გ ალუმინის იზოპროპილატი, რომელიც კრისტალდება გაცივებისას. რენტგენოფლუორესცენტული ანალიზით დადგენილია რომ სხვა მეტალთა მინარევების რაოდენობა  $10^{-2}\%$ -ზე ნაკლებია.

**III.  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  ფხვნილის მიღება.** ალუმინის არასტაბილური ოქსოჰიდროქსიდების ზოლი მიღებულია  $\text{Al}(\text{OC}_3\text{H}_7)_3$ -ის პიდროზოლით. 30გ ალუმინის იზოპროპილატს ხსნან 540მლ წყალში და მუდმივი მორევის პირობებში აცხელებენ 80-85°C –ზე დაახლოებით 6-8 სთ. შემდეგ პეპტიზაციისათვის უმატებენ 1-2 მლ  $\text{HNO}_3$  და განსაზღვრული რაოდენობით დოპანტის ხსნარებს. მორევას აგრძელებენ 3სთ-ის განმავლობაში ~110°C. მიღებული ზოლიდან აცილებენ წყალს და ქსეროგელს აშრობენ ~120°C. ქსეროგელისაგან ულტრადისკერსული  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღება განხორციელდა მაღალტემპერატურულ ღუმელში მისი განურებით ოთახის ტემპ-დან 1250°C-მდე შემდეგი ტემპერატურული რეჟიმით: 25°C-დან 500°C-მდე სიჩქარით 3°C/წთ-ში, 500°C-დან 1000°C-მდე სიჩქარით 5°C/წთ-ში, ხოლო 1250°C-მდე 10°C/წთ-ში. ანალოგიური ტემპერატურული რეჟიმით ჩატარდა ალუმინის გამოწვა და  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ -ის მიღება.

ფხვნილები მიღებულია კომპონენტების სკელი და მშრალი ჰომოგენიზაციით ნანოწილებებში (FRITCH, planetary mill Pulverisette 7 premium line და RETCH PM 100). მათი გამოწვა ხდებოდა მაღალტემპერატურულ ღუმელებში (OXY-GON, Model № FR210-30T-A-200-EVC) და furnace JINYU-1700°C. სინთეზირებული ფხვნილის გრანულომეტრული ანალიზი ჩატარებული იქნა ლაზერული ნანოგამზომის მეშვეობით (Analysette 12 Dyna sizer). ფხვნილები და მისგან მიღებული კორუნდის ნაკეთობების სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევა განხორციელდა ოპტიკური და ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით (Nikon ECLIPSE LV 150, NMM-800RF/TF, JEOL JSM-6510LV). ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე ДРОН-3 (Cu-K $\alpha$ , Ni, ფილტრი, 2°/წთ). მიკროსისალე განსაზღვრულია ხელსაწყოზე SHIMADZU Dynamic Ultra Micro Hardness Tester (DUH-211S). თერმული ანალიზი (DSC) ჩატარებულია ხელსაწყოზე – DSC 200 F3– NETZSCH.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. H. Hou, Y. Xie, Q. Yang, Q. Guo, C. Tan. Preparation and characterization of  $\gamma\text{-AlOOH}$  nanotubes and nanorods. Nanotechnol., 2005, 16(6), 714-721.
2. Y. Xia, Y. Yang, P. Sun, Y. Wu, B. Mayers, A. Gates, Y. Yin, F. Kim, H. Yan, Onedimensional nanostructures: Synthesis, characterization and applications. Adv. Mater., 2003, 15(5), 353-357.
3. G. L. Teoh, K. Y. Liew, W. A. K. Mahmood. Synthesis and characterization of sol-gel alumina nanofibers. J. Sol-Gel Sci. Technol., 2007, 44(3), 177-180.
4. M. G. Ma, J. F. Zhu. A Facile solvothermal route to synthesis of  $\gamma$ -alumina with bundle-like and flower-like morphologies. Mater. Lett., 2009, 63, 881-885.
5. Q. Yang, Y. Deng, W. Hu. Synthesis of alumina nanofibers by a mercury-mediated method. Ceram. Intern., 2009, 35(1), 531-537.
6. S. Cava, S.M. Tebcherani, I.A. Souza, S.A. Pianaro, C.A. Paskocimas, E. Longo, J.A. Varela. Structural characterization of phase transition of  $\text{Al}_2\text{O}_3$  nanopowders obtained by polymeric precursor method. Materials Chemistry and Physics, 2007, 103, 394–399.
7. A. Odaka, T. Yamaguchi, A. T. Fujita, B. S. Taruta, K. Kitajima. Densification of rare-earth (Lu, Gd, Nd)-doped alumina nanopowders obtained by a sol-gel route under seeding. Powder Technology, 2009, 193(1), 26-31.
8. Yiguang Wang, C. Suryanarayana, Linan An. Phase Transformation in nanometer-sized  $\square$ -alumina by mechanical milling. J. Am. Cer. Soc., 2005, 88(3), 780-783.
9. Y. Yoshizawa, K. Hirao, S. Kanzaki. Fabrication of low cost fine-grained alumina powders by seeding for high performance sintered bodies. Journal of the European Ceramic Society, 2013, 33(13–14), 2365-2830.
10. R. L. Smith, G. S. Rohrer, A. J. Perrotta. The Influence of diaspore seeding and chloride concentration on the transformation of “Diasporic” precursors to corundum. J. Am. Cer. Soc., 2001, 84(8), 1896-1902.
11. UOP Versal Alumina Brochure-2, 12 p., [PDF].
12. A. Sharma, O.P. Modi, G.K. Gupta. Combustion synthesis of nanocrystalline  $\text{Al}_2\text{O}_3$  powder using aluminium nitrate and urea as reactants-influence of reactant composition. Advances in Applied Science Research, 2012, 3 (6), 3819-3824.
13. T.V. Kuchukhidze, V.G. Gabunia, Z.V. Phachulia, N.T. Jalagonia, R.V. Chedia. Some Issues of Ultrafine Alfa-alumina Powders Fabricated by Low Temperature Synthesis. 2014, 8, 303-312, ISSN 1314-7269, <http://www.scientific-publications.net>
14. T.V. Kuchukhidze, N. T. Jalagonia, V. G. Gabunia, T. N. Archuadze, Q. G. Sarajishvili, R.V.Chedia. Influence of Some Metal Ions on Low Temperature Transformation of Alumina Metastable Oxides in  $\alpha-\square\text{Al}_2\text{O}_3$ . 3<sup>th</sup> International Conference « Nanotechnologies» NANO-2014, 20-24 October, 2014, Tbilisi, Georgia.

**$\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის ვეპენლების მიღება მეორადი ალუმინისაგან**

თინათინ ქუჭუხიძე, ნათია ჯალალონია, მანანა მუმლაძე, ირმა ჯინიფაშვილი\*, თამარ ქორქია\*, ვახტანგ გაბუნია\*, როინ ჭედია\*

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

\*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმის ინსტიტუტი

**რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია მეორადი ალუმინისაგან ალუმინის იზოპროპილატის, ნიტრატისა და ალუმინის ფენილის მიღება და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ში. ნაჩვენებია ალუმინის ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაციის შესაძლებლობა  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ში მცირე რაოდენობით იშვიათმიწათა ელემენტების ნაერთების (ასევე სხვა დოპანტების) თანაობისას.  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის დაბალტემპერატურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის.

**PREPARATION OF  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> POWDERS FROM ALUMINUM SCRAP**

Tinatin Kuchukhidze, Natia Jalagonia, Manana Mumladze, Irma Jinikhashvili\*, Tamar Korkia\*, Vakhtang Gabunia\*, Roin Chedia\*

Ilia Vekua Sokhumi Institute of Physics and Technology

\*Petre Melikishvili institute of physical and organic chemistry, Iv. Javakhishvili Tbilisi state university

**SUMMARY**

In the present work obtaining of aluminum isopropylate, nitrate and aluminum powder from scrap aluminum and their further transformation in  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> have been studied. It is shown possibilities of low temperature transformation of aluminum oxyhydroxides in  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> during the presence of small amount of rare-earth elements compounds (also other dopants). Low temperature synthesis of  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> is energy saving process and it is quite actual for perfection of technology of corundum ceramics production.

**ПОЛУЧЕНИЕ ПОРОШКОВ  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> ИЗ ВТОРИЧНОГО АЛЮМИНИЯ**

Т.В.Кучухидзе, Н.Т.Джалагония, М.Г.Мумладзе, И.В.Джиникашвили\*, Т.В.Коркия\*, В.Г.Габуния\*, Р.В.Чедия\*

Сухумский физико-технический институт им. И.Н. Векуа,

\*Институт физической и органической химии, Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили

**РЕЗЮМЕ**

В настоящей работе изучена возможность получения изопропилата алюминия, нитрата и алюминиевого порошка из вторичного алюминия и их дальнейшего превращения в  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>. Показана возможность трансформации оксогидратов алюминия в  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> в присутствии незначительных количеств солей редкоземельных металлов (а также других донантов). Низкотемпературный синтез  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> является энергосберегающим процессом, поэтому актуальность вопроса очевидна.

## მიმღები ტექნოლოგია

**ა-ალუმინის ოქსიდის ფენიციტურული გამარტინაციის პრეცენტული და გამოყენების მეთოდი**

როინ ჭედია\*, თინათინ კუჭუხიძე, ნათია ჯალალინია, თამარ არჩუაძე, ქეთევან სარაჯიშვილი\*,  
გიორგი ქვარცხავა

ილია ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

\*გ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის  
ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი


ახალი მასალების მიღება და მათი ქიმიური, ფიზიკურ-მექანიკური და საექსპლოატაციო მა-  
სასიათებლების დადგენა აუცილებელი პირობაა ტექნიკური პროგრესისათვის. ხშირად ახალი მასალების  
მისაღებად გამოყენებულია ტექნოლოგიები, რომლებიც გულისხმობს ფხვნილოვანი კომპოზიტების  
მიღების მეთოდების დამუშავებას და შემდგომ მათი შეცხობის შედეგად მაღალი საექსპლოატაციო  
თვისებების მქონე ფუნქციური ნაკეთობების მიღებას. მეამად უდიდესი ყურადღება ენიჭება  
ნანოტექნოლოგიების გამოყენებას  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  ნანოფენილებისა და მათ ფუძეზე ნანოსტრუქტურული  
კერამიკული მასალების მიღებას. ცნობილია, რომ ალუმინის ოქსიდებიდან თერმოლინამიკურად  
სტაბილურია მხოლოდ  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ , რომელიც მიღება ალუმინის ჰიდროქსიდების ან ალუმინის ოქსიდის  
არამდგრადი შუალედური ფაზების თანდათანობითი გახურებით  $\sim 1200^{\circ}\text{C}$ -ზე ზევით [1-4].  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  დაბალ-  
ტექნიკურული სინთეზი ენერგოდამზოგავი პროცესია და ფრიად აქტუალურია კორუნდის კერამიკის  
წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. ალუმინის ოქსიდი წარმოადგენს ფართოდ გამოყენებულ  
ნივთიერებას მატრიცული კერამიკული კომპოზიტების მისაღებად. კორუნდის კერამიკის მიღების ტექნო-  
ლოგია მოიცავს შემდეგ ძირითად საფეხურებს:

1.  $\alpha\text{-ალუმინის ოქსიდისა და ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღება};$
2. ფხვნილოვანი კომპოზიტების ჰიდროქსიცია წისქვილებში სველი და მშრალი მეთოდებით;
3. ფხვნილოვანი კომპოზიტების წინასწარი თერმული დამუშავება აქროლადი ნაერთების მოსა-  
შორებლად ( $600\text{-}1000^{\circ}\text{C}$ );
4. ფხვნილოვანი კომპოზიტების მაღალტემპერატურული კონსოლიდაცია;
5. კერამიკული მასალების ფაზური შედგენილობის დადგენა, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და -  
სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევა.


თითოეული საფეხური შედგება რამდენიმე ქიმიური და ფიზიკური პროცესისაგან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$  ფუძეზე მიღებული ფხვნილოვანი კომპოზიტების კონ-  
სოლიდაცია მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ ღუმელში ცხელი დაწესების მეთოდით. ამ მიზნით  
დამუშავდა მეტალური ალუმინის ჯართისაგან ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის ფხვნილის და  
დასაწესი ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღების მარტივი ტექნოლოგიური სქემა. მეტალური ალუმინის  
ჯართისაგან სინთეზირებულია ალუმინის იზოპროპილატი და ნიტრატი, ხოლო მათი შემდგომი  
გარდაქმნით მიღებულია ალუმინის არასტაბილური ოქსოპიდროქსიდები, ოქსიდები და საბოლოოდ  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ . მის ფუძეზე დამუშავებულია დასაწესი ფხვნილოვანი კომპოზიტების  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-MgO}$ ,  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-MgO}$ ,  
 $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-ZrO}_2$ ,  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-SiC-Y}_2\text{O}_3\text{-MgO}$  მიღების მეთოდები.  $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3\text{-Y}_2\text{O}_3\text{-ZrO}_2$   
დასაწესი ფხვნილის ტიპიური მიეროგრაფიული სურათი (სურ. 1) და ენერგოდისპერსული  
მიკრორენტგენული სპექტრი (ქიმიური შედგენილობა) მოცემულია (ნახ. 1).

სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევით დადგენილია, რომ ფხვნილების პირველადი  
კრისტალიზების ზომა  $50\text{-}300$  ნმ ფარგლებშია და ისინი წარმოქმნიან დიდი ზომის ადვილად შსზრევად  
აგლომერატებს (1-3 მკმ).



სურ. 1 ფხვნილოვანი კომპოზიტის  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$  მიკროგრაფიული სურათი



ნახ. 1 ფხვნილოვანი კომპოზიტის  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$  ენერგოდისპერსული მიკრორენტგენული სპექტრი


ფხვნილების კონსოლიდაციისთვის გამოყენებულია მრავალი მეთოდი. მათ შორის ჩვეულებრივი მაღალტემპერატურული, მიკროტალღური, ნაპერწკლოვან-პლაზმური, ინდუქციური სინთეზის და სხვა მეთოდები [5–10]. მათი მაღალტემპერატურული კონსოლიდაცია წნევის გამოყენებით იძლევა გარანტიას, რომ მიღებული იქნას პრაქტიკულად თეორიული სიმკვირივის მქონე მასალები. ამჟამად სამეცნიერო კვლევებსა და პრაქტიკაში გამოყენებულია სხვადასხვა მოდიფიკაციის მაღალტემპერატურული ცხელი-დაწესებვის ღუმელები. ერთ-ერთ ასეთ ღუმელს წარმოადგენს მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელი OXY-GON 30 ტ-მდე წნებვის სისტემით (სურ.2), რომელიც გამოყენებული იქნა ზემოთ აღნიშნული ფხვნილოვანი კომპოზიტების კონსოლიდაციისთვის.




სურ. 2 მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელი (OXY-GON, Model № FR210-30T-A-200-EVC)

მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელი (OXY-GON) შედგება მართვის პულტის, წყლის გამაცივებელი სისტემის, ცხელი დაწნების კამერისა და წნებისაგან, რომელიც აღჭურვილია მიკროპროცესორით (სურ. 2). ფხენილების დაწნების შესაძლებელია პროგრამული რეჟიმით ან წნების მართვის ორი ღილაკის ერთდროული ჩართვით. ცხელი დაწნების კამერა ორკედლიანია და ცივდება წყლის ნაკადით. ნიმუშების გაცხელება ხდება ვოლფრამის ბადისაგან დამზადებული ორსეგმენტიანი გამაცხელებლების მეშვეობით, რომელიც ეკრანირებულია როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად ვოლფრამის ორი და მოლიბდენის ოთხი ფირფიტით. ფხენილოვანი კომპოზიტების დაწნებისა და კონსოლიდაცია ხორციელდება მაღალი სისუფთავის გრაფიტის წნებ-ფორმებში, რომელიც ამოგებულია გრაფლექსის ფირფიტებით. ღუმელის მახასიათებლებია: მაქსიმალური სამუშაო ტემპერატურა - 2000°C; სამუშაო ზონა-d=83 მმ, h=100 მმ; ნიმუშის მაქსიმალური დამეტრი-50 მმ; სამუშაო გარემო-ინერტული აირი ან ვაკუუმი ( $10^{-2}$  მმ.Hgსვ); წნების მაქსიმალური დაწოლა პუან-სონებზე-27.215 კგ; ცხელი დაწნების კამერის ორმაგი კედლის გამაცივებული წყლის ხარჯი-16 ლ/წთ; ღუმელის გაცივება შესაძლებელია ონგანის წყლით ან მაცივრით (ჩილერით), რომლის გაცივების სიმძლავრე 14.5 კვტ-ია (6-20°C).


OXY-GON ღუმელის გამოყენებით დამუშავებული იქნა სხვადასხვა ტიპის მატრიცული კერა-მიკული კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგია ( $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-MgO,  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>-MgO, Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ZrO<sub>2</sub>-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub> ა-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiC-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>-MgO და სხვ): შერჩეული იქნა დაწნებისა და თერმული დამუშავების ოპტიმალური პირობები (ნახ. 2).




ნახ. 2  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiC-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>-MgO (a) და Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ZrO<sub>2</sub>-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub> (b) მიღების ტემპერატურული რეჟიმი.



სურ. 3 სხვადასხვა შედგენილობის მატრიცული კერამიკების ნიმუშები დაჭრილია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენის მიზნით).




სურ. 4 კორუნდის კერამიკის ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$ ) მიკროგრაფიული სურათი




სურ. 5 კორუნდის კერამიკის ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ) მიკროგრაფიული სურათი



ნახ. 3 კორუნდის კერამიკის ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ) ენერგოდისპერსული მიკრორენტგენული სპექტრი



ნახ.4. OXY-GON ღუმელის გამოყენებით ( $1600^\circ\text{C}$ ) მიღებული კერამიკული კომპოზიტის ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ) დიფრაქტოგრამა



ნახ. 5. OXY-GON ღუმელის გამოყენებით ( $1600^\circ\text{C}$ ) მიღებული კერამიკული კომპოზიტის ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$ ) დიფრაქტოგრამა

ფხვნილების შეცხობით  $1600^{\circ}\text{C}$ -ზე (1სთ) მიღებულია კორუნდის კერამიკული ნაკეთობები, რომელიც ხასიათდებიან მაღალი სიმტკიცით, სისალითა და ბზარმედეგობით, ღია ფორიანობის არ არსებობით, კოროზიული მედეგობით. მათი სიმკვრივე თეორიულის  $99,5\text{--}99,6\%$  აღწევს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ღუმელში შესაძლებელია მყარ-ფაზური რეაქციების ჩატარება. მაგალითად, მაგნიუმისა და ბორის ფხვნილებიდან სინთეზირებული იქნა  $\text{MgB}_2$  და ერთდღოულად მიღებული იქნა  $10\text{--}50$  მმ დიამეტრის ზეგამტარი მაგნიუმის ბორიდის ცილინდრები ( $h=5\text{--}12$  მმ).

### ექსპერიმენტული ნაწილი

კორუნდის ნაკეთობის მიღება ცხელი დაწესების მეთოდით OXY-GON ღუმელში. ფხვნილოვანი კომპოზიტები წინასწარ ცხელდება ჰაერზე  $1200^{\circ}\text{C}$ -მდე (2 სთ). ფხვნილს ათავსებენ წინასწარ გამომწვარი გრაფიტის ( $1400^{\circ}\text{C}$ ) წნებ-ფორმაში, რომელიც ამოგებულია გრაფლექსის ფირფიტით. ფირფიტა დაფარულია ბორის ნიტრიდის თხელი ფენით. გრაფიტის წნებ-ფორმა თავსედება მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ ღუმელში (OXY-GON) და ფხვნილი ცივად იწყნება  $500$  კილოგრამ ძალა (კგდ) დატვირთვით. კამერა ცივდება წყლით, რომლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $20^{\circ}\text{C}$ . კამერის ვაკუუმირების შემდეგ ის ცხელდება წინასწარ ჩატერილი პროგრამული რეჟიმით  $1500^{\circ}\text{C}$ -მდე და ამის შემდეგ ფხვნილს წნებავნ მაქსიმალური დატვირთვით  $10\,000$  კგდ. ამ წნევას ინარჩუნებენ  $60\text{--}70$  წთ. შეცხობის მაქსიმალური ტემპერატურა  $1600^{\circ}\text{C}$  (1 სთ). გრაფიტის წნებ-ფორმის გაცივება ხდება ვაკუუმში  $5^{\circ}\text{C}/\text{წთ}$  სიჩქარით.  $100^{\circ}\text{C}$ -მდე გაციების შემდეგ კამერაში უშვებენ სუფთა არგონს. მიღებული კორუნდის ნაკეთობა შავი ფერისაა, რადგან ვაკუუმში ადგილი აქვს  $\text{Al}_2\text{O}_3$  თერმულ დისოციაციას და დეფორმირებული კრისტალური მესრის წარმოქმნას. გათეთრების მიზნით ნიმუშს ჰაერზე გამოწვავენ  $1500\text{--}1600^{\circ}\text{C}$ -ზე 2 სთ განმავლობაში.

**ნიმუშის გაშლიფვა-პოლირება.** კორუნდის ნაკეთობების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენისათვის აუცილებელია ზედაპირების სათანადოდ მომზადება. გაშლიფვა ტარდება  $20$  მიკრომეტრი (მკმ) ზომის  $\text{SiC}$  ფხვნილის სუსპენზიით ( $250$  მლ დისტ. წყალი+ $20$  გ  $\text{SiC}$ ). როდესაც ნიმუშიდან მოიხსნება  $0.1$  მმ სისქის ფენა, ის ირეცხება გამდინარე წყალში და შემდგომი დამუშავება გრძელდება ნატიფ საშლილ აპარატზე (UNIPOL-802) საშლილი ქაღალდების გამოყენებით, რომელგბზეც დატანებულია  $2\text{--}12$  მკმ ზომის ალმასის ფხვნილი (4-5 სთ). შემდეგ ნიმუშები იწმინდება აცეტონით და ზედაპირის პოლირებას აგრძელებენ ბატისტის ნაჭერზე ალმასის  $0,25\text{--}1$  მკმ პასტით  $\sim 3\text{--}4$  სთ-ის განმავლობაში. პოლირებული ნიმუში იწმინდება გამსხველებით და ისაზღვრება მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები.

**კერამიკის ღუნვაზე სიმტკიცის ზღვრის დადგენა:** კორუნდის ნაკეთობებისათვის განსაზღვრული იქნა ღუნვაზე სიმტკიცის ზღვარი, რომელიც ტარდება შემდეგნაირად:  $5\times 5\times 35$  მმ ზომის წინასწარ გაშლიფული ნიმუშს ათავსებენ ორ საყრდენს შორის ( $25$  მმ) და ნიმუშის შუა ნაწილს აწვებიან გარკვეული ძალით, ნიმუშის სრულ რღვევამდე. ღუნვაზე სიმტკიცის ზღვარი (მპა) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\sigma = 3PI/(2 bh^2)$$

სადაც,  $P$ -დაწოლა (ნიუტონი),  $I$ -საყრდენებს შორის მანძილი (სმ),  $b$ -ნიმუშის სიგანე(სმ),  $h$  -ნიმუშის სიმაღლე (სმ).

**მიკროსისალის განსაზღვრა:** ნაკეთობის მიკროსისალის და ოუნგის მოდულის სიდიდეების დადგენა განხორციელდა ISO-14577 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად ულტრა-მიკროსისალის ტესტერზე DUH-211S. იდენტორს წარმოადგენდა ბერკოვიჩის ტიპის ალმასის  $115^{\circ}$ -იანი სამკუთხა პირამიდა. ტესტირება შესრულდა დატვირთვა-განტვირთვის რეჟიმში  $50\text{--}19\,000$  მილინიტონი (Fmax, mN, მნ) დატვირთვებისათვის. დატვირთვის სიჩქარე შეადგინა  $13.324$  მნ/წმ  $50\text{--}100$  მნ დატვირთვებისათვის, ხოლო  $100$  მნ-ზე მეტი დატვირთვებისათვის- $70.067$  მნ/წმ; დაყოვნების დრო დატვირთვის მაქსიმუმზე შეირჩა  $10$  წმ, განტვირთვაზე- $5$  წმ. მიკროსისალის სიდიდის მნიშვნელობები განისაზღვრა როგორც დინამიურ (DHT), ასევე სტატიკურ (HT) პირობებში. დინამიურ ანუ აღუდგენელი ანაბეჭდის პირობებში გაზომვა ემყარება ოლივერ-ფარის მეთოდს: იზომება იდენტორის მასალაში შეღწევის სიღრმე (hmax) და ერთდღრულად საკონტაქტო ზედაპირის პროექციის გამოთვლა მიმდინარეობს. სისალის სიდიდის გამოთვლა ავტომატურ რეჟიმით ხდება. სტატიკური ანუ აღდგენილი ანაბეჭდის პირობები გულისხმობის აღდგენილი, რელაქსირებული ანაბეჭდის ფართობით სისალის სიდიდის გამოთვლას. დადგენილია, რომ მცირე სიღრმეზე (დატვირთვაზე) მიკროსისალე შედარებით მაღალია და სიღრმის (დატვირთვის) ზრდასთან ერთად ეცემა და გადის სტაციონარულ (გაჯერებულ) მნიშვნელობაზე, რაც დამახასიათებელია

იდენტირების ზომითი ეფექტისათვის. დინამიური და სტატიკური სისალეების მნიშვნელობებიდან ჩანს, რომ იდენტირების ზომითი ეფექტი უფრო გამოკვეთილია სტატიკური პროცესისათვის, ვინაიდან ამ დროს ხდება დეფორმირებული ანაბეჭდის ფორმის ნაწილობრივი დრეკადი აღდგენა, შესაბამისად ანაბეჭდის ზომები მცირდება და საბოლოოდ მიღდება მიკროსისალის გაზრდლი მნიშვნელობა. იუნგის მოდულის მნიშვნელობის დაყვანილი სიდიდე (Eit) კორელირებს მიკროსისალესთან.

**ცხრილი 1.  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-Y<sub>2</sub>O<sub>3</sub>-MgO კომპოზიციური კერამიკის იუნგის მოდულისა და მიკროსისალის სიდიდის მნიშვნელობები**

Fmax, mN	hmax, mcm	DHT, kgf/mm <sup>2</sup>	DHT, GPa	Eit*, Gpa	HT, gf/mm <sup>2</sup>	HT, GPa
50	0.371	1164	11.41	327.2	2637	25.84
100	0.5585	1059	10.38	304.1	2154	21.11
300	1.06	920	9.02	274.8	1792	17.56
500	1.3561	914	8.96	279.8	1668	16.35
750	1.7005	878	8.6	257.7	1628	15.95
1000	1.9277	898	8.8	268.8	1553	15.22
1500	2.5752	752	7.37	238	1363	13.37
1900	2.8463	781	7.65	229.3	1296	12.7

\*Eit=E/(1-v<sup>2</sup>); სადაც - E საკვლევი მასალის იუნგის მოდულია (გვა); v - ამავე მასალის პუსონის კოეფიციენტი.

კვლევითი სამუშაოები ჩატარებული იქნა მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელის OXY-GON (Model №FR210-30T-A-200-EVC) გამოყენებით. ფხვნილოვანი კომპოზიტები მიღებულია კომპონენტების სველი და მშრალი ჰომოგენიზაციით ნანოწისქვილებში (FRITCH, planetary mill Pulverisette 7 premium line და RETCH PM 100). მიკროსისალე განსაზღვრულია ზელსაწყოზე SHIMADZU Dynamic Ultra Micro Hardness Tester (DUH-211S). სინთეზირებული ფხვნილის გრანულომეტრული ანალიზი ჩატარებული იქნა ლაზერული ნანოგამზომის მეშვეობით (Analysette 12 Dyna sizer). ფხვნილები და მისგან მიღებული კორუნდის ნაკეთობების სტრუქტურულ-მორფოლოგიური კვლევა განხორციელდა ოპტიკური და ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით (Nikon ECLIPSE LV 150, NMM-800TRF, JEOL JSM-6510LV). ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე ДРОН-3 (Cu-K $\alpha$ , Ni ფილტრი, 2 $^{\circ}$ /min). თერმული ანალიზი (DSC) ჩატარებულია ზელსაწყოზე-DSC 200 F3.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. S. Cava, S.M. Tebcherani, I.A. Souza, S.A. Pianaro, C.A. Paskocimas, E. Longo, J.A. Varela. Structural characterization of phase transition of Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> nanopowders obtained by polymeric precursor method. Materials Chemistry and Physics, 2007, 103, 394–399.
2. UOP Versal Alumina Brochure-2, 12 p., [PDF].
3. T.V. Kuchukhidze, V.G. Gabunia, Z.V. Phachulia, N.T. Jalagonia, R.V. Chedia. Some Issues of Ultrafine Alfa-alumina Powders Fabricated by Low Temperature Synthesis. 2014, 8, 303-312, ISSN 1314-7269, <http://www.scientific-publications.net>
4. T.V. Kuchukhidze, N. T. Jalagonia, V. G. Gabunia, T. N. Archuadze, Q. G. Sarajishvili, R.V.Chedia. Influence of Some Metal Ions on Low Temperature Transformation of Alumina Metastable Oxides in  $\alpha$ -Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>. 3<sup>rd</sup> International Conference « Nanotechnologies» NANO-2014, 20-24 October, 2014, Tbilisi, Georgia
5. A.Kmallik, S. Gangadharan, S. Dutta and D. Basu. Micrometer size grains of hot isostatically pressed alumina and its characterization. Bull. Mater. Sci., 2010, 33(4), 445–449.
6. V. Lysenko, V. Mali, A. Anisimov. Microhardness of ceramics obtained by different methods from nanopowders of different oxides. Athens J. of Sci., 2014, 269-279.
7. N. Jalabadze, L. Nadaraia, A. Mikeladze, R. Chedia, T. Kukava, L. Khundadze. Spark plasma synthesis (SPS) device for sintering of nanomaterials. Nanotech., 2009, 1, 67-70.
8. T. Hungria, J. Galy, A. Castro. Spark plasma sintering as a useful technique to the nanostructuration of

- piezo-ferroelectric materials. Advanced Engineering Mater., 2009, 11(8), 615-631.
9. D. Agrawal. Microwave sintering of ceramics, composites and metallic materials, and melting of glasses. Transactions of the Indian Ceram. Soc., 2006, 65(3), 129-134.
  10. S.W. Kim, K.A. Khalil, K. Ogi. High-frequency induction heating sintering of ultra-fine  $\text{Al}_2\text{O}_3$ - $(\text{ZrO}_2+\text{X}\% \text{ mol Y}_2\text{O}_3)$  bioceramics. Advanced Mater. Research, 2007, 29(30), 235-238.

**ა-ალუმინის ოქსიდის ზეპნილოვანი პოდკონიფერის პონსონიდაცია  
მაღალტემპერატურულ გამუშავრ ღუმელზი ცხელი დაწესების მეთოდით**

როინ ჭედია\*, თინათინ კუჭუხიძე, ნათა ჯალაღონია, თამარ არჩუაძე,

ქეთევან სარაჯიშვილი\*, გიორგი ქვარცხავა

ილია ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

\*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და  
ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

### რეზიუმე

OXY-GON ღუმელის გამოყენებით მიღებულია სხვადასხვა ტიპის მატრიცული კერამიკული კომპონენტები ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{SiC}$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$  და სხვ.). ფხენილების კონსოლიდაცია ჩატარდა  $1600^{\circ}\text{C}$ -ზე (1 სთ, წნევა-500 კგ/ $\text{cm}^2$ ). მიღებული კორუნდის კერამიკული ნაკეთობები, რომლებიც ხასიათდებან მაღალი სისალითა და ბზარმედეგობით, და ფორმანობის არასებობით, კოროზიული მედეგობით. მათი სიმკვრივე თეორიულის 99,5-99,6% აღწევს.

### CONSOLIDATION $\alpha$ -ALUMINA BASED POWDER COMPOSITS IN HIGH TEMPERATURE VACUUM FURNACE BY HOT PRESSING METHOD

Roin Chedia\*, Tinatin Kuchukhidze, Natia Jalagonia, Tamar Archuadze, Qetevan Sarajishvili\*,  
George Kvartskava

Ilia Vekua Sokhumi institute of physics and technology

\*Petre Melikishvili institute of physical and organic chemistry, Iv. Javakhishvili Tbilisi state university

### SUMMARY

Different types matrix ceramics composites ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{ZrO}_2$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{SiC}$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ , etc.) were obtained by using OXY-GON furnace. Consolidation of powders were carried out at  $1600^{\circ}\text{C}$  temperature (1 hr, pressure- 500 kg/cm $^2$ ). Corundum ceramics samples have been obtained, those are characterized by high hardness and fracture toughness, absence of open porosity, corrosion resistance. Their density reaches 99,5-99,6% TD .

### КОНСОЛИДАЦИЯ ПОРОШКОВЫХ КОМПОЗИТОВ $\alpha$ -ОКСИДА АЛЮМИНИЯ МЕТОДОМ ГОРЯЧЕГО ПРЕССОВАНИЯ В ВЫСОКОТЕМПЕРАТУРНОЙ ВАКУУМНОЙ ПЕЧИ

Р.В.Чедия, Т.В.Кучухидзе, Н.Т.Джалагония, Т.Н.Арчадзе, К.Г.Сараджишвили\*, Г.Р.Кварцхава  
Сухумский физико-технический институт им. И.Н. Векуа

\*Институт физической и органической химии, Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

С применением OXY-GON печи получены различные матричные керамические композиты ( $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$ ,  $\alpha$ - $\text{Al}_2\text{O}_3$ - $\text{SiC}$ - $\text{Y}_2\text{O}_3$ - $\text{MgO}$  и др). Консолидация порошков проведена при  $1600^{\circ}\text{C}$  (время-1ч, давление-500 кг/см $^2$ ). Полученные керамические изделия характеризуются высокой прочностью, трещиностойкостью, а также коррозийной стойкостью и отсутствием открытой пористости. Плотность достигает 99,5-99,6% (от теоретической плотности).

## თიომშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ელექტროძიმიური მეთოდით ოქროს გამოყოფის პროცესის შესწავლა

რუსულად ჩაგელიშვილი, ცისანა გაგნიძე, ბორის ფურცელაძე, მარინე ავალიანი,  
მარინა გველესიანი, მარიამ ნადარეიშვილი

**ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რ.ავლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

დადგენილია ოქროშემცველი თიომშარდოვანას მჟავა ხსნარებიდან ოქროს ამოსალებად ელექტროქიმიური მეთოდის გამოყენების პერსპექტიულობა. ექსპერიმენტულად გამოცდილია ჩვენს მიერ კონსტრუირებული ელექტროლიზერი ნახშირბოჭკოვანი მასალის მაღალგანვითარებული (მოცულობით – ფორმვანი) ზედაპირის მქონე კათოდით, რომელიც უზრუნველყოფს ხსნარიდან ოქროსა და ვერცხლის მაქსიმალურ გამოყოფას. შესწავლილია ძირითადი ფაქტორების გავლენა ელექტროლიზის მაჩვნებლებზე და დადგრილია პროცესის რეალიზაციის ოპტიმალური პირობები: კათოდური დენის სიმკვრივე 250-300მა/სმ<sup>2</sup>; დაბაზულობა აბაზანაზე 4-5გ; ხსნარის გადინების სიჩქარე 0,1-0,2მლ/წმ; ბოჭკოვანი კათოდის სისქე 0,25-0,35მმ; პროცესის ხანგრძლივობა 40-50წთ. ამ პირობებში შესაძლებელია ოქროს ამოღება 96-98%-ით განზავებული (5-25გ/ლ Au) თიომშარდოვანას ხსნარებიდან. ოქროთი და ვერცხლით გაჯერებული ნახშირბოჭკოვანი ელექტროდები ექვემდებარებიან რეგნერაციას და შესაძლებელია მათი ხელმორედ გამოყენება. პრაქტიკაში კი გამოიყენება ოქროთი გაჯერებული ელექტროდების დაწვა, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია.

საქართველოს მთანი რაჭის ზოფხითოს საბადოს ანთიმონის ოქროშემცველი მაღნიდან სტიბიუმის და დარიშხანის ამოღების [1,2] შემდეგ მიღებული ნარჩენების ჰიდრომეტალურგიული გადამუშავების პროცესში ოქროსა და ვერცხლის ამოსალებად ციანიდური მეთოდის ნაცვლად თიოკარბამიდული მეთოდის წარმატებით გამოყენება დამტკიცებულია ადრე ჩატარებული კვლევებით [3,4].

ოქროშემცველი მაღნების თიოკარბამიდული მეთოდით გამოტუტვის შედეგად მიღებული ხსნარებიდან ოქროს ამოღებისას იქმნება სირთულეები. არსებული მეთოდები (ცემენტაცია, ტუტით დალექვა) ხასიათდება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით. მჟავე თიოკარბამიდული ხსნარების გადამუშავების ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგინს ოქროს ელექტროქიმიური გამოყოფა. ეს მეთოდი არ გამოიყენებოდა არსებული ელექტროლიზერების დაბალი წარმადობის გამო. მხოლოდ ახალი აპარატების (ელექტროლიზერების) შექმნამ მაღალგანვითარებული ზედაპირის მქონე ელექტროდებით შესაძლებელი გახადა ელექტროლიზის პროცესის ინტენსივიკაცია [5,6] და განაპირობა ამ მეთოდის გამოყენების პერსპექტიულობა 5-25 მგ/ლ კონცენტრაციის ოქროშემცველი ხსნარების გადასამუშავებლად.


სამუშაოში წარმოდგენილია თიომშარდოვანას მჟავა ხსნარებიდან ოქროს ამოსალებად მოცულობითი ფორმვანი კათოდების გამოყენების შესაძლებლობა. ელექტროდის მაღალგანვითარებული ზედაპირი მიიღწევა კათოდებად ნახშირბად-ბოჭკოვანი მასალის გამოყენებით [7]. იგი შედგება წვრილი ძაფებისაგან ( $\delta=5-10\text{ მმ}$ ,  $d=12-10^{-4}\text{ სმ}$ ) ფორმირობით 0,98 და ამიტომ აქვს დიდი ხვედრითი ზედაპირი ( $0,2-0,3\text{ მმ}^2/\text{გ}$ ) და ხვედრითი ელექტროგამტარობა  $0,09\text{ მმ}^{-1}\text{ სმ}^{-1}$ . ეს მასალა მდგრადია აგრესიულ გარემოში. 1კგ ასეთ მასალაზე შეიძლება გამოიყოს 30-50კგ-მდე ლითონი [6]. ელექტროლიზით პოტენციოსტატიკურ რეკიმში ოქროს ამოღება თიოკარბამიდული ხსნარებიდან ხორციელდება კათოდში საწყისი ხსნარის გატარებით.

ექსპერიმენტები ტარდებოდა ელექტროლიზერში, რომლის სქემა მოცემულია სურ.1-ზე. იგი შედგება კათოდური და ანოდური ბლოკებისაგან, რომლებიც გაყოფილი არიან იონიტური მემბრანით. კათოდური ბლოკი შედგება ტიტანის პერფორირებული ცილინდრისაგან, რომლის მთელ სიმაღლეზე დახვეულია ნახშირბოჭკოვანი მასალის 5-10მკ სისქეს რამოდენიმე ფენა. კათოდის ასეთი კონსტრუქცია მსუბუქია და ხასიათდება პატარა გაბარიტებით, მაღალი ზედაპირული აქტივობით [7]. ელექტროდიდან ადვილად იხსნება ნახშირბოჭკოვანი ფენები, რომელსაც წვავენ  $500-600^{\circ}\text{C}$ -ზე ნახშირბადის მოსაცილებლად. მიღებული მასა 95-96% ოქროს შემცველობით მიეწოდება აფინაუზე.


ანოდური დენის სიმკვრივის შესამცირებლად ანოდად გამოყენებულია აგრეთვე ნახშირბადბოჭკოვანი მასალები. დენის მიმყვანის როლს ასრულებს გრაფიტის ღერძი. ანოდზე ხდება თიოკარბამიდის დაუჯანგვა  $>0,55\%$  პოტენციალის დროს, რაც წარმოადგენს არასასურველ პროცესს და იწვევს მის ზედმეტ ხარჯს. ამიტომ ელექტროლიზერში ანოდური და კათოდური არები გაყოფილია იონგამცვლელი დიაფრაგმით. ანოდური სივრცე ივსება გოგირდმუკას განზავებული სინარით ( $20\text{g/l}$ ). ელექტროლიზის პროცესის დროს ანოდზე ხდება უანგბადის გამოყოფა წყლის მოლეკულების დაშლის შედეგად:



ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო თიოშარდოვანას მოდელური სინარები, რომელთა შემადგენლობა მიახლოვებული იყო საწარმოო სინარებთან – ოქროს შემცველობა  $5-25\text{mg/l}$  (Thio ანუ  $\text{CS}(\text{NH}_2)_2$  - 2%,  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$ -1%,  $\text{H}_2\text{SO}_4$ -1%). ელექტროლიზის პროცესში თიოშარდოვანას სინარი ფილტრის გავლით მიეწოდება კათოდურ ბლოკს მილყელით (5) (სურ. 1) და გამოდის დარიდან (6). კათოდზე ხდება ოქროს აღდგენა:



ოქროს კათოდური აღდგენა ხდება ზღვრული დენის რეჟიმში სინარში ოქროს დაბალი კონცენტრაციის გამო. პარალელურად კათოდზე ხდება წყალბადის იონების განმუხტვა:



ამიტომ ოქროს კათოდური გამოსავალი არ აღემატება  $5\%-ს$ .

ელექტროდის აუცილებელი სისქის ანგარიშის დროს დასაშვებად მივიჩნიეთ, რომ ელექტროდი მუშაობს ზღვრულ დენზე მთელ მოცულობაში. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვთვალა ელექტროდის აუცილებელი სისქე ფორმულით [8], რომელიც აღმოჩნდა  $0,25\text{s/m}$ . არსებობდა შესაძლებლობა, რომ ელექტროდს არ ემუშავა ზღვრულ დენზე, ასევე შეცვლილიყო გადინების სიჩქარე და ოქროს საწყისი კონცენტრაცია, ამიტომ ექსპერიმენტები ტარდებოდა  $0,35\text{ s/m}$  სისქის ელექტროდზე.

ოქროს მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შესაძლებელია გამოლექილ იქნას ელექტროდზე მისი პარამეტრების უმნიშვნელო ცვლილებით, შეადგენს  $30-50\text{g/l}$  1g ნახშირბადოვან მასალაზე. აღსანიშნავია, რომ ნახშირბადოვანი მასალა, რომელზედაც გამოილექბა ლითონი, ექვემდებარება რეგენერაციას და შესაძლებელია მისი ხელმეორედ გამოყენება.

ნახშირბოჭკოვანი კათოდების მუშაობის ეფექტურობის შეფასება ხდებოდა ელექტროდზე სინარის ერთჯერადი გადინების დროს მიღებული ოქროს ამოლების ხარისხით და მეტალის დენით გამოსავალით.

ექსპერიმენტული მონაცემები მისი სიმაღლის სინარის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორებზე ასახულია ცხრილებში 1-6.

ცხრ.1-დან ჩანს, რომ დენის სიმკვრივის გაზრდით ოქროს ამოლების ხარისხი იზრდება სინარში  $25\text{mg/l}$  ოქროს შემცველობისას.  $100-400\text{mA/l}\text{m}^2$  (მილიამპერი/ $\text{m}^2$ ) დენის სიმკვრივეზე ოქროს ამოლების ხარისხი აღწევს მუდმივ მაქსიმალურ მნიშვნელობას –  $98,16-98,2\%$ , ხოლო დენით გამოსავალი მცირდება დენის სიმკვრივის ზრდასთან ერთად და  $400\text{ mA/l}\text{m}^2$  დენის სიმკვრივეზე ჩამოდის  $0,2\%-მდე$ . ოქროს გამოლექვა ბოჭკოვან მასალაზე თანაბარია  $100-400\text{ mA/l}\text{m}^2$  დენის სიმკვრივეზე. ელექტროლიზიური მეთოდით ოქროს ამოლების დროს დენის სიმკვრივის ოპტიმალური მნიშვნელობა  $250-300\text{mA/l}\text{m}^2$ -ია. დენის სიმკვრივის გაზრდა  $300\text{mA/l}\text{m}^2$ -ის ზევით არ არის მიზანშეწონილი, რადგან მოითხოვს დამატებით ხარჯებს, ოქროს ამოლება კი მაინც არ იზრდება. დენის სიმკვრივის დაწევა  $250\text{mA/l}\text{m}^2$ -ზე ქვევით იწვევს ოქროს ამოლების ხარისხის შემცირებას ან პროცესის გახანგრძლივებას.

**ცხრილი 1.** ოქროს ამოლების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება დენის სიმკვრივისაგან.

სინარში ოქროს საწყისი კონც.  $C_0=25\text{ mg/l Au}$ ;

სინარში გადინების სიჩქარე  $V=0,1\text{b}^3/\text{f}\text{d}$

ხანგრძლივობა –  $50\text{f}\text{m}$ .

№	დენის სიმკვრივე, $\text{mA/l}\text{m}^2$	ოქროს ამოლების ხარისხი, %	ოქროს დენით გამოსავალი, %
1	25	62	4,8
2	50	85	3
3	100	98,16	2
4	200	98,16	1
5	400	98,18	0,5
6	800	98,2	0,2

რაც შეეხება ექსპერიმენტებს, ჩატარებულს ხსნარში არსებულ ოქროს დაბალ კონცენტრაციაზე (5გ/ლ), როგორც ცხრ.2-ში არის მოტანილი, დენის სიმკვრივეზე 10გა/სმ<sup>2</sup> და ზევით ოქროს ამოღების ხარისხი იზრდება 95-96,5%-მდე, დენით გამოსავალი კი შესაბამისად მცირდება და 100გა/სმ<sup>2</sup>-ზე აღწევს 0,2%-ს.

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში შესწავლილია ოქროს საწყისი კონცენტრაციის გავლენა ხსნარიდან ოქროს ამოღების ხარისხზე. როგორც ცხრ.3-დან ჩანს, ოქროს კონცენტრაციის გაზრდით 5-დან 25 გგ/ლ-მდე ოქროს ამოღების ხარისხი იზრდება 98%-მდე, ხოლო ოქროს კონცენტრაციის შემდგომი გაზრდით 50გ/ლ-მდე, მცირდება 91%-მდე.

**ცხრილი 2.** ოქროს ამოღების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე ხსნარში ოქროს დაბალი შემცველობისას

$$C_0=5 \text{ გ/ლ}; V=0,1\beta^3/\text{წ}; \text{ ხანგრძლივობა} = 50 \text{ წ}.$$

№	დენის სიმკვრივე, გა/სმ <sup>2</sup>	ოქროს ამოღების ხარისხი, %	ოქროს დენით გამოსავალი, %
1	10	95	2,0
2	20	95,7	1,25
3	50	96,0	0,58
4	80	96,3	0,22
5	100	96,5	0,2

**ცხრილი 3.** ოქროს ამოღების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება ხსნარში ოქროს კონცენტრაციაზე

$$D_k=250\text{გ/ს}^2; V=0,2 \text{ ს}^3/\text{წ}; \text{ ხანგრძლივობა} = 50 \text{ წ}.$$

№	ოქროს კონცენტრაცია ხსნარში, გ/ლ	ოქროს ამოღების ხარისხი, %	ოქროს დენით გამოსავალი, %
1	5	96,5	0,15
2	10	97,0	0,25
3	25	98,1	0,5
4	40	94,0	0,75
5	50	91,0	1,0

შესწავლილია ფონის ელექტროლიტის ( $\text{ThiO-2\%}$ ,  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3-1\%$ ,  $\text{H}_2\text{SO}_4-1\%$ ) კონცენტრაციის გავლენა 25გ/ლ ოქროშემცველი ხსნარიდან ოქროს ამოღების ხარისხზე. ცხრ.4-დან ჩანს, რომ ფონის ელექტროლიტის კონცენტრაციის შემცირებით მცირდება ოქროს როგორც დენით გამოსავალი, ისე მისი ამოღების ხარისხი. ოქროს ამოღების ხარისხი 96%-ია და დენით გამოსავალი 1,85%, ფონის ელექტროლიტის ათვერადი განზავების პირობებში.

**ცხრილი 4.** ოქროს ამოღების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება ფონური ელექტროლიტის განზავების ჯერადობაზე.

$$D_k=250\text{გ/ს}^2; V=0,2 \text{ ს}^3/\text{წ}, \text{ Au-25გ/ლ}$$

ფონური ელექტროლიტი: ( $\text{ThiO-2\%}$ ,  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3-1\%$ ,  $\text{H}_2\text{SO}_4-1\%$ )

ხანგრძლივობა = 50წ.

№	ფონური ელექტროლიტის განზავების ჯერადობა	ოქროს ამოღების ხარისხი, %	ოქროს დენით გამოსავალი, %
1	2	96	1.85
2	5	96	1.85
3	10	96	1.85
4	15	84	1.7
5	20	82	1.68
6	50	80	1.5
7	100	76	1.47

ხსნარის გადინების სიჩქარის ზრდა  $0,2\text{m}^3/\text{წმ-დან}$   $1,5\text{m}^3/\text{წმ-ძე}$  ამცირებს ოქროს ამოღების ხარისხს  $98\%-დან$   $84\%-მდე$ . ამავდროულად იზრდება ოქროს დენით გამოსავალი (ცხრ.5).

ოქროს ამოღების ხარისხზე ელექტროლიზის ხანგრძლივობის გავლენის შესასწავლად გამოცდლია ორი ხსნარი: Au-25მგ/ლ და Au-5მგ/ლ (ცხრ. 6).

**ცხრილი 5.** ოქროს ამოღების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება ელექტროლიზის გადინების სიჩქარეზე

$$C_0=25 \text{ მგ/ლ}; D_k=250 \text{ მა/სმ}^2$$

ხანგრძლივობა – 50წთ.

№	ელექტროლიზის გადინების სიჩქარე, მლ/წმ	ოქროს ამოღების ხარისხი, %	ოქროს დენით გამოსავალი, %
1	0.1	98	0.5
2	0.2	98	0.5
3	0.3	97	0.83
4	0.4	97	0.83
5	0.6	95	1.6
6	1.5	84	3.4

**ცხრილი 6.** ოქროს ამოღების ხარისხის და დენით გამოსავლის დამოკიდებულება ცდის ხანგრძლივობაზე  
 $V=0,2 \text{ სმ}^3/წთ$

№	ცდის ხანგრძლივობა, წთ	ოქროს ამოღების ხარისხი, % $C_0=25 \text{ მგ/ლ}, D_k=250 \text{ მა/სმ}^2$	ოქროს ამოღების ხარისხი, % $C_0=5 \text{ მგ/ლ}, D_k=100 \text{ მა/სმ}^2$
1	10	88	78
2	20	93	86
3	30	94	90
4	40	96	93
5	50	98	96.5

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ოქროს შედარებით მდიდარი ხსნარიდან ოქროს ამოღების მაჩვენებელი უფრო მაღალია და  $40-50$ წთ ელექტროლიზის ხანგრძლივობის პირობებში  $98\%-ს$  შეადგინს.

ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგინდა ოქროშემცველი თიოშარდოვანას მეავა ხსნარებიდან ელექტროქიმიური მეთოდით ოქროს ამოღების ოპტიმალური პირობები: კათოდური დენის სიმკრივე  $250-300 \text{ მა/სმ}^2$ ; ხსნარის გადინების სიჩქარე  $0,1-02 \text{ m}^3/\text{წმ}$ ; ბოჭკოვანი კათოდის სისქე  $0,25-0,35 \text{ მმ}$ ; ძაბვა აბაზანაზე  $4-5$ ; პროცესის ხანგრძლივობა  $40-50$ წთ. ამ პირობებში ელექტროჟიმიური მეთოდით ჩვენს მიერ კონსტრუირებულ ელექტროლიზერში ნახშირბოჭკოვანი კათოდური ბლოკის გამოყენებით განზავებული თიოშარდოვანას ხსნარებიდან ( $5-25 \text{ მგ/ლ Au}$ ) შესაძლებელია ოქროს ამოღება  $96-98\%-ით$ , რის შემდეგაც მიიღება ხსნარები ოქროს ნარჩენი კონცენტრაციით  $-0,5 \text{ მგ/ლ}$ .

ოქროთ შეესტული ნახშირბოჭკოვანი ელექტროლიზი ექვემდებარება რეგენერაციას და ხელმეორედ გამოყენებას. ლითონით გაჯერებული ელექტროლის რეგენერაცია ხდება ელექტროჟიმიურად, ხსნარში გადადის ოქრო კომპლექსურ ფორმაში, ხოლო ელექტროლი განიცდის რეგენერაციას. მაგრამ პრაქტიკაში ძირითადად გამოყენებულია ოქროთ გაჯერებული ელექტროლის დაწვა, ვინაიდნა ნახშირბადის პროცენტული შემცველობა ოქროთ გაჯერებულ ელექტროლიდში არ აღემატება  $2-3\%-ს$ . ამიტომ ეკონომიური თვალსაზრისით ეს მიღვიმა გამართლებულია.

ელექტროლიზის შემდგომი სტადია აფინაჟია. მისი დანიშნულებაა კეთილშობილი ლითონების ერთმანეთისაგან დაცილება (ვერცხლის შემცველობის პირობებში) და გაწმენდა მინარევებისაგან.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Jondo Bagdavadze, Rusudan Chagelishvili, Tsisana Gagnidze, Aleksandre Kandelaki, Roland Razmadze, Zurab Tsikaradze. Study of High-Temperature Processes for Obtaining Antimony Sulfide and Metallic Sb. Bulletin of the Georgian national academy of sciences. Physical Chemistry. 2013, vol.7, N2, p.75-80.
2. Jondo Bagdavadze, Rusudan Chagelishvili, Tsisana Gagnidze, Aleksandre Kandelaki, Roland Razmadze, Zurab Tsikaradze. The development of a new environmentally-friendly technology for integrated

- processing of gold-bearing antimony ores. International symposium “Sustainable Mining and Processing”, Mexico, Kankun, 29 June to 4 July 2014.
3. რ. ჩაგლიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ც. გაგნიძე, ჯ. ბალავაძე, ა. კანდელაკი, მ.ავალიანი, ლ. წყალობაძე. ზოვნითი ტერმული ანთომნის მანის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თერმო ამოლება თიოკარბამილული მეთოდით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “მაცხ”, ქმის სერია. 2013, ტ. 39, №1-2, გვ.112-117.
  4. Tsisana Gagnidze, Jondo Bagdavadze, Rusudan Chagelishvili, Manana Mamoria, Zurab Tsiskaridze, Aleksi Kandelaki. ELECTROCHEMICAL METHOD OF GOLD EXTRACTION FROM THE RESIDUES OF VACUUM-THERMAL TREATMENT OF GOLD-CONTAINING ANTIMONY ORES OF ZOPKHITO DEPOSIT. European Chemical Bulletin, vol 3, N2 (2014), p.161-165.
  5. Р.Ю. Бек. Перспективы использования электродов с развитой поверхностью в гидрометаллургии. Изв. Сибирского отделения АН СССР. Серия Химических Наук. 1977, вып. 6, №14. Новосибирск, стр. 11-20.
  6. Р.Ю. Бек, В.К. Варенцов и др. Разработка и промышленное освоение способа и аппаратуры для электролитического извлечения золота из тиомочевинных растворов. Гидрометаллургия золота. Изд. “Наука”, 1980г. Стр.173-179.
  7. რ.ჩაგლიშვილი, ბ.გვალესიანი, ვ.გაფრინდაშვილი, ბ.შავგულიძე, ვ.ფრუნძე. კათოდური ბლოკი ფერადი და კეთილშობილი ლითონების ლექტროლიზით მიღებისათვის. საქატებჭი (11) GE P 2006. 3852 B.
  8. Р.Ю. Бек, А.И. Маслий, Т.И. Лаврова. Изв. Сибирского отд. АН СССР, 1972, №2, сер. хим. наук, вып. 1, с. 25..

## STUDY OF GOLD EXTRACTION PROCESS FROM GOLD-CONTAINING THIOUREA SOLUTIONS BY ELECTROCHEMICAL METHOD

Rusudan Chagelishvili, Tsisana Gagnidze, Boris Purceladze, Marina Avaliani, Marina Gvelesiani, Mariam Nadareishvili

*Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry  
I. Javakhishvili Tbilisi State University*

### SUMMARY

It is established prospects of using of electrochemical method for the extraction of gold from gold-containing thiourea solutions. Experimentally tested electrolyzer with carbon-fibrous cathode having highly developed (volume-porous) surfaces, which ensures maximum extraction of gold and silver from the solutions. The influence of the main technological factors on the electrolysis is studied and the following optimal conditions for the implementation of the process are established: the density of the cathode current 250-300mA/cm<sup>2</sup>; the strain on the bath 4-5 v.; the speed of the solution passage 0,1-0,2ml/sec, the thickness of the fibrous cathode 0,25-0,35mm; the duration of the process 40-50min. Under the above conditions, the electrolyzer of our construction allows to extract 96-98% of gold from weak solutions (5-25mg/l Au). The carbon-fibrous electrodes, saturated with gold and silver, exposed to regeneration and can be recycled. However, in practice, is used the burning of the saturated electrodes as this method is justified from economic view.

## ИЗУЧЕНИЕ ПРОЦЕССА ИЗВЛЕЧЕНИЯ ЗОЛОТА ЭЛЕКТРОХИМИЧЕСКИМ МЕТОДОМ ИЗ ЗОЛОТОСОДЕРЖАЩИХ ТИОМОЧЕВИННЫХ КИСЛЫХ РАСТВОРОВ

Р.Д.Чагелишвили, Ц.М.Гагнидзе, Б.Х.Пурцеладзе, М.А.Авалиани, М.Т. Гвелесиани,  
М.В.Надареишвили

*Институт неорганической химии и электрохимии Р.И. Агладзе Тбилисского Государственного Университета им. Иване Джавахишвили*

### РЕЗЮМЕ

Установлена перспективность применения электрохимического метода для извлечения золота из золотосодержащих тиомочевинных кислых растворов. Экспериментально опробован электролизер с катодом из углеволокнистого материала с высокоразвитой (объемно-пористой) поверхностью, который обеспечивает максимальное выделение золота и серебра из раствора. Изучено влияние основных факторов на показатели электролиза и установлены оптимальные условия для реализации процесса: плотность катодного тока 250-300mA/cm<sup>2</sup>; напряжение на ванне 4-5в; скорость протока раствора 0,1-0,2мл/сек; толщина волокнистого катода 0,25-0,35 мм; продолжительность процесса 40-50 мин. В этих условиях, в электролизере нашей конструкции, возможно извлечение золота из разбавленных тиомочевинных растворов (5-25мг/л Au) на 96-98%-ов. Насыщенные золотом и серебром углеволокнистые электроды подвергаются регенерации и можно использовать вторично. Однако, в практике используется сжигание насыщенных золотом электродов. С экономической точки зрения этот метод оправдан.

## მიმღები ტექნოლოგია

## მანგანუმის კონცენტრატების მიღება

ბორის ფურცელაძე, თენგიზ ჭყონია, მარინე ავალიანი, ეთერ შოშიაშვილი, იზოლდა ჩხაიძე,  
მაყვალა სვანიძე, ზურაბ სამხარაძე, ნანა ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქმითისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი


განხილულია მანგანუმის კონცენტრატების მიღების მეთოდი, რომლის დროსაც გამოყენებულია მანგანუმის ოქსიდების აღდგენა ხის ნახერზე შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გოგირდმჟავის არეში.

ჭიათურაში მანგანუმის მაღნების ფლოტაციის დროს რჩება კუდები, რომლებიც ერლიფტის საშუალებით გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ავზში, რომელშიც ბოლო პერიოდში დაგროვილია რამდენიმე მილიონი ტონა, რომელიც ქმნის მძიმე ეკოლოგიურ გარემოს [1-3]. ცხრილში (1) მოტანილია ავზიდან ამოღებული მანგანუმის კუდების ქმიური ანალიზის შედეგები პროცენტებში:


**ცხრილი 1. მანგანუმის კარბონატული მაღნების ქმიური შედეგები**

Mn ჯამური-10,39	Mn <sup>2+</sup> - 5,42	CaO - 3, 58	SO <sub>3</sub> - 0,68
MnO <sub>2</sub> - 7,91	R <sub>2</sub> O <sub>3</sub> - 4,77	Ca- 1,28	SiO <sub>2</sub> -64,99
Mn <sup>4+</sup> - 4,98	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> - 2,56	MgO- 1,29	P <sub>2</sub> O <sub>5</sub> - 0,4
MnO-6,99	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> - 2, 26	Mg-0,79	სინესტე-1,49


ვინაიდან კუდებში არსებული მანგანუმის დიოქსიდი არ იხსნება მჟავაში, მას ესაჭიროება აღდგენა. ექსპერიმენტების დროს აღდგენას ვაწარმოებდით ხის ნახერზე, 80°C-მდე გაცხელებით გოგირდმჟავასთან ერთად. აღნიშნულ ტემპერატურაზე ხის ნახერზე გახურებით მჟავის თანაობისას ხდება ჰიდროლიზი და მონოსაქარიდების გამოყოფა:



თავის მხრივ მონოსაქარიდები (გლუკოზა) ადვილად აღადგენენ მანგანუმის დიოქსიდს:



MnO-ს აღდგენილი მადანი იხსნება გოგირდმჟავაში მანგანუმის სულფატის წარმოქმნით:




ამ შემთხვევაში ერთ სტადიაში მიმდინარეობს სხვადასხვა ქიმიური პროცესი:

- ნახერზის ჰიდროლიზი მონოსაქარიდების გამოყოფით;
